

ელ-გამჭვირვალობის დანერგვა საქართველოში

საქართველოში ინფორმაციის გამჭვირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა (გია უიენაძე)

ინსტიტუციური გზადასვლის შეფასებითი აპლავა (ირაკლი საყანდელიძე)

მასალა მომზადებულია ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) საინფორმაციო პროგრამის, ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმების ინიციატივის (LGI) და ფონდ “ღია საზოგადოება – საქართველოს” ერთობლივი პროექტის: “ელ-გამჭვირვალობის დანერგვა საქართველოში” ფარგლებში



სარჩევი

წინასიტყვაობა: ელ-გამჭვირვალობა როგორც საჯარო ინფორმაციის მისაწვდომობის თანამედროვე და ეფექტური მექანიზმი	3
საქართველოში ინფორმაციის გამჭვირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა	11
I. შესავალი	12
II. საერთაშორისო გამოცდილება და პროგრესი ელექტრონული მმართველობის კუთხით	14
III. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა საქართველოში	29
IV. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის	45
სამართლებრივი პრობლემების მიმოხილვა	45
V. სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შედარებითი ანალიზი	48
VI. დონორი ორგანიზაციების მიერ ელექტრონული, მმართველობის დანერგვის მიმართულებით ქვეყანაში განხორციელებული საქმიანობა	57
VII. რეკომენდაციები	68
ელ-გამჭვირვალობის დანერგვა საქართველოში: ინსტიტუციური მზადყოფნის შეფასებითი კვლევა	71
I. წინასიტყვაობა	72
II. კონცეფცია	72
III. ელ-მმართველობა არსებული მდგომარეობა და ძირითადი სუსტი მხარეები	90
IV. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დონე სახელმწიფო დაწესებულებებში	95
V. ელ-გამჭვირვალობა – არსებული	109
მდგომარეობა და მთავარი სისუსტეები	109
VI. დასკვნები	114
VII. რეკომენდაციები	115

წინასიტყვაობა:

ელ-გამჭვირვალობა როგორც საჯარო ინფორმაციის მისაწვდომობის თანამედროვე და ეფექტური მექანიზმი

რა არის ელ-გამჭვირვალობა?

“ელექტრონული გამჭვირვალობა” ან, როგორც მას სხვაგვარადაც ასახელებენ, “ინტერნეტ-გამჭვირვალობა” შედარებით სიახლეს წარმოადგენს თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემებისათვის. ის უფრო კრებითი ტერმინია, ვიდრე ცალკე მდგომი დისციპლინა ან თუნდაც განმტკობა, და გამოიყენება იმ ღონისძიებათა კომპლექსის აღსანიშნავად, რომელიც მიმართულია საჯარო სექტორის გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ელ-გამჭვირვალობის თეორიულ მოდელში, მოქალაქეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა მაქსიმალურად ავტომატიზირებული სახით ხორციელდება, რაც ამავე დროს უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოების მაქსიმალურად ფართო ფენისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სექტორის გამჭვირვალობა მისი მართვის თანამედროვე და დემოკრატიული მეთოდების აუცილებელ ატრიბუტად მოიხარება, ეს არ გამორიცხავს დებატებს ელექტრონული გამჭვირვალობის მიზანშეწონილობის თაობაზე. მრავალი ქვეყნის მაგალითი (მათ შორის აშშ, გერმანია, მალაიზია და სხვ.) გვიჩვენებს, რომ, ერთ შეხედვით უპირობოდ აღიარებულ და დადებითად შეფასებულ გამჭვირვალობის კონცეფციას პრაქტიკაში განხორციელებისას მრავალი პრობლემა უჩნდება, განსაკუთრებით კი როდესაც მას ემატება “ინფორმაციული ტექნოლოგიების” განზომილება. განხორციელების სხვადასხვა სტადიაზე, საჯარო სექტორის გამჭვირვალობის ამ თანამედროვე კონცეფციას ხშირად ისეთი უარყოფითი იარაღებიც უჩნდება, როგორცაა “ჰიპერ-პლურალიზმი”, “დემოკრატიის სახეცვლილება”, “პროგრესის მუხრუჭი” და, სწორედ ამ ფონზე, ელ-გამჭვირვალობის მიზანშეწონილობის დასაბუთება წმინდა აკადემიური დებატების ფორმატს სცდება. ის მოითხოვს მისი პრაქტიკული აუცილებლობის დასაბუთებასაც.

ხშირია ელ-გამჭვირვალობის კრიტიკა “ჰიპერპლურალიზმის” საფუძვლით, რომელიც ინფორმაციას მასიური ნაკადის “გახსნით” ფართო საზოგადოებისათვის გამოიწვევს პოლიტიკური დებატების მოზღვავებას და პოპულისტური მიდგომების გათვალისწინების აუცილებლობას საჯარო დანებებულების საქმიანობის ყველა სფეროში. ეს არგუმენტი წმინდა თეორიულია და პრაქტიკაც საპირისპიროს უჩვენებს. “ტექნოკრატიული”

დემოკრატიის მოდელის სახელმწიფოებში (რომლის მაგალითად ხშირად სამხრეთ კორეა და ტაივანი მოჰყავთ), სადაც ინფორმაციული მონოპოლია სახელმწიფოს ხელში კონცენტრირდება მაქსიმალური ეკონომიკური განვითარების ტემპის (ან სხვაგვარი “პროგრესის”) შენარჩუნების მიზნით, ინფორმაციული მონოპოლია მხოლოდ დროებით შედეგებს იძლევა – რაც აზიური სახელმწიფოების შემთხვევაში 1998 წლის ეკონომიკური კრიზისით დასრულდა, რის შედეგადაც სოციალური რეალობისაგან იზოლირებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სერიოზული დარცხმა მიიღო. ინფორმაციის ნაკადის გახსნა საზოგადოებისათვის ასევე არ გულისხმობს იმას, რასაც ხშირად “დემოკრატიის სახეცვლილებითაც” იცნობენ – ანუ ინფორმაციისადმი მისაველის გამოყენება მძლავრი პოლიტიკური თუ ლობისტური დაჯგუფებების მიერ საკუთარი მიზნებისათვის; ინფორმაციის არსებობა და მისანვდომობა ყველა შემთხვევაში ზრდის მოსახლეობის ინფორმირებულობას ქვეყანაში მიმიდნარე პროცესების შესახებ და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების შესაძლებლობა მინიმუმამდე დადის. ასევე უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ინფორმაციის დიდძალი “მასის” არსებობისას, საბოლოო მომხმარებელი ვერ შესძლებს მისთვის სასარგებლო მონაცემების მოძიებას: ეს ნმინდა ტექნიკური საკითხია. ინფორმაციული ნაკადის კატეგორიზაციას და უფრო გასაგებ, სტრუქტურირებულ ენაზე გადატანას როგორც დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებული, მარტივი საძიებო სისტემები უწყობს ხელს, ისე შესაძლებელია პროგრამულ დონეზე ძირითად ან ყველაზე პოპულარულ მონაცემთა ცენტრალიზაცია მათი შექმნის/განთავსების პარალელურად.

შესაბამისად, ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენება საჯარო ინფორმაციის გამოყენების მიზნით თავისთავად პროდუქტიულია, თუ ამგვარი ინფორმაცია ლოგიკურად არის ორგანიზებული და ამასთანავე სრული მოცულობით მიწოდება საზოგადოებას. ამის გათვალისწინებით, ელ-გამჭვირავლობა უნდა მოიაზრებოდეს არა როგორც დემოკრატიული პროცესის “გარდაუვალი ბოროტება”, არამედ როგორც საზოგადოების ინფორმაციული ცნობიერების ამაღლების ეფექტური, შედარებით ნაკლები რესურსების მომთხოვნი და მარტივად მართვადი პროცესი, რომელიც დემოკრატიული რეჟიმის სტაბილურობას ემსახურება – განსაკუთრებით კი ინტერნეტის ქართველ მომხმარებელთა რიცხვის სწრაფი ზრდისა და ქსელური ტექნოლოგიების განვითარების ფონზე.

“ელ-გამჭვირავლობა” თუ “ელ-მმართველობა”?

ელ-გამჭვირავლობის კონცეფცია ხშირად შეცდომით უთანაბრდება “ელ-მმართველობის” ჩამოყალიბებაზე მიმართულ ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს საფუძვლად უდევს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, არსებობს მრავალი და საკმაოდ არსებითი განსხვავება, რომელიც მნიშვნელოვანი არა მხოლოდ თეორიული, არამედ სწორედ რომ პრაქტიკული განხორციელების პრობლემების მხრივ.

პირველ რიგში, განსხვავება ტექნიკური განხორციელების დონეზე არსებითია. როგორც თვალნათლივ აჩვენებს ამ გამოცემაში მოყვანილი ორივე კვლევა, ელექტრონული მმართველობა ფოკუსირებას ახდენს თავად საჯარო სამსახურის ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდაზე ელექტრონული გარემოს გამოყენებით, მაშინ, როდესაც ელ-გამჭვირვალობა გულისხმობს ამავე გარემოს გამოყენებით, ეფექტური მენეჯმენტის შედეგების ასახვას ფართო საზოგადოებისათვის. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ: თუ ელ-მმართველობა მიზნად ისახავს შიდა მექანიზმების დახვეწას, ელ-გამჭვირვალობა ამ მექანიზმებს განაწვრივს ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობაში; ამ მოდელში, ელ-მმართველობა “ფუნდამენტია”, ხოლო ელ-გამჭვირვალობა – “ფასადი”. ამასთან, მიუხედავად ამ ორ მიმართულებას შორის არსებული კავშირისა, შესაძლებელია ელექტრონული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა სრულყოფილი ელექტრონული მმართველობის სისტემათა გამოყენების გარეშეც.

ამ მხრივ თავს იჩენს მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ელ-გამჭვირვალობასა და ელ-მმართველობას შორის. ქართულ რეალობაში ელ-მმართველობისა და გამჭვირვალობის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, საჯარო ინფორმაციის მოთხვნის განაცხადზე პასუხის გაცემა ელ-ფოსტის საშუალებით ელ-მმართველობის სფეროს მიეკუთვნება, ვინაიდან ის გულისხმობს არა მხოლოდ საჯარო დაწესებულებაში ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის არსებობას, არამედ ქვეყანაში დოკუმენტაციის ელექტრონულად დამონშემის (მაგ. ელექტრონული ხელმოწერების კანონის მიხედვით) დადგენილ სქემების არსებობას. ელ-გამჭვირვალობის კონცეფცია, თავის მხრივ, ტექნოლოგიურად ნაკლებად მომთხოვნია, ვინაიდან მისი მამოძრავებელი პრინციპია ელექტრონული სახით უკვე არსებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება (**proactive disclosure**). პროაქტიული გამოქვეყნება, ამ მოდელით, წარმოადგენს ბალანსის გადატანის მცდელობას ინფორმაციის მიმღები სუბიექტის მიერ ინფორმაციის აქტიური ძიებისა და გამოთხოვის პროცესიდან, თვით ინფორმაციის მფლობელის მიერ საჯარო ინფორმაციის სტანდარტული, ხელმისაწვდომი, განახლებული და რელევანტური ფორმატით გამოქვეყნებაზე საჯარო უწყების უკვე არსებული ვებ-რესურსების გამოყენებით.

შესაბამისად, წმინდა ეკომიკური და ადმინისტრაციული მოსაზრებების გათვალისწინებითაც, ელექტრონული გამჭვირვალობა წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის შედარებით მარტივ ფორმას, რომელიც საჯარო სამსახურს ათავისუფლებს ინფორმაციის მოთხოვნისამებრ მიწოდებაზე გამოყოფილი ზედმეტი რესურსებისაგან (თუმცა არა სრული მოცულობით), და ამავე დროს ზრდის სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების ხარისხს სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის წრის განსაზღვრის გზით. მეორეს მხრივ, ეს ეხმარება მოსახლეობას, დამატებითი ხარჯებისა და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, მიიღოს მისთვის საჭირო საჯარო ინფორმაცია.

ელ-გამჭვირვალობის საკითხები ანტიკორუფციული ღონისძიებების კონტექსტში

განხორციელების სანყის ეტაპზე, ელ-გამჭვირვალობის ყველაზე დიდი პოტენციული სწორედ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების კონტექსტში აისახება. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკორუფციული სტრატეგიებისა და ელ-გამჭვირვალობის გათანაბრება არ იქნებოდა სწორი – თუნდაც იმიტომ, რომ ელ-გამჭვირვალობა, როგორც საჯარო სექტორის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) საშუალება სცდება კორუფციის პრევენციის მიზნებს – საქართველოს კონტექსტში, ელ-გამჭვირვალობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხილვოდეს როგორც ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და ამავე სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ხშირად ერთსა და იმავე კონტექსტში (როგორც არის, მაგალითად, საჯარო სექტორის გამჭვირვალობის ამაღლება) ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებს კონკრეტულად დასახული რომელიმე მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ღონისძიებები საერთო მიზნის მიღწევისათვის განსხვავებულ, მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავ საშუალებებს წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ბოლო ვარიანტი ითვალისწინებს რამოდენიმე პუნქტს, რომელიც მოიცავს საჯარო სექტორის გამჭვირვალობისათვის პოტენციური მნიშვნელობის მქონე საკითხებს, კერძოდ, საუბარია სახელმწიფოს ფინანსური რესურსების მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე, ძირითადად მონიტორინგის გზით; ცაკლე არის აღნიშნული საჯარო ხარჯების კონტროლი გარე აუდიტის გზით და აუდიტის შედეგების საჯაროობა; ხოლო სახელმძღვანელო პრინციპები ამ მიდგომებს ამატებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას ბიუჯეტის მენეჯმენტში. რაც შეეხება სტრატეგიის განცხორციელების სამოქმედო გეგმას, ის, ამავე კონტექსტში, ძირითად ყურადღებას ამახვილებს ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის მიღებაზე (პუნქტი 1.1), ერთგვაროვანი და გამჭვირვალე სტანდარტების დამკვიდრებაზე საჯარო დანებსებულების საკადრო პოლიტიკის ასახვის სფეროში (პუნქტი 1.8), ელექტრონული ხაზინის დანერგვაზე, თავდაპირველად სახელფასო გადარიცხვებთან და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სფეროში (პუნქტი 1.13) და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფაზე (პუნქტი 1.16). როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა განავრცობს თვით სტრატეგიაში ასახული საკითხებს. ამგვარი განვრცობის შედეგად ჩამოყალიბებული

მიდგომები შეიძლება ცალკე მდგომ სტრატეგიულ დანაყოფებად ჩავთვალოთ, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია საჯარო სექტორის გამჭვირვალობის საერთო მიზნებიდან გამომდინარე.

პირველი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია საჯარო დანესებულებათა გამჭვირვალობის კონტექსტში, არის ანტიკორუფციული სტრატეგიის ის ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფო რესურსების მართვის გამჭვირვალობას, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალებად სახელდება მუდმივი გადახედვა და მონიტორინგი. მიუხედავად ამ ზოგადად სწორი მიდგომისა, რომელიც საჯარო სექტორში ფინანსთა მართვის მონიტორინგს პირდაპირ უკავშირებს გამჭვირვალობის საკითხებს, საჭიროა სწორედ გამჭვირვალობის კომპონენტის გაძლიერება. კერძოდ, თვით მონიტორინგი, თუნდაც გარე მექანიზმების გამოყენებით, ვერ იქნება გამჭვირვალე, თუ მისი პრინციპები, მიმდინარეობა და საბოლოო ანგარიშები არ განისაზღვრება როგორც სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახე. ელ-გამჭვირვალობის უშუალო კონტექსტში, გამოსავალი იქნებოდა მონიტორინგის ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპების, მიმდინარეობისა და საბოლოო შედეგების სავალდებულო და დროული ასახვა პასუხისმგებელი უწყების ვებ-საიტზე.

ამავე კონტექსტში უნდა იქნეს განხილული სტრატეგიის მიერ დასახული გარე აუდიტის ჩატარების უზრუნველყოფისა და მისი შედეგების საჯაროობის მიზანი. ისევე როგორც შიდაუწყებრივი თუ გარე მონიტორინგი, გარე აუდიტის ჩატარება მისი გამჭვირვალობის თვითსაკმარისი გარანტია არ არის; შესაბამისად, სტრატეგია სავსებით სწორად მოითხოვს აუდიტის შედეგების საჯაროობას. ხოლო თუ ამ მიზანს ელ-გამჭვირვალობის კონცეფციის ფარგლებში განვიხილავთ, გარე აუდიტის შედეგები ასევე უნდა შევიდეს ინფორმაციის იმ სავალდებულო ნრეში, რომელიც პასუხისმგებელმა უწყებამ საკუთარ ვებ-საიტზე უნდა გამოაქვეყნოს.

მესამე საკითხი, რომელიც სტრატეგიის მიხედვით ელექტრონული გამჭვირვალობის კონტექსტში ხვდება, არის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება ბიუჯეტის მენეჯმენტში. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ამ მიზნის გამხორციელების მექანიზმებსაც სთავაზობს MTEF (საშუალოვადიანი სახარჯო დაგეგმვა) პრინციპისა და ძირითად მონაცემთა და მიმართულებათა დოკუმენტის (BDD) მომზადების ვალდებულების განსაზღვრით (პუნქტი 1.2 და 1.3). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული გამჭვირვალობის მექანიზმი გაძლიერებას საჭიროებს. კერძოდ, MTEF და BDD შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი უნდა იქნეს შესაბამისად დოკუმენტირებული და საჯაროდ გამოქვეყნებული. ისევე და ისევე, ელ-გამჭვირვალობის კონცეფცია მარტივ გამოსავალს სთავაზობს: შესაბამისი უწყების მიერ ამ ინფორმაციის ვებ-საიტზე ასახვა, თუნდაც განზოგადებული და მარტივად კითხვადი ფორმით, სავალდებულო უნდა იყოს. ეს არ შექმნის დამატებით

დანახარჯებსა თუ ტვირთს საჯარო უწყებისათვის, ვინაიდან შესაბამისი დოკუმენტები და მათდამი გამოთქმული შენიშვნები ელექტრონული დოკუმენტების ფორმით არსებობს და მათი შესაბამისი გამოქვეყნებაც ინტერნეტში მინიმალურ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მიერ საჯარო სამსახურის გამჭვირვალობაზე ორიენტირებული ეს მიდგომები კიდევ უფრო მეტ განვითარებას ჰპოვებს სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ფორმატში, რომელიც სტრატეგიაში ჩამოყალიბებული საკითხების სიას განავრცობს დამატებითი დებულებებით. სამოქმედო გეგმის პირველივე პუნქტი ეხება ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის შემუშავებასა და მიღებას; თუმცა, ეს შეიძლება უმეტესწილად ელექტრონული მმართველობის ტექნიკურ საკითხადაც ჩაითვალოს. მარტივად რომ ვთქვათ, ელექტრონული ხელმოწერების სისტემის ამოქმედება არ გამოიწვევს უშუალოდ გამჭვირვალობის ხარისხის ზრდას, არამედ წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის პრინციპების დაწესების აუცილებელ მექანიზმს, რომელიც ამარტივებს და აჩქარებს შიდა და უწყებათშორისი დოკუმენტაციის ბრუნვას და მნიშვნელოვნად ამცირებს დოკუმენტების ამობეჭდვისა და გამრავლების მატერიალურ ხარჯებს. თუმცა, ელექტრონული გამჭვირვალობის საკითხები განსაკუთრებით რელევანტურია ამ კანონის განხორციელების სტადიაზე: ვინაიდან დოკუმენტების ბრუნვა, დამონმება და ადრესატთან გადაგზავნა ხდება ელექტრონული ფორმით, განსაზღვრული დოკუმენტების დამონმებისა თუ გადაგზავნის ფუნქციები შეიძლება ისე იქნეს პროგრამირებული, რომ მოხდეს ამ დოკუმენტის ან მისი ნაწილის ავტომატური განთავსება პასუხისმგებელი ვებ-საიტზე ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. შესაბამისად, კანონის შემუშავებასა და მიღებასთან ერთად, ცალკე საკითხად უნდა გამოიყოს მისი განხორციელება და ელექტრონული ფორმით შედგენილი და დამონმებული დოკუმენტაციის გარკვეული სახეების გამოქვეყნების ვალდებულებაც სწორედ ამ კონტექსტში უნდა აისახოს.

ციფრული ხელმოწერის მსგავსად, ელ-გამჭვირვალობის პრინციპები ასევე მარტივად ხსნის სამოქმედო გეგმის 1.8 პუნქტის (ერთგვაროვანი და გამჭვირვალე სტანდარტების დამკვიდრება საჯარო დაწესებულების დასაქმებისა და დაწინაურების მხრივ) მოთხოვნათა შესრულებისათვის საჭირო დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც არ არის უშუალოდ ასახული სამოქმედო გეგმაში, მაგრამ გამომდინარეობს ამ კონკრეტული მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობებიდან. ცხადია, სტანდარტების მიღებისთანავე აუცილებელია მათი, როგორც საჯარო სამსახურში კარიერის განმსაზღვრელი პრინციპების, გამოქვეყნება არა მხოლოდ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე, არამედ საჯარო დაწესებულებათა საკადრო დეპარტამენტების ვებ-გვერდებზე ან საიტების შესაბამის სექციებზე.

ელექტრონული ხაზინის ამოქმედების ინიციატივა (სამოქმედო გეგმის პუნქტი 1.13), როგორც ელექტრონული მმართველობის სრულყოფილ სისტემაზე გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა, ასევე წარმოშობს ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის ანალოგიურ საკითხებს. უდავოა, რომ ელექტრონული ხაზინის მეშვეობით ფულადი სახსრების ადმინისტრირება ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ შესაძლებელია ამ მექანიზმის შედარებით მარტივი გამოყენება შესაბამისი ტრანზაქციების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, შესაძლებელია გარკვეული ტიპის ტრანზაქციების განზოგადებული ან სხვა სახით აგრეგირებული მონაცემები ავტომატურად დამუშავდეს და გამოქვეყნდეს ანგარიშების სახით შესაბამისი უწყების ვებ-გვერდზე, რისთვისაც საჯარო მოხელეს, ისევე და ისევე, არავითარი დამატებითი ძალისხმევის ან დროის გამოყენება არ დასჭირდება.

წინა პუნქტებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფა წარმოადგენს ელექტრონული გამჭვირვალობის საყოველთაოდ აღიარებულ, “კლასიკურ” სფეროს (ევროკავშირის დირექტივები, რომლის ამსახველი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები უკვე მოქმედებს ნევრი ქვეყნების უმეტესობაში, ასევე აშშ-ს, კანადისა და ავსტრალიის შესაბამისი კანონმდებლობა და დეკლარირებული ვებ-სტანდარტები). ელექტრონული მმართველობის მოსაზრებების გარდა (სახსრების ეკონომია, შედარებით კონკურენტული გარემო, ნაკლები დროისა და ადამიანური რესურსების ხარჯვა), საჯარო შესყიდვების სისტემის ელექტრონული ან, უფრო სწორად, ვებ-ინტერფეისზე დამყარებული პროგრამული უზრუნველყოფის სახით, შესაძლებელი ხდება საჯარო ინფორმაციის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის ავტომატური და დროული გამოქვეყნება შესაბამისი საჯარო უწყების ვებ-საიტზე. ამით სახელმწიფოს შესრულებული ექნება ამ კონკრეტული პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა უმეტესობა.

დასკვნები

ელექტრონული გამჭვირვალობის კონცეფცია, რა თქმა უნდა, სცდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გამჭვირვალე საჯარო სექტორის ჩამოყალიბებაზე მიმართული პოლიტიკის ფარგლებს (მაგალითად, შეიძლება დასახელდეს საჯარო ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბანკის არსებობის უზრუნველყოფა, საჯარო ინფორმაციის უფასო ინტერნეტ-ცენტრების ქსელის შექმნა, ვებ-რესურსების ფორმატის სავალდებულო სტანდარტების დამტკიცება და სხვ.), თუმცა ამავე დროს წარმოადგენს ამგვარი პოლიტიკის განხორციელების ხელშემწყობ ფაქტორს თანამედროვე ტექნოლოგიების მარტივი მისაწვდომობის პირობებში.

შესაბამისად, ელ-გამჭვირვალობის აუცილებლობის დასაბუთებისას, მისი მნიშვნელობა კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა

უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს. ამისდა მიუხედავად, ელ-გამჭვირვალობის პროექტების განხორციელების რეალობა ხშირად როგორც ნორმატიული, ისე ტექნოლოგიური ბარიერების გადალახვის პირობებში ხდება. ამ გამოცემაში მოყვანილი ორი კვლევა, რომელიც 2006 წელს განხორციელდა და განახლებულ იქნა დღევანდელი მდგომარეობით, ორივე საკითხს ორი სფეროს – ადმინისტრაციული სამართლისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების – განსხვავებული ექსპერტის ხედვით წარმოაჩენს; მათში განხილულია როგორც ელ-გამჭვირვალობის სპეციფიური საკითხები, ისე ზოგადი პრობლემებიც, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის მისაწვდომობასა და ელ-მმართველობის სრულყოფილი სისტემების უქონლობითაც. რაც მთავარია, თითოეული კვლევის დასასრულს მოცემულია რიგი რეკომენდაციებისა, რომელთა განხორციელება დრევეანდელ პირობებში არათუ სასურველი, არამედ სრულიად რეალურიც არის. ვიმედოვნებთ, რომ ამ გამოცემაში მოყვანილი მასალა ინფორმაციული გამოდგება მკითხველისათვის ელ-გამჭვირვალობის დანერგვისა და განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მზადყოფნის შეფასებისათვის.

გიორგი ჯოხაძე
პროექტის კოორდინატორი
ფონდი “ლია საზოგადოება - საქართველო”

გია კიკნაძე

საქართველოში ინფორმაციის გამჭვირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა

თბილისი

2007 წლის დეკემბრის მდგომარეობით¹

¹ 2007 წლის განახლება და რედაქციული ცვლილებები - ია ბიგანიშვილი, გიორგი ჯოხაძე.

I. შესავალი

გაეროს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად, კარგი მმართველობის მახასიათებელი მ ძირითადი ელემენტია:

- გამჭვირვალობა,
- ანგარიშგება,
- ორიენტაცია კონსენსუსზე,
- მოქალაქეებისა და ხელისუფლების ერთიანი მუშაობა,
- მიუკერძოებლობა და დისკრიმინაციის არ არსებობა,
- შედეგიანობა და ეფექტიანობა,
- კანონის უზენაესობა,
- ოპერატიულობა.

ელექტრონული მმართველობის მეშვეობით (რაც მმართველობის პროცესის საინფორმაციო ტექნოლოგიებზე გადაყვანას გულისხმობს) აღნიშნული რვა ელემენტიდან ექვსის დანერგვა გაცილებით ადვილდება. ეს ელემენტებია:

- **გამჭვირვალობა** და **ანგარიშგება**, რადგან საჯარო დანესებულებებისა და მოსამსახურეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები როგორც საზოგადოების, ისე ზემდგომი და მაკონტროლებელი ორგანოებისა და სხვა დანესებულებებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი ხდება.
- **მოქალაქეებისა და ხელისუფლების ერთიანი მუშაობა**, რადგან საინფორმაციო ტექნოლოგიები სახელმწიფოს მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსახლეობის მაქსიმალურად ფართო ფენებამდე მიტანის შესაძლებლობას აძლევს, ხოლო მოქალაქეებს — მათთვის საინტერესო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში (ელექტრონული არჩევნები და რეფერენდუმები, საკითხის ინტერნეტის მეშვეობით განხილვა, საჩივრებისა ან განცხადებების გაგზავნა ელექტრონული ფოსტით, შესყიდვების განხორციელება და სხვ.) ზედმეტი ძალისხმევის (დანახარჯების) გარეშე — მონაწილეობის მიღების საშუალებას;
- **მიუკერძოებლობა და დისკრიმინაციის არ არსებობა**, რადგან მოქალაქეებსა და საჯარო მოსამსახურეებს შორის უშუალო კონტაქტი მაქსიმალურად იზღუდება; ეს კი მოსამსახურეების მხრიდან სუბიექტური მიდგომებისა და, შესაბამისად, კორუფციული გარიგებების შესაძლებლობას მკვეთრად ამცირებს. ამავე დროს, კონკრეტულ საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის

შედეგები (პროდუქტიულობა, კომპეტენტიურობა, სამსახურებრივი დისციპლინის დაცვა და ა.შ) ნათლად ფიქსირდება, რაც, თავის მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა მიმართ ხელმძღვანელობის დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ზღუდავს;

- **შედეგიანობა და ეფექტიანობა, ოპერატიულობა**, რადგან საჯარო საქმიანობის კომპიუტერიზაცია და ავტომატიზაცია ადამიანური რესურსების გათავისუფლებას, დროისა და ფინანსური დანახარჯების მკვეთრ შემცირებას, შიდა და გარე კონტროლის არსებით გაუმჯობესებას იწვევს;

როგორც აღვნიშნეთ, **ელექტრონული გამჭვირვალობა ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთი შესაძლო შედეგი და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია**. ეს, გარდა იმისა, რომ ინფორმაციის თავისუფლების რეალიზების ქმედითი მექანიზმია, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საჯარო გადაწყვეტილებების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის ზრდას, აძლიერებს სამოქალაქო კონტროლის სისტემას.

ქვეყანაში ელექტრონული გამჭვირვალობის დასაწერგად აუცილებელია ერთროულად ორი პირობის შესრულება:

1. ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველმყოფელი სამართლებრივი ბაზის არსებობა და
2. ელექტრონული მმართველობის სისტემის, როგორც ამ ბაზის ეფექტური გამოყენების ინსტრუმენტის, დანერგვა.

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზა არ არსებობს. ერთადერთი გამონაკლისია 1981 წლის ევროპის საბჭოს კონვენცია “პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების მონაცემების დაცვის შესახებ”, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 28 ოქტომბერს არის რატიფიცირებული; თუმცა, ეროვნულ კანონმდებლობაში მისი აღსრულებისთვის საჭირო არანაირი ნორმა არ არსებობს. არ არსებობს არც სახელმწიფოს მიერ მიღებული რაიმე კონცეფცია ან პროგრამა (სახელმწიფოს ხედვა) ინფორმატიზაციის სფეროში კანონმდებლობის განვითარების შესახებ. ერთადერთი სერიოზული ნაშრომი ამ მიმართულებით გაეროს განვითარების პროგრამის ეგიდით 2004 წელს შემუშავებული “საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამაა”. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტის შექმნაში საქართველოს მთავრობა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მონაწილეობდნენ, პროგრამა მაინც სუფთა სამეცნიერო ნაშრომად დარჩა და მისი სამართლებრივი ლეგიტიმაცია ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში შემდეგი საკითხების ანალიზია წარმოდგენილი:

- ელექტრონული მმართველობისა და მისი სამართლებრივი რეგულირების სფეროში საერთაშორისო გამოცდილება და ეროვნული პროგრესი;
- საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა, მისი დახვეწისა და განვითარების საჭიროებები;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებისთვის საერთაშორისო და სახელმწიფოთშორისი ორგანიზაციების მიერ განეული და მიმდინარე საქმიანობა.

რაც შეეხება საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის ანალიზს, მისი (ბაზის) ფაქტობრივი არარსებობის გამო, ეს საკითხი განხილული ვერ იქნება.

II. საერთაშორისო გამოცდილება და პროგრესი ელექტრონული მმართველობის კუთხით

მმართველობის გადაწყობა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რადგან იგი სოლიდურ ფინანსურ დანახარჯებთან ერთად ყოველი კონკრეტული საქმიანობისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და ტესტირებას, კადრების მომზადებასა და საქმიანობის ავტომატიზაციის სქემების ამოქმედებას მოითხოვს. დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი წესებისა და პროცედურების შემოღებას და მათ დანერგვას, რადგან როცა ინფორმაცია და ჩანაწერები არ არის კარგად დაცული და მონესრიგებული, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, ვის რა კატეგორიის ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი, მაშინ ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაზე დიდი დრო იკარგება, არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვისა და პირიქით, საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის დამალვის საშიშროება. სახელმწიფომ საკანონმდებლო ბაზის შექმნით უნდა უზრუნველყოს ელექტრონული ხელმოწერის თანაბარი ძალის ცნობა ფურცელზე დასმულ ხელმოწერასთან, დაუშვას ელექტრონული ტრანზაქციების შესაძლებლობა, გამოყოს თანხები ელექტრონული მომსახურების საქმიანობის დაფინანსებაზე, განსაზღვროს იმ უწყებების ჩამონათვალი და პირთა ვინაობა, რომლებიც ელექტრონული მმართველობის სხვადასხვა ასპექტებზე არიან პასუხისმგებელნი და ა. შ.

საერთაშორისო პრაქტიკაში ელექტრონული მმართველობის დანერგვის რამდენიმე სტადიას განასხვავებენ:

- *პირველი სტადია* - საჯარო დაწესებულებები ითვისებენ ინტერნეტს, იქმნება მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურის ვებ-გვერდები, თუმცა ისინი უფრო ზოგადი ინფორმაციის შემცველები არიან;
- *მეორე სტადია* – ვებ-გვერდები უფრო მეტ შინაარსს იძენენ: ჩნდება ახალი ამბები, საკანონმდებლო დოკუმენტები და ოფიციალური პუბლიკაციები, აგრეთვე შესაძლებელია გვერდზე ძეხვის ჩატარება, ელექტრონული ფოსტის გაგზავნა;
- *მესამე სტადია* - ვებ-გვერდების ინტერაქტიულობის დონე მაღლდება. იქმნება სამთავრობო პორტალები, რომლებზეც მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფებისთვის საინტერესო ინფორმაცია თავსდება. შესაძლებელია ფორმების და ბლანკების ჩამოტვირთვა, აუტენტიფიკაციის (იდენტიფიკაციის) მექანიზმების დანერგვა;
- *მეოთხე სტადია* - მომხმარებელს ინტერნეტის მეშვეობით ურთიერთობის საშუალება აქვს. ინტერნეტის დახმარებით მოქალაქეებს შეუძლიათ ხმა მისცენ არჩევნებში და რეფერენდუმებში, მიიღონ სხვადასხვა დოკუმენტი: პასპორტი, მართვის მოწმობა, ვიზა, ლიცენზია და ა.შ. ამავე ეტაპზე შესაძლებელია ინტერნეტის გამოყენებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა და ა.შ.;
- *მეხუთე სტადია* - მთავრობას ყველა სახის მომსახურების განწევა შეუძლია ინტერნეტის მეშვეობით.

ასევე განასხვავებენ ელექტრონული გამჭვირვალობის რამდენიმე დონეს, რომლებიც შეესაბამება მთავრობის კონკრეტული საქმიანობის სფეროზე ძირითადი ინფორმაციის გამოქვეყნების, საჯარო სექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე კონკრეტული დეტალების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების, სახელმწიფო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის, საჯარო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის სტადიებს.

მთავრობის მიერ მოქალაქეებისთვის შეთავაზებული ელექტრონული მომსახურება შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დავყოთ:

- მთავრობის სხვადასხვა უწყების ვებ-გვერდებზე საკონტაქტო ინფორმაციის, დებულებების, ამ უწყებების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებისა და მათი პროექტების, თანამშრომელთა სიისა და საკონტაქტო (სამსახურებრივი) მონაცემების განთავსება;
- კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა სახელმწიფო ორგანოებიდან;

- სხვადასხვა გამოცემის გამოწერა;
- მთავრობის წარმომადგენლებთან ინტერნეტის მეშვეობით ურთიერთობა, შეკითხვების დასმა და კონსულტაციის მიღება;
- სახელმწიფო უწყებების სხდომების ინტერნეტის მეშვეობით თვალყურის დევნება;
- სახელმწიფო შესყიდვებში ელექტრონული ფორმით მონაწილეობა;
- არჩევნებში ხმის ინტერნეტის მეშვეობით მიცემა;
- სხვადასხვა დოკუმენტის მისაღებად ან მათი ვადის გასაგრძელებლად (მაგალითად, ავტომობილის მართვის უფლების მოწმობის, გადასახადის ანკეტის შევსება და გადასახადის გადახდა, ვიზის მიღების ან გაგრძელების მოთხოვნა, სამსახურში ასაყვანად განცხადების ფორმის შევსება, ა.შ.) განცხადების ინტერნეტის მეშვეობით შევსება.

სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა ელექტრონული გამჭვირვალობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამისთვის მთავრობები შესყიდვებს ინტერნეტის მეშვეობით ახორციელებენ და ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის ღიაა. მაგალითად, ჩილემ 1998 წელს სპეციალური ორგანო - კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველო ჩამოაყალიბა. სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მთავრობის საქმიანობის კოორდინირება დაევალა. სამმართველომ შექმნა ცენტრალიზებული სისტემა, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ ინფორმაცია ერთ ვებ-გვერზე ქვეყნდება. როდესაც რომელიმე საჯარო დაწესებულებას შესყიდვის განხორციელება სურს, ინფორმაცია ეგზავნება სამმართველოს, რომელიც ამ ვებ-გვერდის საშუალებით სისტემაში რეგისტრირებულ კერძო კომპანიებს უკავშირდება. ამასთანავე, ვებ-გვერდზე მოთავსებულია სრული ინფორმაცია არა მხოლოდ დაგეგმილი, მიმდინარე და განხორციელებული საჯარო შესყიდვების შესახებ, არამედ სტატისტიკური მონაცემებიც და შესყიდვებში მონაწილე კერძო კომპანიების შესახებ ინფორმაციაც.

ელექტრონული გამჭვირვალობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია არჩევნების ელექტრონულად ჩატარება. პალესტინამ 1996 წელს ღია და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენა, რაც ამ სფეროში სპეციალური კანონმდებლობის შემუშავების შედეგად განხორციელდა. დღეს არჩევნების ჩასატარებლად ელექტრონულ ტექნოლოგიებს საკმაოდ ბევრი ქვეყანა იყენებს. ინტერნეტის მეშვეობით არჩევნებში ხმის მიცემასთან ერთად მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ არჩევნების მსვლელობისთვის თვალყურის დევნება, საარჩევნო კანდიდატებსა და მათ მიერ მიღებულ ხმებზე ინფორმაციის მიღება.

ელექტრონული მმართველობის განვითარება

ქვემოთ სახელმწიფო დანესებულებების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ვებ-გვერდის მეშვეობით მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების სტატისტიკა² მოყვანილი:

	2001	2002	2003	2004	2005
ჩრდილოეთ ამერიკა	28%	41%	45%	53%	56%
წინარი ოკეანის კუნძულები	19	14	17	43	24
აზია	12	26	26	30	38
ახლო აღმოსავლეთი	10	15	24	19	13
დასავლეთ ევროპა	9	10	17	29	20
აღმოსავლეთ ევროპა	-	2	6	8	4
ცენტრალური ამერიკა	4	4	9	17	15
სამხრეთ ამერიკა	3	7	14	10	19
რუსეთი/ცენტრალური აზია	2	1	1	2	3
აფრიკა	2	2	5	8	7

აშშ-ს მთავრობამ ელექტრონული მმართველობის დასაწარმოებლად მუშაობა 1993 წელს დაიწყო. შემდეგ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა დიდ ბრიტანეთში³, ავსტრალიაში⁴, კანადასა და ჰოლანდიაში. საკითხის განხილვა დაიწყო ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც, როგორცაა ლიდერი მ ქვეყნისგან შემდგარი ე.წ. “დიდი რვიანი” და ევროკომისია. 2000 წელს საერთაშორისო დონეზე ელექტრონული მმართველობის შემოღების საკითხებზე “დიდმა რვიანმა” “გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ოკინავას ქარტია” შეიმუშავა. ხსენებულ დოკუმენტზე დაყრდნობით საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო⁵ შეიქმნა. 2001 წელს გენუაში დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში საბჭომ შემდეგი რეკომენდაციები შეიტანა:

- ეროვნული საინფორმაციო ტექნოლოგიების (ით) სტრატეგიის შემუშავებაში განვითარებადი ქვეყნების დახმარება;
- ქსელების დაკავშირების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა;
- კადრების განვითარება და განათლება;
- IT განვითარებისთვის მენარმეობის წახალისება;

² Global E-Government, 2005 by Darrell M. West, Brown University

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავებაში თანამშრომლობა;
- განვითარებადი ქვეყნების გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში ჩასართავად მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დაფინანსება;
- შიდსსა და სხვა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- ადგილობრივი საინფორმაციო რესურსების მომზადება და დამუშავება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე გამოსაყენებად;
- “დიდი რვიანისა” და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროგრამების მუშაობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრიორიტეტულობა.

აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე ბევრ განვითარებად ქვეყანაში, განსაკუთრებით აფრიკაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით მრავალი პროგრამა დაიწყო. ამ პროგრამების კოორდინირებას გაერო ახორციელებს.

ევროკომისიამ წამოიწყო ინიციატივა „ელ-ევროპა“. ინიციატივის ფარგლებში ევროპის კავშირმა 2000 წელს ლისაბონში დირექტივით მიიღო ‘ელ-ევროპის“ 2002 წლის გეგმა. გეგმის შესაბამისად უნდა წახალისდეს:

- იაფი, ჩქარი და უსაფრთხო ინტერნეტის დანერგვა,
- მოსახლეობისთვის კომპიუტერის და ინტერნეტის მოხმარების სწავლების ინვესტირება,
- ინტერნეტის გამოყენება.

შემდე ეტაპზე კი ევროკავშირის სხვადასხვა დაწესებულებების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა დაინერგა.

ამ პერიოდში აშშ-ს მოქალაქეებისთვის სამთავრობო ინფორმაციასა და მომსახურებაზე ინტერნეტის მეშვეობით ხელმისაწვდომობა საკმაოდ გაიზარდა. 2000 წლისთვის აშშ-ს მოქალაქეებს უკვე შეეძლოთ ფედერალური მთავრობის ინფორმაციის ინტერნეტში ძებნა ვებ-გვერდიდან **www.firstgov.gov**.

³ A Green Paper on the Electronic Delivery of Government Services

⁴ Clients First. The Challenge for Government Information Technology

⁵ Digital Opportunity Task Force (G8 DOT Force)

დიდ ბრიტანეთში 2001 წლისთვის სამთავრობო შესყიდვების 90% ელექტრონულ ფორმატში ხორციელდებოდა. კანადაშიც განახორციელა ელ-მმართველობის კონცეფცია სამთავრობო პორტალის www.canada.gc.ca მეშვეობით.

2006 წლიდან ევროკავშირის ქვეყნების განვითარება ელექტრონული მმართველობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაიწყო, საუკეთესო გამოცდილება შეირჩევა და მისი ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებში გამოყენება მოხდება. საუკეთესო გამოცდილების ფარგლებში დღეისთვის უკვე შერჩეულია შემდეგი სისტემები: **Revenue On-Line** (ირლანდია), **KSI ZUS** (პოლონეთი), **Kadaster-on-line** (ჰოლანდია) და ანგარიშების ელექტრონული მიღების სისტემა (დანია).

ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდების 56% ოფიციალურ ინფორმაციასა და ნორმატიულ აქტებთან ერთად საჭირო დოკუმენტის ან კონსულტაციის ინტერნეტით მოძიების, მოთხოვნისა და მიღების შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, შესაძლებელია კითხვის ან კომენტარის ელექტრონული ფოსტით გაგზავნა, საკომიტეტო მოსმენებზე ინტერნეტის მეშვეობით დასწრება, დებატებისა და გამოსვლებისთვის თვალყურის მიდევნება, მთავრობის წარმომადგენლებთან ინტერნეტ ფორუმებში მონაწილეობა. აშშ-ს მთავრობა გეგმავს კომპიუტერების დადგმას სუპერმარკეტებში, კაფეებსა და მაღაზიებში, რათა იმ მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ კომპიუტერი, მათ მიერ არჩეულ დეპუტატთან ინტერნეტის მეშვეობით დაკავშირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ელექტრონული მმართველობის, მისი განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის რიგ ქვეყნებში სპეციალური უწყებები შეიქმნა; ზოგან ეს ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველმა ორგანომ ან სახელმწიფო მინისტრმა შეითავსა, განხორციელება და კოორდინაცია კი სხვადასხვა სამინისტროებს (ფინანსთა, მეცნიერების, შინაგან საქმეთა) დაევალა.

როგორც წესი, რეგიონალური განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს ევალებათ, ხოლო საქმიანობის კოორდინაცია რომელიმე მინისტრის მოვალეობაა.

ელექტრონული მმართველობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

საერთაშორისო კანონმდებლობა

ევროკავშირის ზემოჩამოთვლილ დირექტივებთან ერთად, რომლებიც ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ მიიღო, აღსანიშნავია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის **რეკომენდაცია (2004)15 ელექტრონული მმართველობის შესახებ**, რომელიც წევრ სახელმწიფოებს შესაბამის საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით ერთიანი ელექტრონული მმართველობის ხედვის ჩამოსაყალიბებლად მუშაობისკენ მოუწოდებს. რეკომენდაციის მიზანი ელექტრონული მმართველობის სტრატეგიების შემუშავებაში წევრი ქვეყნებისთვის დახმარების გაწევაა. ეს კი საჯარო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებას ურთიერთობებში, აგრეთვე თავად საჯარო ხელისუფლების შიდა ურთიერთობებში, მის ფუქციონირებასა და საჯარო მომსახურების გაწევაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ეფექტურს გახდის.

ეროვნული კანონმდებლობა

ელექტრონული მმართველობის სფეროს რეგულირების მიზნით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნამ მიიღო მთელი რიგი კანონებისა, კერძოდ:

პოლონეთმა 2005 წელს საჯარო საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებათა კომპიუტერიზაციის შესახებ აქტი მიიღო. აქტით საჯარო ხელისუფლების ყველა სექტორისთვის ჰორიზონტალური/ინფრასტრუქტურული პროგრამებია დანერგილი და პოლონეთის საჯარო სექტორის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის ერთიანი ქსელია შექმნილი.

ლატვიამ 2002 წელს სახელმწიფო საინფორმაციო სისტემების შესახებ კანონი მიიღო, რომელიც საკანონმდებლო ჩარჩოს ქმნის სახელმწიფო საინფორმაციო სისტემებისთვის და მასში ჩართულ ადმინისტრაციულ ერთეულებს თანამშრომლობას ავალდებულებს. კანონის მიზანი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საინფორმაციო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა.

ლიტვამ სახელმწიფო რეესტრის შესახებ კანონი მიიღო, რომელიც სახელმწიფო ელექტრონული რეესტრების შემოღებას, მართვას, ფუქციონირებასა და ლიკვიდაციის საკითხებს აწესრიგებს; კანონი ასევე არეგულირებს რეესტრებს შორის ურთიერთკავშირს და სახელმწიფო რეესტრის მართვისა და ზედამხედველობის ორგანოებს განსაზღვრავს.

იტალიამ 2005 წელს ელექტრონული ადმინისტრაციული კოდექსი მიიღო, რომლის მიზანი ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და ეფექტური, მომხმარებელზე ორიენტირებული სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნაა. კოდექსი საჯარო ადმინისტრაციას შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით გაცვლასა და ისეთი ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსებას ავალდებულებს, როგორცაა უწყების ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომელთა ელექტრონული ფოსტების ნუსხა, უწყების მიერ განეული ელექტრონული მომსახურების ჩამონათვალი, მოქალაქებისა და კომერციული სტრუქტურებიდან ელექტრონული ფულადი გადარიცხვების მიღება და ა.შ.

ჩეხეთმა 2000 წელს საჯარო ადმინისტრაციის საინფორმაციო სისტემების შესახებ აქტი მიიღო, რომელიც საჯარო ადმინისტრაციის საინფორმაციო სისტემების განვითარებაში ჩართულ პირებსა და დაწესებულებებს, მათ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს.

ფინეთმა 2003 წელს საჯარო სექტორის ელექტრონული მომსახურების და კომუნიკაციის აქტი მიიღო, რომელმაც მონაცემთა ელექტრონული გაცვლის ნახალისების გზით საჯარო ადმინისტრაციაში, სასამართლოში და ძალოვან სტრუქტურებში მომსახურების და კომუნიკაციის ხარისხი, სიჩქარე და ინფორმაციის უსაფრთხოების დონე უნდა აამაღლოს. აქტი ელექტრონული მომსახურების და კომუნიკაციის სფეროში სტრუქტურებისა და მომხმარებლების უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს.

ავსტრიამ 2004 წელს ელექტრონული მმართველობის აქტი მიიღო, რომელიც ელექტრონული მომსახურების განმახორციელებელ საჯარო მმართველობის ყველა უწყებას თანამშრომლობას ავალდებულებს. ახალი მექანიზმების (როგორცაა ელექტრონული ხელმოწერა, პერსონალური იდენტიფიკატორები ან დოკუმენტების ელექტრონული მიღება) გამოყენება კერძო სექტორშიც შესაძლებელია. აქტის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპებია: საჯარო ადმინისტრაციისადმი მიმართვის ფორმის არჩევის თავისუფლება, მონაცემთა დაცვისათვის შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენება (მაგალითად, მოქალაქის ბარათის შემოღება), 2007 წლისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საჯარო ადმინისტრაციიდან ყველა საჭირო ინფორმაციის ინტერნეტის მეშვეობით მიღების შესაძლებლობის მიცემა.

ჰოლანდიას არ აქვს კონკრეტული კანონი ელ-მმართველობის შესახებ, თუმცა მუშავდება რამდენიმე აქტი, რომლებიც ელექტრონული მმართველობის დამკვიდრების შემადგენელი ნაწილია, მაგალითად, შემდეგ სფეროებში: ფიზიკური პირების, კომპანიების და მინების ძირითადი რეესტრი, მოქალაქის ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათი და ა.შ.

ჰოლანდიაში ასევე ძალაშია სახელმწიფო ინფორმაციის (საჯარო ხელმისაწვდომობის) აქტი (1991წ.), პირადი მონაცემების დაცვის აქტი (2000წ.), ელ-ვაჭრობის აქტი (2000წ.), ტელეკომუნიკაციის აქტი (2004წ.), ელექტრონული ხელმოწერის აქტი (2003წ.). თუმცა ქვეყანას რატიფიცირებული აქვს ევროკავშირის დირექტივები ელ-შესყიდვების და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესახებ.

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა (მაგ., სლოვენია, სლოვაკეთი, საფრანგეთი,) ელექტრონული მმართველობის კანონმდებლობაზე ჯერ კიდევ მუშაობს, თუმცა ამ ქვეყნებში სხვადასხვა ნორმატიული აქტი მოქმედებს, რომლებიც სახელმწიფო ადმინისტრაციაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების რიგ ასპექტებს არეგულირებს. ბელგიაში, კვიპროსში, დანიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, ირლანდიასა და ლუქსემბურგში ინფორმაციის თავისუფლების, მონაცემთა დაცვის/კონფიდენციალურობის, ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული კომუნიკაციების, ელექტრონული ხელმოწერების სფეროებში ცალკეული კანონებია მიღებული.

ქვემოთ აღნიშნულ რამდენიმე ქვეყანაში ამ სფეროში ევროპის რეგიონისთვის დამახასიათებელი კანონმდებლობა მოქმედებს:

დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც ელექტრონული არჩევნები ჩატარდა. ბრიტანეთს ელექტრონული მმართველობის მარეგულირებელი კონკრეტული კანონი არ აქვს. იქ ამ სფეროს სხვადასხვა კანონი არეგულირებს:

- ინფორმაციის თავისუფლების აქტი (2000წ.) ძალაში სრულად 2005წ. შევიდა და საჯარო სექტორიდან ინფორმაციის მიღების საშუალებას საზოგადოების ნებისმიერ წევრს აძლევს. აქტი დახურული ინფორმაციის გაცემის ვალდებულებასაც ადგენს, თუ ამ ინფორმაციის გამჟღავნებას საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს. შოტლანდიაში ინფორმაციის თავისუფლების (შოტლანდიის) აქტი (2002წ.) მოქმედებს;
- მონაცემთა დაცვის აქტი (1998წ.) ევროკავშირის მონაცემთა დირექტივის (95/46/ჩ) განსახორციელებლად იქნა მიღებული. აქტი პერსონალურ მონაცემთა მოხმარების რეჟიმს არეგულირებს და მონაცემთა დაცვის რვა პრინციპისგან შედგება. დადგენილი წესები სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისთვის.
- ელექტრონული ვაჭრობა ელექტრონული კომუნიკაციის აქტითა (2000წ.) და ელექტრონული ვაჭრობის (ევროკავშირის დირექტივის) დებულებით (2002წ.) რეგულირდება. აქტი სტიმულს აძლევს ელექტრონულ კომუნიკაციებსა და ელექტრონული

ხელმონერების გამოყენებას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. ხელმონერების გამოყენებას აწესრიგებს ელექტრონული ხელმონერების დებულებაც (ევროკავშირის დირექტივა 1999/93/EC). კომუნიკაციების სფერო ასევე რეგულირდება კონფიდენციალურობის და ელექტრონული კომუნიკაციების დებულებით (ევროკავშირის ელ-კონფიდენციალურობის დირექტივა);

ელექტრონული შესყიდვების სფეროში დიდ ბრიტანეთს სპეციალური კანონი არ აქვს, თუმცა, სავარაუდოდ, იგი ევროკავშირის დირექტივის რატიფიცირებას მოახდენს. 2005 წელს მიღებულ იქნა ევროკავშირის დირექტივა საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახლა გამოყენებაზე და საჯარო სექტორის ინფორმაციის ოფისი შეიქმნა.

ესტონეთში, რომელიც ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთი პიონერი ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ერთიანი კანონი ელექტრონული მმართველობის შესახებ მიღებული არ არის. სფერო შემდეგი კანონებითა და აქტებით რეგულირდება:

- სახელმწიფო ინფორმაციის აქტი (2000წ.) სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და კერძო დაწესებულებებს ეხება, რომლებიც საქმიანობას საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სოციალური და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროებში ახორციელებენ. აქტის თანახმად ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერ პირს შეუძლია და მას პასუხი 5 დღეში უნდა გაეცეს. ელექტრონული ფოსტით მოთხოვნის გაგზავნა ინფორმაციის ოფიციალურ მოთხოვნად ითვლება. მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად გადასახადი არ გადაიხდება იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კვლევის მიზნებისთვის არის საჭირო. აქტი ინფორმაციის მიღების უფლების დაშვებისა და კონფედენციალურობის საკითხებსაც არეგულირებს. სახელმწიფო დეპარტამენტებს დოკუმენტაციის რეესტრი უნდა ჰქონდეთ, ეროვნულ და ადგილობრივ დეპარტამენტებს უნდა ჰქონდეთ ვებ-გვერდი, რომელშიც უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემები, ბიუჯეტი, კანონპროექტები, თანამდებობის პირების მოვალეობები, მათი კვალიფიკაცია და საკონტაქტო ინფორმაცია, ამათთან, ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის განახლებასა და სიზუსტეს. აქტის განხორციელებაზე მონიტორინგს მონაცემების დაცვის ინსპექტორატი ახორციელებს.
- პირადი მონაცემების დაცვის აქტი (1996წ.) იცავს პიროვნების ფუნდამენტურ უფლებებს პირადი მონაცემების სფეროში, ასევე

მის უფლებას, შეუზღუდავად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებისთვის ვრცელდება. აქტის შესაბამისად არსებობს დაფარული და ღია მონაცემები. დაფარული მონაცემებია პიროვნების პოლიტიკური შეხედულება, რელიგიური რწმენა, ეთნიკური წარმოშობა და ა.შ. ღია მონაცემების მოპოვება დაშვებულია იმ პიროვნების თანხმობის გარეშე, ვისაც ეს ინფორმაცია ეხება.

- ინფორმაციის სახელმწიფო მომსახურების აქტი (2004წ.) უკავშირდება ევროკავშირის 2000/31/EC დირექტივის შესრულებას - საინფორმაციო სახელმწიფო მომსახურების სფეროს კანონმდებლობის ზოგიერთ საკითხებს, კერძოდ კი, ელექტრონული ვაჭრობის საკითხებს შიდა ბაზარზე.
- ელექტრონული კომუნიკაციის აქტი (2004წ.) ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს შემოღებას უკავშირდება. აქტის მიზანი ელექტრონული კომუნიკაციის ქსელებისა და საკომუნიკაციო მომსახურების განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და ელექტრონული მომსახურების სერვისის მომხმარებელთა ინტერესების დაცვაა.
- ელექტრონული ხელმოწერის აქტი (2000წ.) ელექტრონულ ხელმოწერას ხელნაწერი ხელმოწერის ექვივალენტურ ძალას ანიჭებს და სახელმწიფო დანესებულებებს ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტების მიღებას ავალდებულებს.
- სახელმწიფო შესყიდვებს არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების აქტი (2000წ.). მისი რეგულირების სფეროში ხვდება სახელმწიფო ტენდერის ელექტრო ნოტიფიკაციის წესები სახელმწიფო შესყიდვების სახელმწიფო რეესტრის საშუალებით. თუმცა, აქტი არ ეხება ელ-შესყიდვების სფეროს (ელ-აუქციონები, ელ-კატალოგები). ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა ახლა მუშავდება.
- მონაცემთა ბაზის აქტი (1997წ.) არეგულირებს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნასა და მომსახურებას სახელმწიფო სექტორში და მონაცემთა ბაზების სახელმწიფო რეესტრი შემოაქვს.
- პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის აქტი (1999წ.) აწესებს მოთხოვნებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართ და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ელექტრონული სახელმწიფო რეესტრი შემოაქვს.

პოლონეთში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ ნორმებთან ერთად საჯარო საქმიანობის განმახორციელებელ

დანესებულებათა საქმიანობის კომპიუტერიზაციის შესახებ აქტი და 1997 წელს მიღებული პირად მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი მოქმედებს. ელექტრონული კომერციის სფეროში 2002 წელს სამი აქტი იქნა მიღებული: ელექტრონული საშუალებებით მომსახურების განვების შესახებ, ელექტრონული საშუალებებით განეული ზოგიერთი მომსახურების დაცვის შესახებ და ელექტრონული გადახდის ინსტრუმენტების შესახებ.

ევროკავშირის ელ-კომუნიკაციების მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად 2004 წელს პოლონეთმა ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონი მიიღო, 2001 წელს კი - ელექტრონული ხელმოწერის შესახებ აქტი. 2004 წელს აგრეთვე მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის შესაბამისად პოლონეთის საჯარო სამსახურში შემოდის 'ელ-შესყიდვების' ცნება. პოლონეთმა აგრეთვე მოახდინა ევროკავშირის (2003/98/EC) დირექტივის რატიფიცირება საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის აგვისტოში ელ-მმართველობის სპეციალური კომისია შეიქმნა, ხოლო 2002 წელს ელ-მმართველობის სტრატეგია დამტკიცდა. სტრატეგიის მიზანია:

- მოსახლეობისთვის მომსახურების მიღებისა და ფედერალურ მთავრობასთან კავშირის გაადვილება;
- მთავრობის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის შეკითხვებზე მთავრობის რეაგირების გაუმჯობესება.

სტრატეგია ორიენტირებულია შედეგზე, მომხმარებელზე და არა ბიუროკრატიულ პროცედურებზე. ის აქტიურად უწყობს ხელს ინოვაციებს. ელ-მმართველობა მოსახლეობისა და ბიზნესის წარმომადგენლების მთავრობასთან ურთიერთობებში ძალზედ მნიშვნელოვანი ელემენტია.

2002 წელს პრეზიდენტმა ელ-მმართველობის აქტს მოაწერა ხელი, რომლის მიზანი ფედერალური ორგანოების საქმიანობის საინფორმაციო ტექნოლოგიებით გაძლიერება, საინფორმაციო უსაფრთხოების სტანდარტებისა და პროგრამების შექმნა და სტატისტიკური მიზნებისთვის გაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დასაცავად ერთიანი გარანტიების შემოღებაა. აქტით განსაზღვრულ იქნა რიგი ღონისძიებებისა, რამაც ფედერალური მმართველობის ორგანოებში მომსახურების გასაწევად სამთავრობო დანესებულებების მიერ ელექტრონული ინფორმაციით სარგებლობის ხარისხის ამაღლება განაპირობა. აქტის შესაბამისად ფედერალურმა ორგანოებმა საზოგადოებასთან ურთიერთობაში

ინტერნეტი უნდა გამოიყენონ, ჩამოაყალიბონ ინფორმაციის ცენტრალიზების სტანდარტები და ინტერნეტის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის გაცემა გაზარდონ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მენეჯმენტისა და საბიუჯეტო ოფისში აქტის შესრულებაზე პასუხისმგებელი ელექტრონული მმართველობის ოფისი შეიქმნა. ეს სამსახური აქტის შესაბამისად მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით მოხსენებას ყოველწლიურად აკეთებს. მასვე ევალება მთავრობის მიერ დაფინანსებული კომპიუტერისა და ინტერნეტის მოხმარების ცენტრების (საზოგადოებრივი ტექნოლოგიის ცენტრები, საჯარო ბიბლიოთეკები და ა.შ.) შესახებ კვლევის ჩატარება.

საყურადღებოა, რომ აქტი საჯარო დაწესებულებებს ინფორმაციის გავრცელებას ინტერნეტთან ერთად სხვა ხერხებითაც ავალდებულებს.

აქტის 206-ე მუხლი საზოგადოების მონაწილეობას აძლიერებს და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ფედერალური მთავრობის განვითარებას აუშჯობესებს. ეს მუხლი დაწესებულებებს ნორმატიული აქტების პროექტებზე ელექტრონული კომენტარების მიღებასა და ელექტრონული დოსიების შექმნას ავალდებულებს, რაც მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დასასრულს ელექტრონულად მომზადებული ნორმატიული აქტი ვებ-გვერდზე (<http://www.regulations.gov>) განთავსდება, რათა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ეს ვებ-გვერდი 2003 წელს შეიქმნა და, ექსპერტთა შეფასებით, მისი მეშვეობით მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მთავრობის მიერ ქალაქის მოძრაობით დოკუმენტაციის წარმოების აღმოფხვრის აქტი (1998 წ.) ფედერალურ ორგანოებს ინფორმაციისა და გადასახადების ელექტრონული ფორმატით მიღების უზრუნველყოფას ავალდებულებს 2003 წლიდან.

ფედერალური ტელეკომუნიკაციის აქტი (1996წ.), შტატებს ავალდებულებს სკოლების, ჯანდაცვის დაწესებულებებისა და ბიბლიოთეკებისთვის უნივერსალური (ერთიანი) ტელეკომუნიკაციის სისტემის უზრუნველყოფას. ისეთ დაწესებულებებში კი, როგორცაა საზოგადოებრივი ტექნოლოგიური ცენტრები, კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენება ყველა მსურველს უნდა შეეძლოს.

კლინგერ-კოჰენის აქტი (1996წ.) მთავრობის, კონგრესისა და პრეზიდენტის მუშაობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობას ცნობს და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტის რეფორმის აქტსა და ფედერალური შესყიდვების რეფორმის აქტს აკანონებს. ეს ორი აქტი, ერთად კლინგერ-კოჰენის აქტად ცნობილი, ფედერალური მთავრობის

დანესებულებების ხელმძღვანელებს ინვესტიციების საინფორმაციო ტექნოლოგიებში დანესებულების მიღწევებთან დაკავშირებას ავალდებულებს. აქტი ასევე მოითხოვს, რომ დანესებულებების ხელმძღვანელებმა მათი საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინვესტიციების არჩევის, მართვისა და კონტროლის პროცედურები დანერგონ.

ფედერალური შესყიდვების ოპტიმალურად ჩატარების აქტის (1994წ.) მიხედვით ფედერალური მთავრობის დანესებულებებმა პროექტის დაგეგმვისას კარგი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ და შედეგზე ორიენტირებულნი იყვნენ.

1993 წელს მთავრობის საქმიანობის შედეგის აქტი იქნა მიღებული.

ელექტრონული მმართველობის ბოლო სტადიის რეალიზაციისთვის აშშ-ში ვებ-გვერდი: www.firstgov.gov შეიქმნა. ამ პორტალში აშშ-ს 27 მილიონი ფედერალური სამმართველო ერთეულია გაერთიანებული. 2006 წელს ამერიკის შეერთებული შტატების გადასახადების 15%-ის ინტერნეტის მეშვეობით გადარიცხვებით მიღება იგეგმება. ამასთან, არსებობს სხვა სახელმწიფო პორტალები, რომელთა მომსახურების თემატიკა უფრო ვიწროა. მაგალითად, საკონსულტაციო მომსახურება საპრეზიდენტო ადმინისტრაციიდან: “დაუსვი კითხვა თეთრ სახლს” (<http://www.whitehouse.gov/ask/>).

კანადა ბოლო პერიოდში ელ-მმართველობის ლიდერად ითვლება. ქვეყანაში შეიქმნა მთავრობის პორტალი: www.canada.gc.ca. კანადის მოსახლეობის 31% მთავრობასთან ინტერნეტით ურთიერთობს.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აქტი (1985წ.), სამთავრობო დანესებულებების კონტროლით, არსებული ინფორმაციის მიღების წესებს არეგულირებს, საზოგადოებისთვის ღია და დახურული ინფორმაციის სახეებს განსაზღვრავს და მოითხოვს, რომ დახურული ინფორმაცია რაც შეიძლება მცირე და კონკრეტულად განსაზღვრული იყოს. აქტი ინფორმაციის ყველა შესაძლო ალტერნატიული ფორმით გაცემას მოითხოვს.

კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის აქტი (1985წ.) პიროვნების შესახებ საჯარო დანესებულებებში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასა და ინფორმაციის მიღების უფლების უზრუნველყოფას ეხება.

1993 წელს ტელეკომუნიკაციების აქტი იქნა მიღებული.

1998 წელს კანადის ხაზინის საბჭომ ფინანსური ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად შეიმუშავა ქვეყნის კომუნიკაციის პოლიტიკა. აქტი 2002 წელს

შეიცვალა. პოლიტიკის მიზანი მთავრობასთან კომუნიკაციის კარგი კოორდინირება, მისი ეფექტურად მართვა და საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. 2004 წლისთვის საბჭომ დეპარტამენტებსა და სააგენტოებთან კონსულტაციების შემდეგ ფედერალური ინტერნეტ/ინტრანეტის და ელექტრონული ქსელების ერთიანი ფორმატი შეიმუშავა. ქსელებში ფედერალური იდენტიფიკაციის პროგრამა გამოიყენება.

1998 წლის თებერვლიდან ფედერალური მთავრობის დაწესებულებების მიერ ელექტრონული ქსელების უფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების საკითხის დასარეგულირებლად ხაზინის საბჭომ ფინანსური ადმინისტრაციული აქტის და საჯარო სამსახურის თანამშრომელთა ურთიერთობის აქტის შესაბამისად ელექტრონული ქსელების გამოყენების პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც ხელს უწყობს უფლებამოსილ პირებს გამოიყენონ ელექტრონული ქსელები მთავრობასთან, სხვა უფლებამოსილ პირებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში და გაიუმჯობესონ ცოდნა ელექტრონული ქსელების მოხმარების დარგში.

ფინანსური ადმინისტრაციის აქტი (1998წ.) ელექტრონული გადახდების განხორციელების ფორმას ადგენს და ელექტრონული გადახდების დებულებებს შეიცავს.

2000 წელს მიღებულ იქნა პირადი ინფორმაციის დაცვისა და ელექტრონული დოკუმენტების აქტი, რომელიც ელექტრონული დოკუმენტების შედგენას, მოხმარებას, გადაგზავნასა და ელექტრონული ხელმოწერის მიღების წესებს განსაზღვრავს.

კანადის საარჩევნო აქტის (2000წ.) შესაბამისად კანდიდატებს საარჩევნო ორგანოებისთვის თავის შესახებ ინფორმაციისა და საარჩევნო პლატფორმის ელექტრონული ფორმატით გადაგზავნა შეუძლიათ. მომავლისთვის ელექტრონული ხმის მიცემის ტესტირება და დანერგვა დაგეგმილი.

კანადაში ასევე შემუშავებულია ფედერალური იდენტიფიკაციის პროგრამა, რომლის მიზანი ქვეყანაში ერთიანი და დაკავშირებული ადმინისტრაციის შექმნა და კანადელებისთვის საკუთარი მთავრობის გაცნობაში ხელშეწყობაა. პროგრამა 160 სამთავრობო უწყებას მოიცავს.

2002 წელს მთავრობის უსაფრთხოების პროგრამა შემუშავდა, რომლის მიზანი სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა და საფრთხეების რისკის შემცირებაა. პოლიტიკა შემუშავებულია საჯარო მოსამსახურეების დასაცავად, კონფიდენციალურობის, ერთიანობის, ხელმისაწვდომობის შესანარჩუნებლად.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, კანადის წარმატება ელ-მმართველობის განვითარებაში ამ საკითხისადმი ქვეყნის პირველი პირების დამოკიდებულებამ განაპირობა. 1997 წლიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ყოველთვის ხაზს უსვამდა ელ-მთავრობის დანერგვის მნიშვნელობას. ამასთან, მთავრობა ყოველთვის კარგად აფინანსებდა ამ სექტორის განვითარებას. 1999 წლიდან მინისტრების მოადგილეების კომიტეტს⁶ ელ-მმართველობის დანერგვის უზრუნველყოფა დაევალა. მთავრობის ელ-მმართველობის დანერგვაზე პასუხისმგებელი წარმომადგენლებისგან შეიქმნა ინიციატივა „ელექტრონული კავშირი მთავრობასთან“⁷, მომსახურება კატეგორიების შესაბამისად იქნა ორგანიზებული და არა ცალ-ცალკე, თითოეული დეპარტამენტის მიერ. ამასთან, მთავრობამ კვლევა ჩაატარა იმის დასადგენად, თუ რა სახის მომსახურება სჭირდებოდა მოსახლეობას და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა დანერგვას. მთავრობამ მოქალაქეების, ბიზნესმენებისა და მეცნიერებისგან შემდგარი მრჩეველთა კომიტეტი შექმნა, რომელიც ინიციატივის „ელექტრონული კავშირი მთავრობასთან“ განხორციელებაში კონსულტაციას უწევდა მთავრობას.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ელ-მთავრობის პროგრამების წარმატებით განხორციელებისათვის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზაა საჭირო. მთავრობას უნდა ჰქონდეს ცალსახად გამოკვეთილი პოლიტიკური ნება და თავად იყოს ლიდერი გამჭვირვალობისა და ანგარიშგების მისაღწევად კანონების, პროცედურებისა და პოლიტიკის განვითარებაში.

III. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა საქართველოში

ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხების მარეგულირებელი ნორმები ხუთ პირობით ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ესენია:

1. საერთაშორისო ნორმები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ,
2. კონსტიტუციური ნორმები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ,
3. სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობა,
4. კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კომერციულ, პირად და პროფესიულ საიდუმლოებას და ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვის სხვა შემთხვევებს,

⁶ A Committee of Deputy Ministers, (TIMS - The Telecommunications and Informatics Management Subcommittee)

⁷ http://www.ged-gol.gc.ca/index_e.asp

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
წინამდებარე ნაშრომში თითოეული მათგანია განხილული.

1. საერთაშორისო ნორმები

ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია (ევროპის საბჭო)

- საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის 1940 დადგენილებით.

კონვენციის 10.1 მუხლის შესაბამისად ყველა პირს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია საზღვრების მიუხედავად. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამგვარი შეზღუდვა წარმოადგენს აუცილებლობას – “დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისთვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების განსახორციელებლად”.

კონვენცია განსაზღვრავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სავალდებულო მინიმუმს და არა მათ ამომწურავ ჩამონათვალს. სწორედ ამიტომ, დოკუმენტის 53-ე მუხლში ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისათვის.

2. კონსტიტუციური ნორმები

საქართველოს კონსტიტუცია

- მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.

24-ე მუხლი:

ასევე ადასტურებს ადამიანის უფლებას, შეუზღუდავად მიიღოს ინფორმაცია. ეს უფლება, ევროპული კონვენციის მსგავსად, შეიძლება შეზღუდულ იქნეს მხოლოდ კანონით და “ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული

ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად”.

37-ე მუხლი:

ანესებს ყოველი ადამიანის უფლებას, ჰქონდეს დროული, სრული და ობიექტური ინფორმაცია სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს, მისი მდგომარეობის შესახებ.

41-ე მუხლი:

ქვეყნის მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, გაეცნონ მათ შესახებ არსებულ ინფორმაციას, რომელიც ინახება სახელმწიფო დაწესებულებებში. ამავე მუხლით გარანტირებულია მოქალაქეთა უფლება, გაეცნონ სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ნებისმიერ დოკუმენტს, თუ იგი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

მუხლის მეორე პუნქტი ზღუდავს ინფორმაციის გაცემას, თუ იგი დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან. ასეთი ინფორმაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ ადამიანის თანხმობით, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, ან კანონით დადგენილ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის გაცემა “აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად”.

3. სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობა

სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი ‘სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ’. 1997 წელს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის 42 ბრძანებულება⁸, რომლითაც კანონის ასამოქმედებლად საჭირო შემდეგი ნორმატიული აქტები დამტკიცდა:

- “სახელმწიფო საიდუმლოებისთვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი“;
- “სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა“;
- “იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება“;
- “იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა“;

⁸“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების შესახებ

ჩამოთვლილ აქტებთან ერთად სახელმწიფო საიდუმლოების ცალკეულ დეტალებს არეგულირებს რიგი დებულებებისა, რომლებიც ფრაგმენტულად არის მოცემული 'ნორმატიული აქტების შესახებ', "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ", "სადაზვერვო საქმიანობის შესახებ", 'სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ' და საქართველოს სხვა კანონებში, აგრეთვე მათ საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტებში.

ამ ნაშრომში სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობის მხოლოდ ის ძირითადი დებულებებია აღწერილი, რომლებიც საინტერესოა ინფორმაციის თავისუფლების კუთხით.

ინფორმაციის მიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად

"სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის 1.1 მუხლის შესაბამისად, ინფორმაციის მიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ის შემდეგ მოთხოვნას აკმაყოფილებს: შეიცავს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროს მიკუთვნებულ ისეთ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. იმ ინფორმაციის ზოგადი ჩამონათვალი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, კანონის მე-7 მუხლშია მოცემული. ეს ჩამონათვალი უფრო დეტალურად არის გაშლილი "სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში" (პრეზიდენტის 42-ე ბრძანებულება).

ამავე კანონის მე-8 მუხლში განსაზღვრულია ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ეს არის:

- ნებისმიერი ცნობა, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს ან შელახოს ადამიანის ძირითად უფლებები და თავისუფლებები, ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას;
- ნორმატიული აქტი, საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, გარდა:
 - თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ფინანსთა სამინისტროების, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტებისა, რომლებიც აწესრიგებენ ამ უწყებების შიდა საქმიანობას

თავდაცვის, უშიშროებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კუთხით;

- ინფორმაცია სტიქიური უბედურებების, კატასტროფებისა და სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომლებიც მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას;
- ინფორმაცია გარემოს მდგომარეობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის, ცხოვრების დონის, სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების, აგრეთვე მოსახლეობის განათლებისა და კულტურის შესახებ;
- ინფორმაცია კორუფციის, კრიმინოლოგიური მდგომარეობისა და თანამდებობის პირთა უკანონო ქმედებების შესახებ;
- ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ მინიჭებული პრივილეგიების, კომპენსაციებისა და შეღავათების შესახებ;
- ინფორმაცია სახელმწიფო სავალუტო ფონდისა და ოქროს საერთო მარაგის შესახებ;
- ინფორმაცია სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა ჯანმრთელობის შესახებ.

იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც უფლება აქვთ, მიაკუთვნონ ესა თუ ის ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას, დამტკიცებულია პრეზიდენტის 42-ე ბრძანებულებით.

სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხი

არსებობს ოთხი ხარისხის სახელმწიფო საიდუმლოება და შესაბამისად – ოთხი გრიფი. ესენია:

- განსაკუთრებული მნიშვნელობის (მასთან გათანაბრებულია - TOP SECRET), რომელიც ენიჭება ინფორმაციას, თუ მისმა გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება, არსებითად იმოქმედოს ქვეყნის ინტერესებზე თავდაცვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, გამოიწვიოს განსაკუთრებით მძიმე შედეგები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა ან ორგანიზაციისთვის;
- სრულიად საიდუმლო (მასთან გათანაბრებულია – SECRET), რომელიც ენიჭება ინფორმაციას, თუ მისმა გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები თავდაცვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური, აგრეთვე “კონფიდენტების”⁹ ინტერესებისთვის ან/და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა ან ორგანიზაციისთვის;

⁹ “კონფიდენტი” – პირი, რომელიც ფარულად თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის სფეროში

- საიდუმლო (მასთან გათანაბრებულია - CONFIDENTIAL), რომელიც ენიჭება ინფორმაციას, თუ მისმა გავრცელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქვეყნის თავდაცვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს, ან/და თუ მისმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა ან ორგანიზაციის ინტერესებს;

- შეზღუდული სარგებლობისთვის (მასთან გათანაბრებულია - RESTRICTED), რომელიც ენიჭება ინფორმაციას, თუ მისმა გავრცელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის თავდაცვაზე, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა ან ორგანიზაციის ინტერესებსა და საქმიანობაზე.

სახელმწიფო საიდუმლოების ვადა

ინფორმაციის გასაიდუმლოების მაქსიმალური ვადა დამოკიდებულია მისი საიდუმლოების ხარისხზე, კერძოდ:

- “განსაკუთრებული მნიშვნელობის” საიდუმლო ინფორმაცია მაქსიმუმ 20 წლით შეიძლება დაიხუროს;
- “სრულიად საიდუმლო” ინფორმაცია მაქსიმუმ 10 წლით შეიძლება დაიხუროს;
- “საიდუმლო” ინფორმაცია მაქსიმუმ 5 წლით შეიძლება დაიხუროს;
- “შეზღუდული სარგებლობისთვის” ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა 3 წელია.

ამავე დროს, საიდუმლოების ვადის გაგრძელების უფლება აქვთ პრეზიდენტსა და სპეციალური სამსახურების ხელმძღვანელებს.

დაშვება სახელმწიფო საიდუმლოების გასაცნობად

სახელმწიფო საიდუმლოების გასაცნობად საჭიროა, რომ:

1. კონკრეტულ პირს ჰქონდეს შესაბამისი კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოების გაცნობის ზოგადი უფლება,
2. სახელმწიფო საიდუმლოების განმკარგველი კონკრეტული უწყების უფლებამოსილმა პირმა სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება საიდუმლო ცნობებთან მის დასაშვებად.

სახელმწიფო საიდუმლოების კონკრეტული კატეგორიის გაცნობის უფლება შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, თუ მას ინფორმაცია სამსახურებრივი ან სამეცნიერო-კვლევითი

საქმიანობისთვის ესაჭიროება. უცხოეთის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე საიდუმლოებასთან დაშვების უფლების გაცემა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზეა შესაძლებელი.

საიდუმლოებასთან დაშვების შესახებ გადაწყვეტილება შესაბამისი შემონიშნების შემდეგ მიიღება, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური 1 თვის ვადაში ახორციელებს.

თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებსაც უფლება აქვთ, დაუშვან პირი სახელმწიფო საიდუმლოებასთან, დამტკიცებულია პრეზიდენტის 42-ე ბრძანებულებით.

პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების კანონმდებლობის დარღვევისთვის

სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის ან გამჟღავნებისთვის დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის:

313-ე მუხლი:

ანესებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისთვის იმ პირის მიერ, ვინც ეს ინფორმაცია იცოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ან თუ მას იგი განდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

314-ე მუხლი:

ანესებს პასუხისმგებლობას ჯაშუშობისთვის, ანუ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების შეგროვების ან გადაცემისთვის უცხო ქვეყნის, უცხოური ორგანიზაციის ან მათი წარმომადგენლისთვის.

320-ე მუხლი:

ანესებს პასუხისმგებლობას საიდუმლოს გახმაურებისთვის განზრახ, ან იმ პირის მიერ, ვინც ეს ინფორმაცია იცოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ან თუ მას იგი განდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ გარემოებებთან დაკავშირებით. 313-ე მუხლისგან განსხვავებით, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისთვის ინფორმაციის მიწოდება უცხო ქვეყნისთვის (წარმომადგენლისთვის) ან მისი საჯაროდ გამჟღავნება აუცილებელი არ არის,.

321-ე მუხლი:

ანესებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველისადმი მოპყრობის წესების დარღვევისთვის, თუ ამან საიდუმლოების შემცველის დაზიანება, დაკარგვა ან განადგურება გამოიწვია.

4. კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კომერციულ, პირად და პროფესიულ საიდუმლოებას და ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვის სხვა შემთხვევებს

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს.

კოდექსის მიერ დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სიტყვის თავისუფლების ხელყოფისთვის, ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმის ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებისთვის, შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნებისთვის და იმ ინფორმაციის დამალვისთვის, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის გარემოსა და ჯანმრთელობას. კერძოდ:

მუხლი 153 (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადგენს ქმედებისთვის, რომლითაც ხელი შეეშალა პირს, გამოეყენებინა ინფორმაციის მიღების უფლება. პასუხისმგებლობის დადგომის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მნიშვნელოვანი ზიანის არსებობა ან ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მუხლი 167 (ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა)

ისჯება უკანონოდ პირისთვის უარის თქმა, ან სხვაგვარად უკანონოდ ხელის შეშლა იმ ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე, რომელიც მის უფლებებსა და თავისუფლებებს შეეხება. მუხლი პასუხისმგებლობას ადგენს ასეთი ინფორმაციის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენის შემთხვევაშიც. ქმედების დასჯადობისთვის ასევე საჭიროა მნიშვნელოვანი ზიანის დადგომა.

მუხლი 175 (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება)

დანაშაულად აცხადებს ინფორმაციის გამჟღავნებას შვილად აყვანის ფაქტის შესახებ, თუ ეს ქმედება განხორციელებულია მშვილებლის ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 247 (სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება)

ისჯება ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება იმ ფაქტისა და მოვლენის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, მის ჯანმრთელობას ან გარემოს. მუხლი გაზრდილ პასუხისმგებლობას აწესებს იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული სახელმწიფო მოხელის მიერ არის ჩადენილი.

2. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მიღებულია 1997 წლის 10 დეკემბერს.

კანონი (მუხლი 42) მედიცინის მუშაკებისა და სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებისთვის სამედიცინო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ადგენს.

3. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ მიღებულია 2000 წლის 5 მაისს.

კანონის თანახმად, ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს იცოდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს ან ვნებს მის ჯანმრთელობას. სახელმწიფო ვალდებულია, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ასევე ინდივიდუალური მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მოქალაქეებს ეს ინფორმაცია (მუხლი 16).

კანონი (მუხლი 21) ასევე ადგენს პაციენტის თანხმობის აუცილებლობას მის შესახებ სამედიცინო ჩანაწერებში არსებული და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემისათვის. ეს ინფორმაცია დახურულია როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ასევე მისი გარდაცვალების შემდეგ (მუხლი 27). გამონაკლისს წარმოადგენს გარემოება, როდესაც ინფორმაციის გაუცემლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ან როდესაც ინფორმაციის გაცემა ხდება პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით.

4. საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ მიღებულია 1995 წლის 23 ივნისს.

კანონი ადგენს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას. კერძოდ, კანონის 21.1 მუხლის შესაბამისად, ბანკის არცერთ მუშაკს, თანამშრომელს, აუდიტორს, აგენტს ან კორესპოდენტს ან ეროვნული ბანკის საბჭოს ყოფილ წევრს არ აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას, გაავრცელოს ან პირადი სარგებლობისთვის გამოიყენოს ამგვარი ინფორმაცია. აღნიშნული სახის ინფორმაცია მიენოდება მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატას და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

კანონის შესაბამისად, ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება გაეცეს მხოლოდ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს; სხვა შემთხვევაში აღნიშნული მონაცემები გაიცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის საფუძველზე (მუხლი 21.3-4)

5. საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ მიღებულია 1997 წლის 12 ნოემბერს.

კანონის შესაბამისად, სტატისტიკის ორგანოები ვალდებული არიან, კრებისითი სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა

უზრუნველყონ (მუხლი 17(გ)) და საქართველოს რეზიდენტ პირებს მათ შესახებ არსებული ინფორმაცია (მუხლი 17(დ)) მიაწოდონ.

ამავე დროს, სტატისტიკის ორგანოები ვალდებული არიან, პირველადი მონაცემების კონფიდენციალურობა დაიცვან (მუხლი 17(ბ)). შეკრებილი ინფორმაცია კონფიდენციალურია, თუ იგი დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (მუხლი 12(1)).

აკრძალულია არა მხოლოდ კონფიდენციალური მონაცემების შემცველი მასალის გავრცელება, არამედ იმ მასალისაც, რომლის გამოყენებით ამგვარი მონაცემების დადგენა შესაძლებელია (მუხლი 12(2)).

6. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ მიღებულია 1996 წლის 3 მაისს.

კანონის თანახმად, ნოტარიუსს ევალება სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული ცნობების საიდუმლოების დაცვა. ნოტარიუსის აღნიშნული მოვალეობა ძალაში რჩება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც (მუხლი 9).]

7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი მიღებულია 2004 წლის 22 დეკემბერს.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო საიდუმლოებად მიიჩნევა საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა დღგ-ს გადამხდელის დასახელებისა და მისამართისა, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრისა და სამეწარმეო რეესტრსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწიფო რეესტრში შეტანილი მონაცემებისა¹⁰ (მუხლი 122.1). გადამხდელთა შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ კოდექსით განსაზღვრული პირებისთვის და განსაზღვრული მიზნით (მუხლი 122. 2).

საგადასახადო საიდუმლოებად გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია მიიჩნევა აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს ევალებათ არ გაახმაურონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება (მუხლები 101.7 და 122. 3).

8. საქართველოს საბაჟო კოდექსი მიღებულია 2006 წლის 25 ივლისს

საბაჟო კოდექსი ადგენს “კომერციული საიდუმლოების” დეფინიციას, რომელიც განსხვავდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ცნებისგან. საბაჟო კოდექსის მიხედვით, პირის მიერ

¹⁰ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 34) თანახმად, რეესტრის მონაცემები საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიიღოს ამონაწერი მისი გაცემის დღისთვის დაფიქსირებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ძირითადი სამართლებრივი ფაქტების შესახებ.

საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაცია კომერციული საიდუმლოებაა. საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საბაჟო ორგანოებში წარდგენილი ინფორმაციის, გადაცემა, ისევე როგორც საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა, შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი პირებისთვის: ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლების, სასამართლოსა და სასამართლო აღმასრულებლების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა ქვეყნის საგადასახადო ორგანოებისთვის (მუხლი 16.1).

საბაჟო კოდექსით დადგენილი “კომერციული საიდუმლოების” დეფინიცია ვერ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლით განსაზღვრული კომერციული საიდუმლოების ფაქტობრივ და პროცედურულ პირობებს. კომერციულ საიდუმლოებად მისაჩნევად ინფორმაცია უნდა იყოს ფასეული კომერციული თვალსაზრისით და უნდა არსებობდეს ინფორმაციის წარმდგენი პირის მოთხოვნა კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის თაობაზე,

5. საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების შესახებ მიღებულია 2005 წლის 13 მაისს

კანონი განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის დედნიდან სხვადასხვა მატარებელზე (ფურცელი, კომპაქტურ დისკი, დისკეტა, აუდიო და ვიდეო კასეტა) ინფორმაციის გადატანისთვის მოსაკრებლის ოდენობას. ამასთან მოსაკრებელი არ გადაიხდევინება ინფორმაციის მომთხოვნის ელექტრონულ მატარებელზე ინფორმაციის ჩანერისას, ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გაგზავნისას და ფიზიკური პირის მიერ დანესებულებაში მასზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას (მუხლი 7).

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 1999 წლის 25 ივნისს არის მიღებული. მასში ადმინისტრაციული აქტის, მისი გამოცემის, აღსრულებისა და გასაჩივრების, ადმინისტრაციული წარმოების, ადმინისტრაციული გარიგების, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები და სისტემაა ჩამოყალიბებული. ამავე დროს, ინფორმაციის თავისუფლების კუთხით კოდექსი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და მექანიზმები მასში ყველაზე ვრცლად და დეტალურად არის მოცემული.

კოდექსის III თავი ეძღვნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებს, რომელთაგან ძირითადი ქვემოთ იქნება განხილული.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ინფორმაციის მოთხოვნა და მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, მისი

მოქალაქეობის მიუხედავად. ამისთვის ინფორმაციის გამოთხოვის წერილობითი პროცედურაა დადგენილი.

გამოთხოვილი შეიძლება იქნეს ინფორმაციის როგორც ნებისმიერი შემცველი, ასევე მისი ასლი, რისთვისაც მხოლოდ ასლის დამზადებისათვის საჭირო საზღაური შეიძლება დაწესდეს.

საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაშია შეზღუდული: 1) როდესაც ეს კანონითაა გათვალისწინებული და 2) როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.

სახელმწიფო საიდუმლოებისადმი ინფორმაციის მიკუთვნების წესი დარეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით (რაც ზემოთ იქნა განხილული). კოდექსი დამატებით ადგენს რეჟიმს, რომლის შესაბამისად 1990 წლის 28 ოქტომბრამდე მიღებული ყველა სახელმწიფო საიდუმლოება ღიად არის გამოცხადებული.

რაც შეეხება სხვა საიდუმლოებებს, მათი დეფინიცია და ინფორმაციის ამ კატეგორიებზე მიკუთვნების პრეცედურები კოდექსში ზოგადად არის მოცემული. კერძოდ:

- კომერციული საიდუმლოება არის ის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეიძლება გააჩნდეს საკუთარი კომერციული საიდუმლოება. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ ინიციატივა მისი მესაკუთრისგან უნდა მოდიოდეს, თუმცა მისი გასაიდუმლოების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ის საჯარო დაწესებულება იღებს, რომელშიც ეს ინფორმაცია ინახება;
- პირადი საიდუმლოება არის ის ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (პერსონალური მონაცემი) და რომლის პირად საიდუმლოდ მიჩნევას მოითხოვს მისი მესაკუთრე. კომერციული საიდუმლოებისგან განსხვავებით, ინფორმაციის პირად საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მისი მესაკუთრე იღებს. ამასთან, კოდექსი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს თანამდებობის პირთა¹¹ (თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების ღიაობას.
- პროფესიული საიდუმლოება სხვა პირის კომერციული ან პირადი საიდუმლოებაა, რაც პირისთვის პროფესიული მოვალეობის

¹¹ “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირები.

შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი, შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია პროფესიული საიდუმლოების სახით საჯარო დაწესებულებაში ვერ იქნება დაცული.

გადაწყვეტილება ინფორმაციის კომერციულ ან პირად საიდუმლოებად მიჩნევასთან დაკავშირებით შეიძლება მესამე პირის მიერ გასაჩივრებული იქნეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში. ამავე დროს, ინფორმაცია სხვისი პირადი ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის შესახებ ფიქსირდება საჯაროდ, მომთხოვნის ვინაობის, მისამართისა და მოთხოვნის თარიღის მითითებით.

კოდექსით ასევე დადგენილია აღმასრულებელი პრივილეგიის ცნება, რაც შეიძლება ნაწილობრივ მივაკუთნოთ საიდუმლო ინფორმაციის სახეს. აღმასრულებელი პრივილეგიით კანონი გამხელისგან იცავს იმ საჯარო მოხელის ვინაობას, რომელიც ამა თუ იმ გადაწყვეტილების მომზადებაში იღებდა მონაწილეობას.

ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას კოდექსი ყველა საჯარო დაწესებულებას აკისრებს, რაც მოიცავს როგორც სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს, ასევე საჯარო ფუნქციის განმხორციელებელ სუბიექტებსა (პოლიტიკური პარტიებისა და რელიგიური გაერთიანებების გარდა) და იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსება აქვთ მიღებული (ამ დაფინანსების ფარგლებში).

ინფორმაციის გამოსათხოვად პირმა საჯარო დაწესებულებას განცხადებით უნდა მიმართოს, რომელშიც ინფორმაციის მოთხოვნის მოტივისა და მიზნის მითითება სავალდებულო არ არის. თუ პირი სხვა პირის კომერციულ ან პირად საიდუმლოებას ითხოვს, მაშინ განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს ამ პირის წერილობითი თანხმობაც. ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ ან მაქსიმუმ 10 დღის ვადაში, თუ შესაბამისი დოკუმენტის გასაცემად მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოა ჩასატარებელი.

ინფორმაციის გაცემაზე საჯარო დაწესებულების უარი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაცხადებული. უარი ინფორმაციის გაცემაზე გამოცემული უნდა იქნეს წერილობით, ადმინისტრაციული აქტის ფორმით, მისი გაცხადებიდან 3 დღის ვადაში. აქტში პირის უფლებები და გასაჩივრების წესი უნდა იყოს განმარტებული.

უარის გასაჩივრება შეიძლება როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე სასამართლოში, კერძოდ:

- ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება დასაშვებია უარის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 თვის ვადაში. თუ საჯარო დაწესებულებამ დაარღვია ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ

ადმინისტრაციული აქტის გამოცემის წესები, მაშინ მისი გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა არ არის შეზღუდული. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა, როგორც წესი, შეზღუდულია 1 თვით;

- სასამართლოში უარი შეიძლება გასაჩივრდეს როგორც პირდაპირ, ასევე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში გასაჩივრების შემდგომ. თუ პირმა ამოწურა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში გასაჩივრების ყველა რესურსი და ამის შემდეგ მიმართა სასამართლოს, მაშინ იგი თავისუფლდება სასამართლო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან. ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების დროს მტკიცებულების ტვირთი აწევს საჯარო დაწესებულებას. პირს, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებით უკანონოდ ეთქვა უარი ინფორმაციის მიღებაზე, შეუძლია მოითხოვოს როგორც სრული მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება.

კოდექსის მიხედვით, ყველა კოლეგიური საჯარო დაწესებულების¹² სხდომა ღია უნდა იყოს. სხდომის დახურვა შესაძლებელია, თუ სხდომაზე სახელმწიფო, კომერციული ან პირადი ინფორმაციის შემცველი საკითხი განიხილება. სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის, დღის წესრიგისა და სხდომის დახურვის (ასეთის შემთხვევაში) შესახებ კოლეგიური საჯარო დაწესებულება საჯაროდ აცხადებს სხდომამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე.

კოდექსი ღიად აცხადებს ყველა ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ, პირად ან პროფესიულ საიდუმლოებას, ან რომელიც არ არის დაცული აღმასრულებელი პრივილეგიით. ამავე დროს, კოდექსი იმ ინფორმაციის კატეგორიას განსაზღვრავს, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია (მუხლი 42). კერძოდ, კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება, იცოდეს:

- ა) გარემოსა და იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება;
- ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოხელეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
- დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოხელეთა ვინაობა და სამსახურის მისამართი, რომელთაც საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავიათ ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება ევალებათ;

¹² კოლეგიური საჯარო დაწესებულება – დაწესებულება რომელშიც გადაწყვეტილებას ამზადებს ან იღებს ერთზე მეტი პირი.

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადანყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურის მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე შეიტანა მოთხოვნა;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემების გაცნობის უფლება კანონით აქვთ მინიჭებული;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ ინფორმაცია გროვდება, მუშავდება და ინახება.

ამავე დროს, კოდექსი ადგენს საიდუმლო ინფორმაციის ნებისმიერი გამოცალკავებადი არასაიდუმლო ნაწილის საჯაროდ ხელმისაწვდომობის ვალდებულებას.

კოდექსის შესაბამისად ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია, აწარმოოს საჯარო რეესტრი, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. რეესტრში აღირიცხება:

- ინფორმაციის დასახელება, მისი შექმნის, მიღების ან გაცემის თარიღისა და ადრესატის შესახებ მონაცემები;
- ინფორმაცია კომერციული ან პირადი საიდუმლოების მოთხოვნის ფაქტზე – მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;
- ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ;
- გადანყვეტილება ინფორმაციის გასაიდუმლოებისა და გასაიდუმლოების ვადის გაგრძელების შესახებ;

- საიდუმლო ინფორმაციის გამოცალკევებად ნაწილზე მითითება, აგრეთვე ინფორმაცია პირზე, რომელმაც მისი გასაიდუმლოების შესახებ გადანყვეტილება მიიღო, გასაიდუმლოების საფუძვლისა და ვადის მითითებით;
- კოლეგიური ორგანოს სხდომის დახურვის თაობაზე სახელობითი კენჭისყრის შედეგების შესახებ.

49-ე მუხლის შესაბამისად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ყოველწლიურად, 10 დეკემბერს, პრეზიდენტთან და პარლამენტთან წარადგინოს წლიური ანგარიში, რომელშიც სრული ინფორმაცია უნდა აისახოს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადანყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადანყვეტილებათა რაოდენობის, გადანყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადანყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური საელის დადების შესახებ;

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას დაწესებულება ეყრდნობოდა;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადანყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადანყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის გადანყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.”

IV. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი პრობლემების მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 1999 წლის 25 ივნისს იქნა მიღებული. დოკუმენტის სრულყოფის მიზნით მასში შვიდჯერ შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები. კოდექსის წლების მანძილზე მოქმედებისა და მასში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეალურად განხორციელების ხელშემშლელი უამრავი ფაქტორი მაინც არსებობს. კვლევის წინამდებარე თავში სწორედ ამ პრობლემებზე იქნება საუბარი.

1. წინააღმდეგობა კანონმდებლობაში

სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობის ნაწილი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელ კანონმდებლობას შორის მრავალი წინააღმდეგობაა. კერძოდ:

- *იმ ინფორმაციის განსაზღვრის საკითხში, რომელიც შეიძლება, გასაიდუმლოდეს:* მნიშვნელოვანი სხვაობაა ნორმათა ამ ორი კრებულის მიერ დადგენილ იმ ინფორმაციის ჩამონათვალში, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ამავე დროს, კოდექსი ინფორმაციის გასაიდუმლოებისთვის აუცილებლად მიიჩნევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის ამომწურავი ჩამონათვალის განსაზღვრას უშუალოდ კანონში, მაშინ როდესაც სახელმწიფო საიდუმლოებას მისაკუთვნიებული ინფორმაციის ნუსხა კანონქვემდებარე აქტით არის დადგენილი. ამასთანავე, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი ინფორმაციის გასაიდუმლოების დროებით რეჟიმს ითვალისწინებს იმ ინფორმაციისთვის, რომელიც საიდუმლო ნუსხაშიც კი არაა მითითებული, რაც კოდექსის მოთხოვნებს არსებითად ეწინააღმდეგება;
- პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხში, რადგან ხსენებული აქტები ამ ინფორმაციების შეგროვებისა და ხელმისაწვდომობის განსხვავებულ რეჟიმებს ადგენენ;
- *საიდუმლო ინფორმაციის მოთხოვნის, გაცემისა და გამოქვეყნების პროცედურებს შორის:* კოდექსი ითვალისწინებს საიდუმლო დოკუმენტების ღია ნაწილების გამოქვეყნების ვალდებულებას, რასაც სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ სცნობს. გარდა ამისა, სახელმწიფო საიდუმლოების კანონმდებლობის მიხედვით საიდუმლო დოკუმენტაციის მოძრაობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია, მაშინ როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსი ამგვარი ინფორმაციის ნაწილობრივ გამოქვეყნებას ითვალისწინებს;

- კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ დახურული სხდომის ჩატარების პროცედურის საკითხში;

სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს შორის არსებული სამართლებრივი წინააღმდეგობები უფრო ვრცლად 1 დანართშია მოცემული.

პერსონალური მონაცემების ნაწილი

გაურკვევლობაა პირადი საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად ზღუდავს ყველა იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც ადამიანის ფინანსებთან, ჯანმრთელობასთან ან სხვა პირად საკითხებთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით ამ სახის ყველა ინფორმაცია შესაძლოა, პირად საიდუმლოებას არ იყოს მიკუთვნებული. წინააღმდეგობასა და გაურკვევლობას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ პირადი საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების შესახებ ცალკე კანონი არ არსებობს და ეს სფერო მხოლოდ კონსტიტუციის ერთი დეკლარაციული დებულებითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რამდენიმე მუხლით რეგულირდება.

2. არასრულყოფილი რეგულაციები და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვაძლევს გარკვეული განზოგადებული დასკვნების გაკეთების საფუძველს - მხარე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვადების გაჭიანურების გამო, კარგავს ინფორმაციის მიღების ინტერესს. ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოები ყველა ეტაპზე და მათ შორის სასამართლოშიც გულგრილად და უყურადღებოდ ეკიდებიან თავიანთ ვალდებულებებს. სასამართლო პროცესებზე მათი გამოუცხადებლობაც კანონისადმი მათი უპატივცემულობის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ადმინისტრაციულ ორგანოთა, ასევე სასამართლო აქტებსაც ხშირ შემთხვევაში აკლია შესაბამისი დასაბუთებულობა და შეფასება.

მიუხედავად ჩვენთან დაგროვებული საკმაოდ დიდი გამოცდილებისა, ინფორმაციის თავისუფლების სფეროში ერთ-ერთ პრობლემად სამწუხაროდ კვლავ რჩება ზოგიერთი საკანონმდებლო ხარვეზი. უფრო სწორედ არსებული, ზოგიერთ შემთხვევაში მცდარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, რასაც თავის მხრივ ზოგიერთი ნორმის ნაკლები სიმკვეთრე განაპირობებს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მრავალი საკითხი და ინსტიტუტი უფრო დეტალურ, ცალსახა და სრულყოფილ რეგულირებას საჭიროებს.

არსებული ხარვეზების გამო საჯარო დაწესებულებებისა და სასამართლოების მიერ ხშირია ასეთ ნორმათა არაერთგვაროვანი განმარტება და გამოყენება. არასრულყოფილი რეგულაციები და სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნება განსაკუთრებით შემდეგი საკითხების მიმართ ვლინდება:

- საჯარო ინფორმაციის იდენტიფიცირება და საჯარო დაწესებულებათა ვალდებულებები მისი მოძიების, დამუშავებისა და გაცემის სფეროში;
- ინფორმაციის თავისუფლების (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი) გავრცელება სასამართლო სისტემაზე, პროკურატურაზე, სახელმწიფო უშიშროების საბჭოსა და სხვა დაწესებულებებზე;
- კომერციული საიდუმლოებისადმი ინფორმაციის მიკუთვნება, მისი დამუშავება და დაცვა;
- მტკიცების ტვირთი ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების დროს;
- პირადი საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების საიდუმლოების აღრევა;
- სასამართლო პროცესის ხარჯები და ინფორმაციის გაუცემლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

3. კოდექსის დანერგვა კანონქვემდებარე დონეზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანერგვა კანონქვემდებარე აქტების დონეზე რეალურად არ მომხდარა. ეს კი მნიშვნელოვნად აფერხებს კოდექსის მოქმედებას პრაქტიკაში. უფრო მეტიც, საჯარო დაწესებულებებში მოქმედი დებულებები და ინსტრუქციები არ ითვალისწინებს ან წინააღმდეგობაშია კოდექსის მოთხოვნებთან. მაგალითად, საჯარო დაწესებულებებში საქმის წარმოება დღემდე 1999 წელს გამოცემული პრეზიდენტის ბრძანებულებით მიმდინარეობს, რომელიც დოკუმენტბრუნვის აღრიცხვისა და სისტემატიზაციის კოდექსისგან სრულიად განსხვავებულ მოთხოვნებს აწესებს და დოკუმენტების საჯაროობის საკითხებს საერთოდ არ ითვალისწინებს. იმის მიუხედავად, რომ კოდექსი ზემდგომი იურიდიული ძალის მქონე აქტია, პრაქტიკაში ადმინისტრაციული ორგანოები მეტ ანგარიშს სწორედ პრეზიდენტის ბრძანებულებას უწევენ.

4. კოდექსის მოთხოვნათა იგნორირება პრაქტიკაში

კოდექსის ნორმათა დიდი ნაწილი, როგორც წესი, საჯარო დაწესებულებების მიერ ირღვევა. მაგალითად:

- ინფორმაციის გაცემისთვის კანონით დადგენილი ვადების დაცვის პრეცედენტი პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს. ინფორმაციის გაცემა უმრავლეს შემთხვევაში დიდი ხნის დაგვიანებით ხდება;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები გამოთხოვილი ინფორმაციის დროულად მოძიებას ვერ უზრუნველყოფენ. საჯარო დაწესებულებების (მოხელეების) უმრავლესობის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა სავალდებულო საჯარო ფუნქციის განხორციელებად არ აღიქმება და ხშირად მას მეორეხარისხოვან, ფაკულტატურ ფუნქციად მიიჩნევენ. თავად დაწესებულებების ხელმძღვანელებს არასწორად და არაერთგვაროვნად აქვთ გაგებული ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და უფლებამოსილება. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ მოხელეებს ღია და დახურული ინფორმაციის გამიჯვნა, მოპოვება და მოქალაქისთვის დროული მიწოდება უჭირთ, ამიტომ მოქალაქეებს თავად უხდებათ სხვადასხვა ოთახში სიარული და ინფორმაციის “მათხოვრობა”;
- ინფორმაციის სტატუსი წინასწარ არ არის განსაზღვრული და მხოლოდ ინფორმაციის გამოთხოვის შემდეგ იწყება მსჯელობა იმის შესახებ, ღიაა იგი თუ დახურული.
- როგორც წესი, კანონით დადგენილი სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის გამოქვეყნება არ ხდება.

V. სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შეღარებითი ანალიზი

ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო აქტი არის 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი ‘სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ’. კანონის საფუძველზე 1997 წელს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის 42 ბრძანებულება, რომლითაც დამტკიცდა კანონის ასამოქმედებლად საჭირო ნორმატიული აქტები:

- “სახელმწიფო საიდუმლოებისთვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი”;

- “სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა“;
- “იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება“;
- “იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებიც უფლებამოსილი არიან, გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა“;

ჩამოთვლილ აქტებთან ერთად სახელმწიფო საიდუმლოების ცალკეულ დეტალებს საქართველოს კონსტიტუციაში, “ნორმატიული აქტების შესახებ“, “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, “სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ“, “სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“, “სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“ და საქართველოს სხვა კანონებში ფრაგმენტულად მოცემული რიგი დებულებები და მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები არეგულირებს.

ზემოთ ჩამოთვლილი აქტები ერთიანობაში სახელმწიფო საიდუმლოების მარეგლამენტირებელ კანონმდებლობას ქმნიან, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებთან მიმართებაში იქნა შესწავლილი და გაანალიზებული.

რაც შეეხება თვით ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს (შემდეგ “კოდექსი“), იგი 2000 წლის 1 იანვარს ამოქმედდა.

სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობის მომზადებისა და მიღების პერიოდში ინფორმაციის ღიაობის საკითხების განმსაზღვრელი და საზოგადოების მიერ მისი მოპოვების რეალური მექანიზმების დამდგენი რაიმე ნორმატიული აქტი საქართველოში არ მოქმედებდა. ამან სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით შემუშავებული კანონმდებლობის “არაკონკურენტულ“ გარემოში მიღება გამოიწვია, რის გამოც მასში ჩადებული რიგი დებულებების რაციონალურად გააზრება ბოლომდე არ მომხდარა და ეს ნორმები, საბოლოო ჯამში, როგორც ერთმანეთთან, ისე მოგვიანებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიერ დადგენილ მექანიზმებთან შეუსაბამო აღმოჩნდა.

სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი ნორმების ურთიერთშეუსაბამობის ფაქტები განხილული იქნება ჩვენს ანგარიშში “ადმინისტრაციულ ორგანოებში აღნიშნული კანონმდებლობის იმპლემენტირების შესახებ“. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებთან კონფლიქტის ანალიზს ქვემოთ გთავაზობთ.

ინფორმაციის გასაიდუმლოება

კოდექსის 30-ე მუხლი ადგენს, რომ ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გასაიდუმლოდეს, “თუ კანონი ... შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს”. სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობა ამ დებულებას ენიშნავს, რადგან უშუალოდ კანონში “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის მხოლოდ ზოგადი კრიტერიუმებია მოცემული, კონკრეტული ჩამონათვალი კი პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ “სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაშია” მოცემული, რაც კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტია.

კოდექსის ამ მოთხოვნას (და თავად “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონსაც) პირდაპირ ენიშნავს კანონი “საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ”. ამ კანონის მე-5 და მე-9 მუხლებით სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნა ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებული არ არის არც ‘სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ’ კანონში და არც ნუსხაში.

ხსენებულ დებულებას ენიშნავს “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონის მე-15(2) მუხლიც, რომელიც ისეთი ცნობის წინასწარი გასაიდუმლოების პროცედურას აწესებს, რომლის იდენტიფიკაცია ნუსხაში შემავალ ცნობებთან ვერ ხერხდება. ამგვარი გამონაკლისები კი საფუძველშივე გამორიცხავს კოდექსის მიერ დადგენილი “ამომწურავი ჩამონათვალის” არსებობის შესაძლებლობას არა მარტო კანონში, არამედ კანონქვემდებარე აქტებშიც კი.

ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხებში სხვა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაცაა. კერძოდ, კოდექსი (42-ე მუხლი), ისე როგორც კანონი “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” (მე-8 მუხლი), იმ ინფორმაციის ჩამონათვალს იძლევა, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ამ დოკუმენტებში მოცემული ჩამონათვალი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება (გარდა კოდექსის 42(ა) და კანონის 8(4)(ა), ნაწილობრივ 8(4)(ბ) მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობებისა) და კოდექსის 42-ე მუხლში ჩამოთვლილი ინფორმაციის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას ‘სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ’ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული აქტების შესაბამისად.

კერძოდ, დღეს არსებული მდგომარეობის მიხედვით გასაიდუმლოებულია 42-ე მუხლის ჩამონათვალში შესული შემდეგი ინფორმაცია:

- დანესებულების სტრუქტურა და მოსამსახურეთა ფუნქციების აღწერა (42(გ) მუხლი), აგრეთვე საჯარო დანესებულების თანამდებობის პირთა ვინაობა (42(დ) მუხლი) - იმდენად

რამდენადაც “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონის მე-7(1)(გ) მუხლი და ‘სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ მე-5(1)(3) და მე-5(1)(7) მუხლები რიგი დანესებულებების სტრუქტურის, შემადგენლობისა და ფუნქციონალური მოვალეობების დასაიდუმლოების ვალდებულებას ადგენენ;

- კოლეგიურ საჯარო დანესებულებაში გადანვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები (42(ე) მუხლი) - რადგან “სახელმწიფო საიდუმლოებისთვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესის“ 9 კარის შესაბამისად, დახურული თათბირების კენჭისყრის შედეგებიც და მთლიანად მსვლელობაც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს;
- სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დანესებულება მხარეს წარმოადგენს (42(ზ) მუხლი) - რადგან “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მე-5(ბ) მუხლის შესაბამისად სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია, საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა უზრუნველყოს, რაც სასამართლოსთვის წარდგენილი საიდუმლო დოკუმენტების დაცვასაც გულისხმობს;
- საჯარო მონაცემთა ბაზის ადგილსამყოფელი და მასზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა და მისამართი (42(თ) მუხლი) - რადგან საიდუმლო ბაზების ადგილსამყოფელი, ისე როგორც მათზე პასუხისმგებელი და მათთან მომუშავე პირების ვინაობა დასაიდუმლოებულია “სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ მე-5(1)(7) მუხლის, აგრეთვე შიდა დებულებების მიხედვით.

პერსონალური მონაცემები

კოდექსის 39-ე, 42(კ) მუხლების მიხედვით ყველა პირს აქვს უფლება, იცოდეს ნებისმიერ საჯარო დანესებულებაში მის შესახებ პერსონალური მონაცემების არსებობის შესახებ და დაუბრკოლებლად გაეცნოს მათ.

მართალია, აღნიშნული წესი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებებზე (კოდექსის მე-3(4)(ა) და მე-3(4)(ბ) მუხლები) არ ვრცელდება, მაგრამ არსებობს სპეცოროგანოთა საქმიანობის კიდევ ერთი (პრინციპში ძირითადი) მიმართულება, რომლის განსახორციელებლად შესაბამისი უწყებები პერსონალური მონაცემების ფარულ შეგროვებას აწარმოებენ.

კერძოდ, საუბარია დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოების მიერ ინფორმაციის (მათ შორის პერსონალურის) შეგროვებაზე არა სისხლის

სამართლებრივი დევნის ფარგლებში, არამედ მდგომარეობის შესწავლისა და ანალიზის მიზნით საფრთხის პროგნოზირებისა და რისკის შესაფასებლად. სწორედ ამ საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები ეწინააღმდეგება კოდექსის ხსენებულ დებულებებს.

“სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სადაზვერვო საქმიანობის მიზანია “რეალური და პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა ინფორმაციის მოპოვებითა და მისი ანალიზით“ (მუხლი 1.). ფაქტია, რომ იმ ინფორმაციაში, რომელსაც “რეალური და პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენისათვის“ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციები მოიპოვებენ, მოიაზრება აგრეთვე ფიზიკურ პირთა შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვებაც, რომელიც ამავე კანონის მე-5(1)(თ) მუხლის მიხედვით გამჟღავნებისგან დაცულია. შესაბამისად, არც სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის პროცესში შეგროვებული ინფორმაცია და არც მისი არსებობის ფაქტი არ არის ხელმისაწვდომი.

ამავე მიზეზის გამო სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკა და მისი განმსაზღვრელი ნორმები ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სხვა დებულებებს. კერძოდ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს:

პირის უფლებას:

- იცოდეს საჯარო დაწესებულებაში თავის შესახებ არსებული ინფორმაციის გაცნობის წესი (42(კ) მუხლი);
- იცოდეს საჯარო დაწესებულებაში არსებულ მონაცემთა (მათ შორის -პერსონალურ მონაცემთა) წყაროები (42(მ) მუხლი), რასაც სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5(1)(თ) და “სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ 5(1)(1) მუხლები ეწინააღმდეგება.
- იცოდეს პირთა კატეგორია, რომლის შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია (42(მ) მუხლი);

საჯარო დაწესებულების ვალდებულებას:

- პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის შესახებ აცნობოს შესაბამის პირს, ამ მოქმედებათა მიზნების მითითებით (43(კ) მუხლი);
- “შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პიდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი“ (43(ა) მუხლი) – მაშინ, როდესაც არც სადაზვერვო და არც

კონტრსადაზვევრო სისტემის მარეგულირებელი არც ერთი ღია აქტი მსგავს ვალდებულებას არ აწესებს;

- “არ დაუშვას ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა, რომელიც პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან არის დაკავშირებული (43(ბ) მუხლი);
- “პერსონალური მონაცემების შეგროვებისას, უპირველეს ყოვლისა, მიმართოს იმ პირს, რომლის შესახებაც გროვდება ინფორმაცია (43(ვ) მუხლი) – მაშინ, როდესაც სადაზვევრო და კონტრსადაზვევრო ორგანიზაციების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება ფარულად მიმდინარეობს;
- საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და ამ ინფორმაციის მომთხოვნის შესახებ (43(ზ) მუხლი);
- არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის გარეშე (44(1) მუხლი);
- პერსონალური მონაცემები სამეცნიერო კვლევისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით (45-ე მუხლი).

შეუძლებელია კონკრეტული მითითება გაკეთდეს იმ ნორმებზე, რომლებიც განხილულ ასპექტებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოთ აღნიშნულ დებულებებს წინააღმდეგება, რადგან სადაზვევრო და კონტრსადაზვევრო ორგანიზაციების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დაცვისა და გამოყენების მარეგულირებელი ნორმები შიდა მოხმარების კანონქვენიშნულად აქტებშია დაფიქსირებული, რაც ასევე დაცულია საიდუმლო გრიფით.

საიდუმლო ინფორმაციის მოთხოვნის, გაცემისა და გამოქვეყნების პროცედურები

ინფორმაციის მოთხოვნა და გაცემა

კოდექსის რიგი მუხლებისა ადგენს საჯარო ინფორმაციის (მათ შორის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის) მოთხოვნის, ასლის მიღების, გაცემისა და გაცემაზე უარის თქმის რეგულაციებს. აღნიშნული

დებულებები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებზე დაშვების მქონე პირებისთვის ანალოგიური მოქმედებების მარეგულირებელ ნორმებს ეწინააღმდეგება. კერძოდ:

- კოდექსის 37(2) მუხლის თანახმად, ინფორმაციის მოთხოვნისას მოთხოვნის მიზნის ან მოტივის მითითება სავალდებულო არ არის. აღნიშნული დებულება ეწინააღმდეგება “სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესის“ მე-3 კარს, რომელიც საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების სავალდებულო მოტივებისა და მიზნების ამომწურავ ჩამონათვალს ადგენს;
- კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით დაწესებული ვალდებულება, ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს. ამ მუხლს ეწინააღმდეგება ‘სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესის“ მე-10 კარი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების მქონე პირებისათვის აწესებს მკაცრად შეზღუდულ რეჟიმს საიდუმლო ინფორმაციის ასლის დამზადებისა და გაცემის საკითხებში;
- კოდექსის მე-40 და 41(1) მუხლები ინფორმაციის გაცემისა და გაცემაზე უარის თქმის მარტივ პროცედურებს და ნომინალურ ვადებს ადგენს. აღნიშნულ ვადებსა და პროცედურებს ეწინააღმდეგება “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლი, რომლის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების მქონე პირის მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა მხოლოდ შესაბამისი თანამდებობის პირის ბრძანების, ანუ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველზე ხორციელდება.

საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნება

კოდექსის 33-ე მუხლი საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებას ითვალისწინებს ამ ინფორმაციიდან საიდუმლო ნაწილის ამოღების შემდეგ.

მსგავსი პროცედურა ‘სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის და შესაბამისი ქვემდებარე აქტების მიერ დადგენილი არ არის. პირიქით, აღნიშნული კანონი (მუხლი 1(6)) საიდუმლოების გრიფის მინიჭებას მოითხოვს არა კონკრეტული ინფორმაციის, არამედ საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მქონე დოკუმენტის ან სხვა სახის მატერიალურ შემცველისათვის მთლიანად, რაც მათი ცალკეული ნაწილების გამოქვეყნების შესაძლებლობას თავისთავად გამორიცხავს.

საჯარო რეესტრი

კოდექსის მიერ დადგენილია ღია საჯარო რეესტრის წარმოების აუცილებლობა, რომელშიც უნდა აისახოს მონაცემები:

- საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველანაირი (მათ შორის - საიდუმლო) ინფორმაციის შესახებ, ამ ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების ან გამოცემის თარიღის და იმ პირის მითითებით, ვისგანაც შემოვიდა ან ვისაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია (35-ე მუხლი);
- ინფორმაციის გასაიდუმლოებისა და მისი ვადის გაგრძელების შესახებ (31(2) მუხლი);
- იმ პირის შესახებ, რომელმაც გაასაიდუმლოა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა (33-ე მუხლი).

კოდექსის ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება 'სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესის' მე-10 კარი, რომელიც საიდუმლო ინფორმაციის აღრიცხვის ერთიან და ამომწურავ პროცედურებს ადგენს. აღნიშნული პროცედურები საიდუმლო ინფორმაციისა და მისი მოძრაობის სპეციალური ჟურნალებისა და კარტოთეკების მეშვეობით აღრიცხვას ითვალისწინებს, რომლებიც თავის მხრივ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების მატარებლებს წარმოადგენს და საიდუმლო დოკუმენტების კატეგორიას ეკუთვნის, რის გამოც ვერანაირად ვერ იქნება საზოგადოებისთვის გახსნილი.

კოდექსის 35-ე, 31(2), და 33-ე მუხლებს ეწინააღმდეგება კანონიც 'ნორმატიული აქტების შესახებ', რომლის 55(4) მუხლი ღიად აცხადებს საიდუმლო ნორმატიული აქტების მხოლოდ შემდეგ მონაცემებს – აქტის სახე, მიმღები ორგანოს სახელწოდება, მიღების თარიღი და ადგილი და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. ყველა სხვა მონაცემი კი დასაიდუმლოებულია.

სხვა საკითხები

კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა

კოდექსის 34-ე მუხლით განსაზღვრულია კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ სხდომათა ჩატარების პროცედურები, რომლის მიხედვითაც:

- ნებისმიერი სხდომის (მათ შორის საიდუმლო საკითხებზე) ჩატარების თაობაზე საჯაროდ უნდა გამოცხადდეს ერთი კვირით

ადრე. ასევე საჯაროდ უნდა გამოცხადდეს დაგეგმილი სხდომის ჩატარების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და დახურვის შესახებ, ასეთის შემთხვევაში (34(1) მუხლი);

- კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია სხდომის დახურვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღეში განმარტოს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და საჯარო რეესტრში შეიტანოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული კენჭისყრის შედეგები;

აღნიშნულ დებულებებს პირდაპირ ეწინააღმდეგება 'სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესის" მე-9 კარი, რომელიც აბსოლუტურად საიდუმლო რეჟიმში აქცევს ყველანაირი თათბირის (მათ შორის კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომების) დანიშვნისა და ჩატარების პროცედურებს, თუ მათზე ხდება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების განხილვა.

სასამართლოს კომპეტენცია საიდუმლოების დაცვის საკითხებში

“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი ადგენს ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საკითხებში, კერძოდ ამ მუხლის 5(ა) ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში. სასამართლოების კომპეტენციის შეზღუდვა მხოლოდ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებით ეწინააღმდეგება როგორც თავად კანონის შემდგომ დებულებებს, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34(4), 47-ე და 48-ე მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებს ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებული მოქმედებების ადმინისტრაციული წესით სასამართლოში გასაჩივრებას.

ტერმინოლოგია

კოდექსი და “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონში ერთი და იმავე მოქმედებების აღსანიშნავად გამოიყენება განსხვავებული ტერმინები, კერძოდ, ინფორმაციის დახურვის აღსანიშნავად კოდექსში გამოიყენება ტერმინი “გასაიდუმლოება“, მაშინ, როდესაც კანონში იგივე პროცესს აღნიშნავს ტერმინი “დასაიდუმლოება“. კანონში ნახმარი ტერმინების “დასაიდუმლოება“ და “განსაიდუმლოება“ ხელოვნური გართულება აიხსნება მათ შორის სხვაობის (განსხვავებული ასოთწყობა) გაზრდის მოტივით, რათა ტექნიკური შეცდომის შემთხვევაში არ მოხდეს მათი ერთმანეთში აღრევა.

VI. დონორი ორგანიზაციების მიერ ელექტრონული მმართველობის დანერგვის მიზნით 1997 წლიდან საერთაშორისო და სახელმწიფოთშორისი დონორი ორგანიზაციების მიერ მთელი რიგი პროექტების განხორციელება დაიწყო.

1. ერთიანი სამთავრობო ქსელი

დონორი ორგანიზაცია: “ჩისცო უესტემს”, გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი

დანების თარიღი: იგეგმება 2006 წლის მარტის დასასრულს

დასრულების თარიღი: დამოკიდებულია მოძიებულ დაფინანსებაზე

პროექტის შემსრულებელი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

პარტნიორი უწყება: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

არსებული ბიუჯეტი: 1,045,000 აშშ დოლარი (1 მლნ. გამოყოფილია ჩისცო უესტემს-ის მიერ ტექნიკურ აღჭურვაზე)

დამხმარე პროექტი: განვითარებისა და რეფორმების ფონდი

მიზანი

პროექტის მიზანია თბილისში არსებული 12 სამთავრობო დაწესებულებისა და საქართველოს ცხრა ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართვის გზით ელექტრონული მმართველობის დანერგვის ხელშეწყობა.

პროექტის საქმიანობის ძირითადი კომპონენტები:

- კომპიუტერული ქსელის გამართვა;
- ქსელის ფუნქციონირებისთვის საჭირო იურიდიული ბაზის მომზადება;
- არსებული სამუშაო პროცესების გამარტივება და გაუმჯობესება;
- ტრენინგები ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებისთვის.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

მომზადებულია კონცეფცია და კანონპროექტი “ელექტრონული მმართველობის შესახებ”, რომელიც ძირითადი მომენტები

გაზიარებულ იქნა ამჟამად საპარლამენტო განხილვის ქვეშ მყოფი კანონპროექტით “ელექტრონული ხელმოწერების შესახებ”.

2. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის რეფორმა

დონორი ორგანიზაცია: ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

დაწყების თარიღი: 2005 წლის ოქტომბერი

დასრულების თარიღი: დამოკიდებულია მოძიებულ დაფინანსებაზე

პროექტის განმხორციელებელი: იუსტიციის სამინისტრო, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ბიუჯეტი: 1,800,000 ევრო

მიზანი

სამოქალაქო აქტების, პასპორტებისა და პირადობის მოწმობების გაცემის პროცედურების გამარტივება და უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება.

პროექტის ძირითადი კომპონენტები:

- არსებული საინფორმაციო ბაზების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა;
- სხვადასხვა ბაზების ერთიან მონაცემთა ბაზაში გაერთიანება;
- სამოქალაქო რეესტრის რეგიონული ცენტრების განვითარება და ერთიან ქსელში ჩართვა;
- რეესტრის საინფორმაციო და საკომუნიკაციო შესაძლებლობების ოპტიმიზაციისა და მონაცემთა სწრაფად დამუშავების მიზნით ახალი პროგრამების შექმნა;
- სამოქალაქო აქტებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემის სისტემის გასაუმჯობესებლად საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

დღეისათვის არც ერთი კომპონენტი დასრულებული არ არის.

3. საქართველოს საჯარო რეესტრი

დონორი ორგანიზაცია: გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, მსოფლიო ბანკი, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

დაწყების თარიღი: 2004 წლის ივნისი

დასრულების თარიღი: უცნობია, რადგან რეფორმა არ არის ერთიანი და განხორციელების კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის.

პროექტის განმხორციელებელი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მსოფლიო ბანკი

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ბიუჯეტი: 2005 წ.: 8,100,000 ლარი; 2006 წელს დაგეგმილია 9,000,000 ლარი

მიზანი:

პროექტის მიზანია ერთიანი, დასავლური სტანდარტების საჯარო რეესტრის სისტემის შექმნა.

პროექტის ძირითადი კომპონენტები:

- უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა და მისი ავტომატურ რეჟიმში მუდმივად განახლების უზრუნველყოფა;
- საჯარო რეესტრში არსებულ მონაცემებზე დაინტერესებული პირების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა;
- რეგიონული ფილიალების ტექნიკური აღჭურვა და ერთიან ქსელში გაერთიანება;
- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და მიღება.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

- განხორციელდა მონაცემთა კომპიუტერიზაცია;
- გამარტივდა პროცედურები, შესაბამისად შემცირდა მომსახურების ვადები და მომსახურების საფასური;
- დაინერგა “ერთი ფანჯრის პრინციპი”.

4. სახელმწიფო მართვის სისტემის მოდერნიზება დემოკრატიული მმართველობის განვითარებისთვის

დონორი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს მთავრობა

დაწყების თარიღი: 1997 წ.

დასრულების თარიღი: 2001 წ.

პროექტის განმხორციელებელი: სახელმწიფო კანცელარია

პარტნიორი უწყება: სახელმწიფო კანცელარია

ბიუჯეტი: 1,724,611 აშშ დოლარი

მიზანი:

სახელმწიფო მართვის შემდგომი სრულყოფისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობა, კერძოდ, სახელმწიფო კანცელარიაში, სამინისტროებსა და სახელმწიფო დეპარტამენტებში, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დანესებულებებში სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფისა და ეფექტიანობის არსებითი ამაღლება; აღნიშნული პროცესის დემოკრატიზაციის, ხელისუფლების სხვა შტოებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო კანცელარიაში ინფორმაციისა და მართვის თანამედროვე სისტემების შექმნა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

პრეზიდენტის აპარატში – სახელმწიფო კანცელარიაში შემდეგი სამუშაო შესრულდა:

- შეიქმნა და ამოქმედდა 250 ნერტილიანი ლოკალური კომპიუტერული ქსელი თანამედროვე კომპიუტერული უზრუნველყოფით;
- შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომპიუტერული ქსელი, რომელიც ხელისუფლების ყველა შტოსა და ოცამდე სახელმწიფო დანესებულების ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას იძლევა;
- მოხდა მართვისა და ადმინისტრირების რიგი პროცედურების მოდერნიზება და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო კანცელარიისა და სხვა სახელმწიფო უწყებების 300-მდე სახელმწიფო მოხელემ ტრენინგების ციკლი გაიარა. მათთვის მომზადდა ოცდაათზე მეტი მეთოდოლოგიური და მეთოდურ-პრაქტიკული ხასიათის სახელმძღვანელო;

არასრული დაფინანსების გამო პროექტის მესამე ეტაპი – ერთიანი სახელმწიფო რეგიონთაშორისი კომპიუტერული ქსელის შექმნა – დაკონსერვებულად გამოცხადდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი აქტიურად და სწორი მიმართულებით ვითარდებოდა, საბოლოო შედეგი მაინც ვერ აღმოჩნდა ნარმატივული შემდეგი მიზეზების გამო:

- უწყებათაშორისი ქსელი გაყვანილი იყო მინაში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით. დროთა განმავლობაში ხელისუფლების რეორგანიზაციასთან ერთად სამინისტროების დიდმა ნაწილმა გამოიცვალა შენობა და ქსელი შესაბამისად ველარ გადაიტანეს;

- დენადობის ინტენსიურობის გამო ტრენინგავალი კადრების დიდმა ნაწილმა სამსახური დატოვა და ამ მიმართულებით გაღებული ინვესტიციები არაეფექტური გამოდგა;
- მიუხედავად იმისა, რომ უწყებათაშორისი ქსელის სამართალმემკვიდრე ეკონომიკის სამინისტროს, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელთა განცხადებით, საქართველოს მთავრობას ამ ქსელებზე პასუხისმგებლობის აღების ინიციატივა არ გამოუჩენია, ისევე როგორც არ ჩანს ის პირი ან უწყება, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამისთვის ამ სფეროში საკონტაქტო პირი იქნება და ვისთანაც არსებული პროექტების განვითარებისა და ახლის დაგეგმვის თაობაზე მოლაპარაკებების გამართვა შესაძლებელი იქნება.

5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სისტემებისა და პროგრამების მოდერნიზება

დონორი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს მთავრობა

დაწყების თარიღი: 1997 წ. ივნისი

დასრულების თარიღი: 2001 წ. თებერვალი

ბიუჯეტი: 1,996,619 აშშ დოლარი

მიზანი და შედეგები:

- საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მისი დიპლომატიური მისიებისთვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერების შექმნა, (LAN) ქსელის გაყვანა და ინტერნეტზე მიერთება;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა პროფესიონალიზმის, სამუშაო ეთიკისა და პასუხისმგებლობის ამაღლება. პროექტის ფარგლებში სპეციალური ტრენინგის კურსი სამინისტროს ასზე მეტმა თანამშრომელმა გაიარა;
- ორგანიზაციის ახალი მეთოდებისა და პროცედურების შემოღება და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკური საშუალებების დანერგვა;
- სამინისტროსა და რამდენიმე საელჩოში კომპიუტერული ქსელის ინსტალაცია და პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე შემუშავებული სპეციალური პროგრამის დანერგვა (კორესპონდენციის და არქივის მენეჯმენტის ქვე-სისტემა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კავშირების ოპერატიული

დაგეგმარებისა და მენეჯმენტის ქვე-სისტემა, საერთაშორისო ინსტრუმენტების საინფორმაციო მოდული) შიდა ადმინისტრაციული მენეჯმენტის პროგრამებთან (ფინანსური სისტემა, კადრები, საშვთა ბიურო) ერთად სამინისტროს მენეჯმენტის თანამედროვე ავტომატიზირებულ სისტემაზე გადასვლას უზრუნველყოფს, გაუმჯობესდება ინფორმაციულობის ეფექტურობა, კონტროლი და სტრატეგიული დაგეგმარება.

6. საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზება – პირველი ფაზა

დონორი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს მთავრობა

დაწყების თარიღი: 2001 წ. სექტემბერი

დასრულების თარიღი: 2005 წ. მაისი

მიზანი:

საქართველოს მთავრობისთვის ფინანსური რესურსების მართვასა და არსებული საბიუჯეტო კრიზისის დაძლევაში დახმარების განწევა, საფინანსო სისტემების უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მეშვეობით.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელთა განცხადებით, პროექტის განხორციელების შედეგად ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხი ამაღლდა, აგრეთვე გაუმჯობესდა პოლიტიკის ფორმულირების მექანიზმები მართვის ახლებური მიდგომებისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

7. “საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზება” – მეორე ფაზა (მიმდინარე)

დონორი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს მთავრობა

დაწყების თარიღი: 2005 წ. ივნისი

დასრულების თარიღი: 2007 წ. დეკემბერი

ბიუჯეტი: 1,119,309 აშშ დოლარი (200,000 აშშ დოლარი – საქართველოს მთავრობა, 700,000 აშშ დოლარი ჰოლანდიის მთავრობა, 219,309 აშშ დოლარი ბელგიის მთავრობა)

მიზნები:

- მართვის ქმედუნარიანობის გაზრდა
- ადამიანური რესურსების განვითარება
- სახელმწიფო ხაზინის მხარდაჭერა

პროექტის ძირითადი კომპონენტები:

- ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურებისათვის მართვის საინფორმაციო სისტემების შექმნა და განვითარება;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავალი უწყებებისთვის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმების/მეთოდების/სისტემების გაუმჯობესება;
- ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობის კანცელარიას, პარლამენტს, ეროვნულ ბანკსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს შორის უწყებათაშორისი ურთიერთობების მოდერნიზება;
- ფინანსთა სამინისტროს კორპორატიული ვებპორტალის განვითარება ახალი მიდგომების, ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზების და ვებ-გვერდების ინტეგრირების გზით;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ადამიანური რესურსების რაციონალიზება და პერსონალის მართვის სხვა ინოვაციების დანერგვა;
- ფინანსთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის ქმედუნარიანობის გაზრდა მეთოდოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მეშვეობით;
- ყველა საბიუჯეტო შემოსავლისა და გადასახადისთვის ერთიანი სახაზინო ანგარიშის შემოღების და დანერგვის მხარდაჭერა;
- ეროვნულ ბანკსა და სახელმწიფო ხაზინას შორის ურთიერთთანამშრომლობის ინტერნეტის მეშვეობით განხორციელება;
- ხაზინაში ფულადი სახსრების დაგეგმარებისა და მართვის პროცედურების განხორციელება;

- კანონპროექტების, კანონქვემდებარე და სხვა ნორმატიული აქტების, დადგენილებების, ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მითითებების მომზადება;
- ტრენინგების გზით თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

8. საქართველოსთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის შემუშავება

დონორი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკი, საქართველოს მთავრობა

დაწყების თარიღი: 2004 წ. იანვარი

დასრულების თარიღი: 2005 წ. იანვარი

ბიუჯეტი: 60,000 აშშ დოლარი

მიზანი:

პროექტის მიზანია სტრატეგიული დოკუმენტის - “საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის” შემუშავება.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

შემუშავებულია “საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამა”, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება:

- ნაწილი 1 – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი, მიზნები და ამოცანები, სტრატეგია და პოლიტიკა, მათი მიღწევის გზები;
- ნაწილი 2 - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზარი, ინტერნეტი, ელ-ტექნოლოგიები, მათი როლი, მნიშვნელობა, ადგილი და პერსპექტივები;
- ნაწილი 3 - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ყველაზე პრიორიტეტული მიზნები საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების შენებისთვის.

მიუხედავად პროექტით დაგეგმილი სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულებისა, იგი ბოლომდე წარმატებულად ვერ ჩაითვლება, რადგან შემუშავებული დოკუმენტი თეორიულ დოქტრინად დარჩა და ხელისუფლების მიერ მისი ლეგიტიმაცია არ მომხდარა, გარდა “ელექტრონული ხელმოწერების შესახებ” კანონპროექტისა, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტში განიხილება

9. საქართველოს განვითარების კარიბჭე ღონორი: მსოფლიო ბანკი

დანებისა და დასრულების თარიღი: 2001 წლის თებერვალი – 2005 წლის ბოლო.

პროექტის განმხორციელებელი: კავშირი - საქართველოს განვითარება ინტერნეტის მეშვეობით (ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი).

პარტნიორი უწყება: კავშირი - საქართველოს განვითარება ინტერნეტის მეშვეობით

ბიუჯეტი: 160,000 აშშ დოლარი

მიზანი:

საქართველოში ელექტრონული მომსახურების განვითარების ხელშეწყობა და მაღალი დონის განვითარების პორტალის შექმნა, ელექტრონული მთავრობის მოდელის დამკვიდრება.

პორტალს ქვეყნის სხვადასხვა სექტორსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის, აგრეთვე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფს შორის შუამავლის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. თავიდან ფოკუსირება ელ-მთავრობასა და ელ-ბიზნესზე მოხდა; მუშაობა მიმდინარეობდა კავკასიის ვირტუალური ბიზნეს ცენტრის შექმნაზე. ასევე დაგეგმილი იყო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პლატფორმის ჩამოყალიბება და გამიზნული იყო მუნიციპალურ დონეზე მუშაობაც.

პროექტის საქმიანობის ძირითადი კომპონენტები:

- სხვა ქვეყნების განვითარების პორტალების ჯგუფებთან თანამშრომლობა საერთო პროექტების (რეგიონული პროექტების) განხორციელებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- პორტალის სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მოსახლეობისთვის საჭირო მომსახურების შეთავაზება და მათ მიერ პორტალის გამოყენების ხელშეწყობა;

- მოსახლეობის ინფორმირება ელექტრონული მომსახურების შესახებ.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

- შეიქმნა საქართველოს განვითარების პორტალი;
- ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის ეგიდით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კონცეფციის შემუშავებაში.

საბოლოოდ, პროექტი წარმატებული არ აღმოჩნდა. დღეისთვის ეს ვებ-გვერდი არსებობს, მაგრამ არ ხდება მისი განახლება და იგი პორტალის ფუნქციებს ვერ ასრულებს. (<http://georgia-gateway.org>)

10. სასამართლო სისტემის რეფორმა

დონორი: მსოფლიო ბანკი

დანებისა და დასრულების თარიღი: 1999 წლის 29 ივნისი – 2004 წლის 31 დეკემბერი

ბიუჯეტი: 16,200,000 აშშ დოლარი

მიზანი:

საქართველოს დახმარება დამოუკიდებელი და პროფესიონალი სასამართლო სისტემის კადრების მომზადებაში, რომლებიც პატივს სცემენ სასამართლო ეთიკის მაღალ სტანდარტებს და შეუძლიათ შედეგიანი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება.

პროექტის საქმიანობის ძირითადი კომპონენტები:

პროექტი ექვსი ძირითადი კომპონენტისგან შედგება.

პირველი კომპონენტი: სასამართლო ადმინისტრაციისათვის საქმის წარმოებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების დახვეწაში ტექნიკური დახმარების განწვევა; სააპელაციო და საოლქო სასამართლოების კომპიუტერული აღჭურვა და სრული კომპიუტერული პაკეტის (ტექნიკური და პროგრამული) უზრუნველყოფა 75 სასამართლოსთვის; აუდიო აღჭურვილობის შესყიდვა და მონტაჟი.

მეორე კომპონენტი: სასამართლოს ინფრასტრუქტურის აღდგენა, სასწავლო ცენტრების ჩათვლით.

მესამე და მეოთხე კომპონენტები: სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისა და შესაბამისი კანონმდებლობის შექმნისთვის ტექნიკური დახმარება და აღჭურვილობის შექმნა.

მეხუთე კომპონენტი: სასწავლო მივლინებები და ტრენინგები.

მეექვსე კომპონენტი: ითვალისწინებს დახმარებას მიმდინარე სასამართლო რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებასა და განათლებაში, რაც მოიცავს აგრეთვე აქტიურ პიარ კამპანიასაც.

შესრულებული სამუშაო

პროექტით დაგეგმილი ყველა ტექნიკური და საორგანიზაციო სამუშაო შესრულდა.

11. ევროკომისიის დაფინანსებული ბრიტანეთის საბჭოს “პროკურატურის რეფორმის პროექტი” (I და II ფაზა)

დონორი: ევროკომისია

დანებისა და დასრულების თარიღი: მაისი 2004 წ. - ნოემბერი 2007 წ.

განმხორციელებელი ორგანიზაცია: ბრიტანეთის საბჭო

ბენეფიციარი: საქართველოს გენერალური პროკურატურა

ბიუჯეტი: 1,750,000 ევრო

მიზანი, ძირითადი კომპონენტები:

- პროკურატურის სისტემისა და მისი ადმინისტრირების ანალიზი ეფექტური და გამჭვირვალე მუშაობის დანერგვის მიზნით;
- საქმის წარმოების სისტემატიზაციისა და დოკუმენტბრუნვის გაადვილების ხელშესაწყობად თბილისსა და ქუთაისში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (აღჭურვილობისა და სპეციალურად შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის) დანერგვა;
- პროექტის II ფაზაზე პროკურატურის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებს შორის ლოკალური ქსელის განვითარების ხელშეწყობა;
- პროკურორების ტრენინგები ადამიანის უფლებათა ქართულ და საერთაშორისო სამართალში, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითად სიახლეებში და სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერაში;
- პროკურატურის მხარდაჭერა პროკურორთა ეთიკის კოდექსის შემუშავებაში.
- საზოგადოების ინფორმირება პროექტის შესახებ და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა – არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და პროკურატურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების უკეთ გაცნობიერება.

შესრულებული სამუშაო (შედეგები)

პროექტის ფარგლებში, პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილ იქნა არა მხოლოდ პროკურატურის ცენტრალური, არამედ საოლქო და რაიონული პროკურატურებიც; დღევანდელი მდგომარეობით, პროკურატურის თანამშრომელთა თითქმის 100%-ს გააჩნია მისავალი პერსონალურ კომპიუტერთან. მიმდინარეობს ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებზე დამყარებული ლოკალური ქსელის აწყობა პროკურატურის თითქმის ყველა რაიონული ოფისიათვის; დღესდღეობით კაბელიზაციის პროცესი დასრულებულია თბილისში და მსხვილ რაიონულ ცენტრებში მდებარე პროკურატურის ოფისებისათვის. ოფისების უმეტესობაში გაყვანილია ინტერნეტი.

პროექტის ფარგლებში შემუშავებულმა პროგრამულმა უზრუნველყოფამ (კანცელარიის პროგრამა, სტატისტიკის პროგრამა) უარყოფითი შეფასება მიიღო პროკურატურის ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონალური დატვირთვის ნაკლებობის, სირთულისა და ქართული მართლმსაჯულების სისტემაზე გაუთვლელი გამო. ამის ნაცვლად, გენერალურმა პროკურატურამ საკუთარი რესურსებით შეიმუშავა რამოდენიმე პროგრამული კომპონენტი (სტატისტიკის პროგრამა, კანცელარიის პროგრამა, კადრების მართვის პროგრამა, გენერალურ პროკურატურაში ელექტრონული საშვების პროგრამა და გენერალური ინსპექციის მონაცემთა ბაზა/საძიებო სისტემა); ყველა მათგანი ამჟამად აქტიურად გამოიყენება და მომავალში დაგეგმილია ამ კომპონენტების გაერთიანება სისხლის სამართლის საქმეთა მენეჯმენტის ერთიან სისტემაში.

მუშაობს პროკურატურის ორ-ენოვანი საიტოც, მისამართი: www.psg.gov.ge.

VII. რეკომენდაციები

საქართველოში ელექტრონული გამჭვირვალობის დანერგვისათვის საჭირო სამართლებრივი სივრცის შესაქმნელად შესასრულებელია სამუშაოები 2 მიმართულებით:

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა და შემდგომი განვითარება, რაც მოიცავს:

- საკანონმდებლო ცვლილებებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ინფორმაციის დაცვის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაციის მიზნით,
- საკანონმდებლო ინიციატივებს პირადი საიდუმლოებისა (პერსონალური მონაცემების) და კომერციული საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარების მიზნით,

- კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტაციის პაკეტის მომზადებას და დანერგვას საჯარო დაწესებულებებში:
 - ა) კანონით დადგენილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიების პრაქტიკულად ამოქმედების მიზნით,
 - ბ) საქმის წარმოების ახალი სისტემის შექმნის მიზნით;
- ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე;

2. ელექტრონული მმართველობის (ინფორმატიზაციის პროცესების) მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და დანერგვა, რაც პირველ რიგში მოიცავს საკანონმდებლო ინიციატივებს შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფო ორგანოებს შორის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის საინფორმაციო ურთიერთობა;
- ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის, ელექტრონულ-ციფრული დოკუმენტის, ელექტრონულ-ციფრული გარიგებისა და ელექტრონულ-ციფრული კომერციის საკითხები;
- სახელმწიფო საინფორმაციო სტანდარტი.

იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული მმართველობა წარმოადგენს სრულიად ახალ და აქამდე უცნობ ინსტიტუტს ქართული სამართლებრივი სივრცისთვის, საწყის ეტაპზე, ყველაზე ეფექტურ გზად გვესახება ერთიანი კანონის შექმნა ელექტრონული მმართველობის დანერგვის მიზნით, რაც მოაწესრიგებდა პირველი აუცილებლობის ძირითად საკითხებს როგორც ინფორმატიზაციის სამართლებრივი რეგულაციის, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში.

ამავე დროს, ერთი კანონის (და მისგან გამომდინარე მცირე მოცულობის საკანონმდებლო ცვლილებების) ლობირება და დანერგვა ბევრად უფრო გაადვილდება როგორც ამ პროცესში სამოქალაქო თანამონაწილეობის უზრუნველყოფის, ასევე ახალი საკანონმდებლო ინიციატივების მნიშვნელობის წარმოჩენის და ცვლილებებისადმი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დაინტერესების გაზრდის კუთხით.

თუ მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდება, მაშინ მიგვაჩნია, რომ ხსენებულ კანონში დარეგულირებული უნდა იყოს შემდეგი პირველადი აუცილებლობის საკითხები (ინსტიტუტები):

1. ინფორმატიზაციის სფეროში:

- საჯარო დაწესებულებების მიერ საზოგადოებისათვის ელექტრონულ-საინფორმაციო ფორმით გასაცემი ინფორმაციისა და გასანევი მომსახურების მინიმალური

მოთხოვნები, შესაბამისი პირებისა და უწყებების პასუხისმგებლობები ამ მიმართულებით,

- ელექტრონული ხელმოწერა,
 - ინფორმატიზაციის ძირითადი სტანდარტები;
2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში (როგორც აუცილებელი ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში რეგულირების ახალი სფეროს დანერგვიდან გამომდინარე):
- ძირითადი წინააღმდეგობები საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და ინფორმაციის დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობას შორის;
 - საკანონმდებლო ხარვეზები, გამონეუული პირადი და კომერციული საიდუმლოების არასაკმარისი საკანონმდებლო რეგლამენტაციის გამო;
 - საქმის წარმოების ახალი სისტემა.

საქმისწარმოების ახალი სისტემის (შესაბამისად ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიების) რეალური ამოქმედებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ახალ ნორმატიულ რეგულაციებთან ერთად შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის უნივერსალური პროდუქტის შექმნა და ხელისუფლებისათვის შეთავაზება. მნიშვნელოვანი იქნება, რომ პროდუქტმა გაიაროს წინასწარი აპრობირება სულ ცოტა ერთ სამინისტროში მაინც და მიიღოს ამ უწყების (უწყებების) პოზიტიური შეფასება და მხარდაჭერა. პროგრამული პროდუქტის ხარისხს (საჭიროებების სწორ გათვლას და ამოცანის ზუსტ დასმას) ამ შემთხვევაში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საჯარო დაწესებულებების მიერ საქმისწარმოების ახალი სისტემისადმი დამოკიდებულების (პოზიტიური ან ნეგატიური) ჩამოყალიბების საკითხში.

**ელ-გამჭვირვალობის დანერგვა
საქართველოში: ინსტიტუციური
მზადყოფნის შეფასებითი კვლევა**

**მომზადა ირაკლი საკანდელიძემ
(სოციალური კვლევების ინსტიტუტი)**

2007 წლის დეკემბრის მდგომარეობით¹³

¹³ 2007 წლის განახლება და რედაქციული ცვლილებები - ია ბიგანიშვილი, გიორგი ჯოხაძე.

I. წინასიტყვაობა

წინამდებარე კვლევის მიზანი საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და განვითარების საჭიროების, ასევე ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის სისტემების დანერგვისთვის მისი მზადყოფნის შეფასებაა.

კვლევა ეფუძნება:

- ელ-მმართველობის არსებულ კვლევებს, რომლებიც მომზადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკი, ა.შ.) მიერ ან მათი დახმარებით და სამთავრობო სტრუქტურების მიერ;
- საქართველოში ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარებული განხილვებისა და დისკუსიების შედეგებს;
- საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ინტერნეტ-რესურსების ანალიზს.

ელ-გამჭვირვალობის განვითარება წარმოუდგენელია ელ-მმართველობის სისტემის გარეშე. შესაბამისად, კვლევა თავდაპირველად განიხილავს ელ-მმართველობის განვითარების დონეს საქართველოში, რასაც მოჰყვება ელ-გამჭვირვალობისათვის ინსტიტუციური მზადყოფნის შეფასება.

II. კონცეფცია

2004 წელს გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისმა და NCTeam (**CIMS Consulting**)-მა მოამზადა და გამოსცა დოკუმენტი “საქართველოში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიის განვითარების პროექტი” (მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი **UNDP/GEO/00031399**).

დოკუმენტი წარადგენს ქვეყანაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების კონცეფციას.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა უმრავლესობა, რომლებთანაც შედგა ინტერვიუ წინამდებარე კვლევის მზადებისას, დაეთანხმა ამ კონცეფციას.

კონცეფციის თანახმად, ძალზედ მნიშვნელოვანია შემდეგი პრიორიტეტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელება:

ფიზიკური პირების მონაცემთა სახელმწიფო ბანკის შექმნა:

ამ ამოცანის პრიორიტეტულობა რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული:

1. მოქალაქეთა შესახებ ზუსტი და განახლებული მონაცემების ქონა სახელმწიფოს მიერ სოციალური საკითხების წარმატებით გადაჭრის საფუძველი და მნიშვნელოვანი პირობაა. ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაცია (პირადი მონაცემები) სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში აკუმულირდება (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, საპენსიო ფონდი, და ა.შ.) იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც შესაბამის უწყებებს აქვთ მინდობილი. ამ სახელმწიფო უწყებების მიერ თავიანთი ფუნქციების წარმატებით განხორციელება პირდაპირ არის დამოკიდებული მოქალაქეთა შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის სიზუსტესა და მოცულობაზე, მათ მიერ მოქალაქეთა იდენტიფიცირების სისწრაფესა და სიზუსტეზე, იმაზე, თუ რამდენად სწრაფად არის შესაძლებელი პასპორტების, პირადობის მოწმობებისა და სხვა დოკუმენტების გაცემა, სხვადასხვა კანონიერი მიზნით მოქალაქეებთან სწრაფად დაკავშირება. სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის უკუკავშირის განხორციელება (კონსულტაციისა თუ ინფორმაციის მიწოდების მიზნით) რთულდება, თუ სახელმწიფო სტრუქტურებს არ გააჩნია მოქალაქის სოციალური სტატუსის შესახებ სრული ინფორმაცია, რაც ასევე პირადი მონაცემების ნაწილია;
2. მოქალაქეთა სამიზნე ჯგუფებთან ეფექტური და ოპტიმალური მუშაობის მიზნით პირადი მონაცემების მუდმივად განახლებადი, ზუსტი და სრული რეესტრის ქონა აუცილებელია. ეს საჭიროა, მაგალითად, სოციალური მიზნების – როგორცაა: პენსიების გაცემა და სოციალური დახმარება – თანამიმდევრული და ზუსტი განხორციელებისათვის;
3. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოებისთვის ქონების ზუსტი და სრული რეესტრისა და მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის ამსახველი მონაცემების არსებობაა აუცილებელი. ეს საჭიროა, მაგალითად, ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორცაა: გადასახადების წარმატებით ამოღება, საბაჟო პროცედურების ჩატარება, მიგრაციის კონტროლი;
4. სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებისას პირადი ინფორმაციის პირდაპირი გამოყენებისა და სარგებლის გარდა (რაც 1-3 პუნქტებშია მითითებული), ფიზიკური პირების მონაცემთა სახელმწიფო ბანკი მრავალი სხვა ფუნქციის შესრულებასაც შეუწყობს ხელს. მაგალითად, სხვადასხვა სახის არჩევნებისათვის

ამომრჩეველთა დაზუსტებული სიის შედგენას და, ზოგადად, არჩევნების ჩატარებას; საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისა და რეფერენდუმების, მოსახლეობის აღწერის (არა იმ ფორმით, როგორც ეს ახლა ტარდება) ჩატარებას და სხვ. რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ასევე საფოსტო და კომუნიკაციის სხვა სამსახურების მუშაობის ეფექტურობას.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია შესაბამისი კონცეფციის შემუშავება იმ სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, რომლებიც პირად ინფორმაციაზე მუშაობენ. ამასთან საჭიროა შესაბამისი პროექტის შექმნაც, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ტექნიკური, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და სამართლებრივი ასპექტები. აუცილებელია შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფაც, რაც, პირველ რიგში, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეიძლება განხორციელდეს. ამ მიზნებისათვის “ინფორმაციული უზრუნველყოფა” გულისხმობს პირად მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს საინფორმაციო ბანკში. ეს მონაცემებია: ფიზიკური პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი; ინფორმაცია მისი სოციალური, ჯანმრთელობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და ა.შ. ასევე უნდა დადგინდეს ამ ინფორმაციასთან დაშვების ხარისხი და ხასიათი (მაგ., საკონსულტაციოდ, მონაცემების შეცვლის შესაძლებლობით და ა.შ.) ნებისმიერ სახელმწიფო უწყებასთან მიმართებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირადი ინფორმაციის დაცვას, ისე, როგორც საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების დაცვას. ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო კოდის სტრუქტურა და მისი მინიჭების მექანიზმებიც შემუშავებას საჭიროებს. ტექნიკური საკითხების განხილვისას შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის გადანაწილების საკითხებს. გადანაწილება უნდა იყოს ლოგიკური და ფიზიკურად შესაძლებელი, იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა პირადი მონაცემების სახელმწიფო ბანკთან სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილიდან იმუშავებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და მთელი სისტემის დაცვა. ქვეყნის მოსახლეობას, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ამ საინფორმაციო ბანკით უსაფრთხოდ სარგებლობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ისეთი ფართოდ გამოყენებული საშუალებებით, როგორც, მაგალითად, ინტერნეტი.

იურიდიულ პირთა მონაცემების სახელმწიფო ბანკის შექმნა

იურიდიულ პირთა შესახებ ინფორმაცია საჭიროა სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ამოცანების გადასაწყვეტად. ასეთი ამოცანების ჩამონათვალს მიეკუთვნება: იურიდიულ პირთა რეგისტრაცია,

გადასახადების აკრეფა, იმპორტ-ექსპორტის კონტროლი, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი მარეგულირებელი ღონისძიებების გატარება, ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება, სპეციფიკურ სექტორებში ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და სტატისტიკური შესწავლა, დაგეგმვა და ა.შ.

იურიდიული პირების მონაცემთა ბანკის შესაქმნელად აუცილებელია შესაბამისი კონცეფციის შემუშავება იმ სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, რომლებიც იურიდიული პირების პირად ინფორმაციაზე მუშაობენ. ამასთან საჭიროა შესაბამისი პროექტის შექმნაც. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ტექნიკური, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და სამართლებრივი ასპექტები. აუცილებელია შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფაც, რაც, პირველ რიგში, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს. ამ მიზნებისათვის “ინფორმაციული უზრუნველყოფა” გულისხმობს პირად მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს იურიდიულ პირთა საინფორმაციო ბანკში. ეს მონაცემებია: იურიდიული პირის სახელწოდება, რეგისტრაციის თარიღი და ადგილი, საქმიანობის სფერო, ფინანსური მონაცემები, კონტრაქტები და ა.შ. ასევე უნდა დადგინდეს ამ ინფორმაციაზე დაშვების ხარისხი და ხასიათი (მაგ., საკონსულტაციოდ, მონაცემების შეცვლის შესაძლებლობით და ა.შ.) ნებისმიერ სახელმწიფო უწყებასთან მიმართებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომერციული საიდუმლოების დაცვას, ისე როგორც საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების დაცვას. ტექნიკური საკითხების განხილვისას ინფორმაციის გადანაწილების საკითხებს შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს. გადანაწილება უნდა იყოს ლოგიკური და ფიზიკურად შესაძლებელი, იმის გათვალისწინებით რომ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა პირადი მონაცემების სახელმწიფო ბანკთან სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილიდან იმუშავებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და მთელი სისტემის დაცვა. იურიდიულ პირებს, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ამ საინფორმაციო ბანკით უსაფრთხოდ სარგებლობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ისეთი ფართოდ გამოყენებული საშუალებებით, როგორიც, მაგალითად, ინტერნეტი.

საქართველოს სკოლების (საგანმანათლებლო სისტემის) კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია

მიზანი: კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია – ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიის იმპლემენტაცია – სახელმწიფოს ამოცანა.

ამოცანებია:

1. სასწავლო პროგრამები

1.1. X-XI კლასები

1.2. V-VI კლასები

1.3. VII-IX კლასები

1.4. სპეციალური პროგრამები და სასწავლო გეგმები

2. სპეციალური პროექტები

2.1. სასკოლო პროგრამები საგნების მიხედვით

2.2. დისტანციური სწავლება

2.3. მეთოდოლოგია (მასწავლებელთა ქსელი)

2.4. სასკოლო ქსელი

2.5. საგანმანათლებლო სისტემის ქსელი (სკოლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აკადემია, სამინისტრო...)

2.6. საბიბლიოთეკო/მედია ცენტრები

3. მომსახურე პერსონალისა და მომხმარებელთა მომზადება და გადამზადება

3.1. სკოლის მასწავლებლები

3.2. მომსახურე პერსონალი

3.3. სპეციალური პროგრამების მასწავლებლები

3.4. საგანმანათლებლო სისტემის პერსონალის მომზადება მომხმარებლის დონეზე

4. კომპიუტერული და ტექნიკური აღჭურვილობა

4.1. კომპიუტერები და სხვა ტექნიკური საშუალებები

4.2. ოთახები

4.3. ავეჯი

4.4. ინტერნეტის ხაზები და სხვა საკომუნიკაციო აღჭურვილობა

4.5. მომსახურების ცენტრები

5. იმპლემენტატორები

5.1. განათლების სამინისტრო

5.2. რეფორმების ჯგუფი

5.3. IBM/Aviacom

5.4. მეცნიერებათა აკადემია

დასახლებულ პუნქტებში ინტერნეტით სარგებლობის საჯარო ცენტრებისა და საინფორმაციო ცენტრების შექმნა

ასეთი ცენტრების შექმნა მიმართულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობასა და მცირე შემოსავლიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებაზე. მათ მიერ განხორციელებული მომსახურება უფასო იქნება.

ცენტრების შექმნის მიზანია, უზრუნველყოს:

- ტრენინგი — კომპიუტერული ტექნიკის, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებისათვის, ისე პროფესიული ამოცანების გადასაჭრელად. პროფესიული გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლების) მეშვეობით ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;
- გლობალურ კომპიუტერულ ქსელზე (ინტერნეტი) ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის საინფორმაციო რესურსების ეფექტური გამოყენების სწავლება;
- საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სოციალური დახმარების განეგასა და სიღარების დაძლევის პროგრამებთან დაკავშირებული სპეციალური ელ-მმართველობის საინფორმაციო რესურსების შექმნა და შერჩევა;
- დისტანციური სწავლების კომპიუტერული პროგრამების შექმნა და გამოყენება. ამ პროგრამების საფუძველზე ახალი სპეციალიზაციის მისაღებად სპეციალისტთა გადამზადების კურსების ორგანიზება;
- ელექტრონული ჯანდაცვის პროექტების შექმნა და იმპლემენტაცია;
- ელექტრონული კომერციის კომპიუტერული სისტემების შექმნა და იმპლემენტაცია;
- ვირტუალური სამუშაო ცენტრების შექმნა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეფიციტურ სპეციალობებში პარალელური მომზადების გათვალისწინებით;

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ბიზნეს ინკუბატორების შექმნა და ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნეს ურთიერთობების ხელშეწყობა.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სათანადო საბაზო ინფრასტრუქტურა (შესაბამისი შენობები ან სივრცე ცენტრებისთვის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, კომპიუტერული და საოფისე აღჭურვილობა, სწრაფი ინტერნეტ კავშირი), ცენტრის ინსტრუქტორების გაწვდენა, საჭირო კომპიუტერული პროგრამებისა და საინფორმაციო რესურსების შექმნა და მიწოდება და ა.შ. ყოველივე ეს შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას საჭიროებს, რაც, სასურველია, პირველ რიგში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოზიდვით განხორციელდეს. მოგვიანებით, სისტემის მდგრადი მოქმედებისათვის შეიძლება სახელმწიფოს მხრივ გარკვეული დაფინანსება გახდეს საჭირო.

დისტანციური სწავლებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნეტთან მიერთება, დისტანციური სწავლების პროგრამების იმპლემენტაცია

საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო დონეზე რეფორმირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობა სწავლის პროცესში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციალის სრულად გამოყენება და საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო ქსელებთან დაკავშირებაა.

ამ მიზნით, საჭიროა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებსა და ინტერნეტით სარგებლობის სხვა საჯარო ცენტრებში დისტანციური სწავლების ცენტრების შექმნა. უნდა მოხდეს ამ ცენტრების აღჭურვა მულტი-მედია ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც მაღალსიჩქარიან ქსელებთან იქნება დაკავშირებული და დისტანციური სწავლების სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით იქნება აღჭურვილი. ცენტრებისთვის უნდა მომზადდნენ დისტანციური სწავლების ინსტრუქტორები. ამასთან, ქართულ და უცხოურ მულტიმედია ინტერაქტიულ კომპიუტერულ პროგრამებზე დაყრდნობით უნდა დაარსდეს ელექტრონული სწავლების კურსები სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო კომპიუტერული პროგრამის შემუშავებას. ეს პროგრამები უნდა შეიქმნას საშუალო, უმაღლესი და სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონტრიბუციითა და მისი მეთვალყურეობით. კომპიუტერული პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სპეციალობების შესწავლის ნორმებს, რომლებიც სამინისტროს მიერაა განსაზღვრული. დისტანციური სწავლების

ცენტრების მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ გაიარონ უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამები და მიიღონ შესაბამისი სერტიფიკატები და დიპლომები. ამ მიმართულებით საჭიროა შესაბამისი უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ურთიერთობების დამყარება და მოლაპარაკების წარმართვა. დისტანციური სწავლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისი მულტიმედია პროგრამების შექმნა და პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტრონული მეთოდებით სწავლებას არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე. ამასთან საჭიროა მათი სერტიფიცირების სისტემის შექმნა. საშურია დისტანციური სწავლების კერძო სექტორის განვითარებაც. დისტანციური სწავლების დასრულებისას კურსდამთავრებულებზე უნდა გაიცეს სერტიფიკატები. უნდა შემუშავდეს ციფრული ფორმით წარმოდგენილი ნაშრომების საავტორო უფლებების დამცავი კანონმდებლობა და მისი იმპლემენტაციის მექანიზმი. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი უცხოური ფინანსური დახმარების მოზიდვა და ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების მობილიზებაც იქნება საჭირო.

**ჯანდაცვის დისტანციური მეთოდების
იმპლემენტაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის
შექმნა, სამედიცინო კონსულტაციების, მკურნალობისა და
მონიტორინგის დისტანციური ელექტრონული სისტემების
შექმნა და ჩამოყალიბება**

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენება ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა ჯანდაცვა, სახელმწიფოს სოციალური პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. უნდა შეიქმნას საინფორმაციო, ტექნიკური და ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოსახლეობას იაფ და, მრავალ შემთხვევაში, უფასო დისტანციურ და კვალიფიციურ სამედიცინო კონსულტაციას, მკურნალობასა და მონიტორინგს შესთავაზებს. ამ ამოცანის განხორციელება მოიცავს: სამედიცინო დაწესებულებების მიერ ავადმყოფობის ისტორიების ადგილობრივად კომპიუტირებულ აღრიცხვას და მის ეროვნულ საინფორმაციო ქსელში ინტეგრირებას; ქართველ სამედიცინო ექსპერტთა მონაცემთა ბაზების შექმნას; ნაშლებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ სრული და უახლესი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას; სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის ელექტრონული კატალოგების შექმნას; ელექტრონული სამედიცინო დაზღვევის სისტემის შემოღებას; სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე უახლესი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას.

ინტერნეტის საფუძველზე ამგვარი მომსახურების შექმნა მრავალ რეალურ

პრობლემას მოხსნის, განსაკუთრებით დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში, სადაც სწრაფი და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების განწვევა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. ამ ამოცანის გადასაჭრელადაც ქვეყნის ყველა დასახლებულ ადგილას ინტერნეტით სარგებლობისა და საინფორმაციო საჯარო ცენტრების შექმნა აუცილებელია.

გარდა ამისა, საჭიროა მთელი სისტემის ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ელექტრონული დოკუმენტების დაშიფვრა, ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ტექნოლოგიის გამოყენება) და ჯანდაცვის სფეროში პროფესიული კონფიდენციალობის დაცვის გარანტიების საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბება.

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი, დაცული ელექტრონული დისტანციური გადახდისა და ელექტრონული კომერციის სისტემის შექმნა; მიკროპროცესორიანი ბარათების დანერგვა

საბაზრო ეკონომიკის განვითარება და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება შეუძლებელია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სრულყოფილად გამოყენების გარეშე. მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი (ინტერნეტის მეშვეობით) ელექტრონული კომერციის სისტემების შექმნა აუცილებელია. სისტემები უნდა იყოს დაცული და საკმარისად სანდო იმისათვის, რომ მოსახლეობის ნდობა მოიპოვოს. სისტემებმა შესაძლებლობა უნდა მისცეს მოსახლეობას ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვონ და სხვადასხვა შესთავაზონ გარკვეული მომსახურება. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებების დადება და ფასიანი მომსახურების შეთავაზება, ასევე ინტერნეტის მეშვეობით ფულის გადახდა შესაძლებელი და დაცული უნდა იყოს. შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით მრავალმხრივი — კერძოდ, ბიზნესი-მომხმარებელი, ბიზნესი-ბიზნესი, მთავრობა-მომხმარებელი (ელექტრონული ფასიანი მომსახურებები), მთავრობა-ბიზნესი (სახელმწიფო შესყიდვები), და მომხმარებელი-მომხმარებელი — საქმიანი ურთიერთობის განხორციელება. შესაბამისად, შესაძლო საკონტრაქტო ურთიერთობები უნდა მოიცავდეს მომსახურებისა და შესყიდვების ფართო სპექტრს, ისეთი მომსახურების (ელექტრონული ფორმით) ჩათვლით, როგორცაა საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარება, გადასახადების გადახდა (მათ შორის კომუნალური მომსახურების, ელექტროენერჯის, ტელეფონის, გაზის, წყლის) კინოსა და თეატრის ბილეთების დაჯავშნა და შესყიდვა და ა.შ.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ტექნოლოგიური, საორგანიზაციო, სამართლებრივი და სხვა ასპექტების გათვალისწინება. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ელექტრონული კომერციის, ელექტრონული ხელმოწერის,

ელექტრონული დოკუმენტებისა და ელექტრონული გადასახადების პლატფორმის შექმნა აუცილებელი.

სხვადასხვა სფეროში აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული მიკროპროცესორიანი ბარათები. უნდა დაინერგოს მათი შექმნისა და გამოყენებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ეს ინფრასტრუქტურა ევროპული ტექნოლოგიების შესაბამისი უნდა იყოს. ორგანიზაციული თვალთახედვით მასერტიფიცირებული უწყებების შექმნა აუცილებელი, ისე როგორც ელექტრონული გადასახადების გამტარი ცენტრების, ჩართული ბანკების ქსელისა და კომერციული რისკის დამფარავი დაზღვევის სისტემისა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ელექტრონული დოკუმენტების, ელექტრონული კომერციის, ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის და ინტერნეტ-დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი სტატუსის აღიარებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა აუცილებელი. ამასთან ერთად, ელექტრონული კომერციის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო უნდა შეიქმნას. სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს პირადი ინფორმაციის (ბიომეტრული მონაცემების ჩათვლით) დაცვას.

ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოპოვება უნდა მოხდეს, პირველ ყოვლისა, ქართველი ან უცხოელი კერძო ინვესტორებისა და უცხოური დონორი ორგანიზაციებისგან, ისევე როგორც მსგავს ევროპულ პროექტებსა და ინციატივებში ინტეგრაციის მეშვეობით.

ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის ინტეგრირებული სახელმწიფო სისტემის შექმნა

ღია, გამჭვირვალე და საჯარო საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ერთ-ერთი ნაბიჯი აღრიცხვის, პერსონალის მენეჯმენტისა და კორესპონდენციის რეგისტრაციის თანამედროვე კომპიუტერული სისტემების გამოყენება და ერთიან კომპიუტერულ ქსელში მათი ინტეგრირებაა. ეს სახელმწიფო კანცელარიიდან, კონტროლის პალატიდან, ფინანსთა სამინისტროდან, საგადასახადო და სხვა ორგანოებიდან განზოგადებული ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

დღეისათვის ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაში ამგვარი კომპიუტერული სისტემები უკვე მოქმედებს, თუმცა უმეტეს მათგანში ეს სისტემები ურთიერთ შეუთავსებელია და ყველა საერთაშორისო (ამერიკული, ევროპული, დსთ-ს) სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

ამდენად, ყველა სამინისტრო და სხვა სახელმწიფო სამსახური, რეგიონალური და ადგილობრივი სამსახურები, ისე როგორც სხვა უწყებები და ორგანიზაციები, უნდა იყენებდნენ ისეთ კომპიუტერულ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფს:

- ამერიკული, ევროპული, ყოფილი საბჭოთა კავშირის, დსთ-ს და საქართველოს სტანდარტების დაკმაყოფილებასა და ინფორმაციის ერთი სტანდარტიდან მეორეში კონვერტაციას;

აღრიცხვიანობის, პერსონალისა და კორესპონდენციის მენეჯმენტის სრულ გამჭვირვალობასა და ინფორმაციის იმ ფორმატივით წარმოდგენას, რომლის გაგება არაპროფესიონალს არ გაუჭირდება;

- სახელმწიფო კორესპონდენციის ცირკულაციის ეფექტურ კონტროლსა და დავალებათა შესრულებას;
- სახელმწიფო კანცელარიიდან, კონტროლის პალატიდან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან განზოგადებული ინფორმაციის მიღებას (ერთიან კომპიუტერულ ქსელში ინტეგრაციის გზით);

ამ ამოცანის გადასაჭრელად მოენყო გამოფენა-კონკურსი და შედგა კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია აღრიცხვიანობის, პერსონალისა და კორესპონდენციის აღრიცხვის საუკეთესო კომპიუტერული სისტემები. შედეგად, რამდენიმე ქართული კომპიუტერული პროგრამა გამოიჩინა, რომლებიც ქართულ, დსთ-სა და საერთაშორისო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამასთან, ხელი მოეწერა სახელმწიფო მინისტრისა და პრეზიდენტის ბრძანებულებებს სახელმწიფო მენეჯმენტში ამგვარი სისტემების გამოყენებაზე. სატენდერო პირობებიც შემუშავებულ იქნა.

ამოცანის წარმატებით დასრულება შესაბამის დაფინანსებას საჭიროებს.

სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული საჯარო ინფორმაციის გაერთიანებული ბანკის შექმნა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, გარდა ადმინისტრაციული აქტის აღსრულების და გასაჩივრების, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის რეგულირებისა, სახელმწიფო მართვის სისტემის ღია და გამჭვირვალედ ფუნქციონირებას, ადამიანის უფლებებისა და საჯარო ინტერესებისა დაცვას ემსახურება. კოდექსი ავალდებულებს სახელმწიფო სტრუქტურებს, მოთხოვნის საფუძველზე, მათთან დაცული და ნებისმიერი სხვა საჯარო დოკუმენტი საზოგადოების თითოეული წევრისთვის ხელმისაწვდომი გახადოს.

ამ ვალდებულების განხორციელების ყველაზე ეფექტური გზა ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ბანკის შექმნაა. ბანკში განთავსდება ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში დაცული საჯარო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოების თითოეული წევრისათვის.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიური გამოყენების ერთიანი სახელმწიფო ბანკის შექმნა აუცილებელია. ბანკში უნდა ინახებოდეს ინფორმაცია პერსონალის, ფინანსების, აღრიცხვიანობის,

დოკუმენტირების, დაგეგმილი და დასრულებული სამუშაოების შესახებ, აგრეთვე სხვა აუცილებელი ინფორმაცია. ინფორმაციის როგორც შევსება, ასევე გამოყენება მოხდება ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, ისე როგორც საკანონმდებლო და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ. საინფორმაციო ბანკი უნდა იყოს ღია და საზოგადოებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი. ინტერნეტი სახელმწიფო დაწესებულებებს ავტომატურად მისცემს ამ პორტალის გამოყენების შესაძლებლობას, მიუხედავად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. ბანკი ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის. ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად შესაბამისი კონცეფციისა და ტექნიკური დავალებების შექმნა და განხორციელებაა საჭირო. შესაბამისი ფინანსური რესურსების მოპოვება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებითა და, ნაწილობრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების მობილიზებით იქნება შესაძლებელი.

ელექტრონული მმართველობის კომპიუტერული სისტემის შექმნა

ელექტრონული მმართველობა ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე საშუალებაა სახელმწიფოს მიერ საინფორმაციო მომსახურების გასაუმჯობესებლად. ამ გზით სახელმწიფო მოსახლეობას სთავაზობს სრულიად ახლებურ სერვისებს, რომელნიც თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე ვერ განხორციელდებოდა. საინფორმაციო ქსელების (კერძოდ ინტერნეტის) მეშვეობით საზოგადოებას სახელმწიფო სტრუქტურების მიმდინარე, ჩატარებულ და მომავალ საქმიანობებზე მუდმივად განახლებული ინფორმაცია უნდა მიენოდებოდეს. ინტერნეტის მეშვეობით ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობისათვის ნებისმიერ სახელმწიფო უწყებაში არსებული საჯარო ინფორმაცია. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეიქმნება ეფექტური მექანიზმი, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ორგანოებში დაცული საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობისათვის. ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობასა და კონტროლს, ისე როგორც მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესებასა და საჯარო ინტერესების უკეთ დაცვას. ასეთი სისტემის შექმნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასაც მნიშვნელოვნად წაადგება. ამ ამოცანის ოპტიმალურად გადასაჭრელად კოლექტიური გამოყენების საინფორმაციო ბანკის შექმნაა აუცილებელი. ყველა სახელმწიფო უწყებამ მის განკარგულებაში არსებული შესაბამისი დოკუმენტაცია სისტემაში უნდა შეიტანოს. ეს დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სააღრიცხვო ინფორმაციას (ბიუჯეტი, დოკუმენტების ბრუნვა) შესრულებული და დაგეგმილი საქმიანობის

შესახებ, ისე როგორც სხვა ნებისმიერ საჯარო ინფორმაციას. ბანკში არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დონის ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, რაც მათი საქმიანობისა და კოორდინაციის ეფექტურობას აამაღლებს. მეორე მხრივ, გაუმჯობესდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სახელმწიფო დანესებულებებში არსებულ საჯარო ინფორმაციაზე. უფრო მეტიც, ხელისუფლებას უკეთესი კონტაქტი ექნება მოსახლეობასთან და შესძლებს მისთვის ახალი ტიპის სერვისების შეთავაზებას.

საჭიროა ისეთი სისტემის პროექტის შექმნა, რომელიც ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მომხმარებელთა საჭიროებებს დაფუძნებულ საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს.

ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სისტემურ მიდგომას ყველა სახელმწიფო სტრუქტურის მონაწილეობით. შესაბამისი კონცეფციის შემუშავება და პროექტის ეტაპობრივად განხორციელება საჭირო. დემოკრატიულ და საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად ჩამოსაყალიბებისათვის საჭირო ასეთი პრიორიტეტული ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური სახსრების მოძიება, მიზანშეწონილია, ძირითადად საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან განხორციელდეს.

ელექტრონული ლექსიკონების, გრამატიკული ანალიზის გამკეთებელი და სათარგმნი სისტემების შექმნა ქართული ენისათვის

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მოიცავს კომპიუტერით ტექსტის სხვადასხვა ენაზე დამუშავების სერიოზულ სისტემებს, რაც გრამატიკული, ლექსიკური და სხვა ტიპის ანალიზის საშუალებას იძლევა. ამგვარი სისტემები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დოკუმენტებისა და ტექსტების მომზადების ხარისხსა და რედაქტირების სისწრაფეს. ელექტრონული ლექსიკონები და ავტომატური თარგმნის კომპიუტერული პროგრამები უცხო ენაზე კომპიუტერის გამოყენების ეფექტურობას აუმჯობესებს, აადვილებს სხვა ენებზე კომუნიკაციას. ეს პროგრამები, გარდა იმისა, რომ უცხოურ ენაზე შექმნილი თემატური ინფორმაციის სწრაფი და ხარისხიანი თარგმნის საშუალებას იძლევა, ქვეყნის საინფორმაციო რესურსების უცხოელი მომხმარებლის წრესაც აფართოვებს. საინფორმაციო რესურსების ჩამოგვირთვისას ინტერნეტში ხშირად გვხვდება შესაძლებლობა პარალელურ რეჟიმში ამ ინფორმაციის უცხო ენაზე ნახვისა. ამ ჭრილშიც ელექტრონული ლექსიკონებისა და ელექტრონული თარგმნების როლი ინტერნეტის ინფორმაციის თარგმნაში ძალზედ მნიშვნელოვანია. ასეთი პროგრამების დღეისათვის არსებული ქართული ანალოგები ძალზედ არაეფექტურია და შესაბამისად, აუცილებელია სრულყოფილი სისტემების შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საინფორმაციო-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოში, აღმოფხვრის ენობრივ ბარიერებსა და წაადგება ინფორმაციის გაცვლას: დაეხმარება ქართველ მომხმარებლებს უცხოური საინფორმაციო წყაროების მოხმარებაში, ხოლო უცხოელ მომხმარებლებს – ქართული მასალის გამოყენებაში.

ამ ამოცანის განსახორციელებლად სახელმწიფო ექსპერტთა ჯგუფმა ფართომასშტაბიანი პროექტი უნდა განახორციელოს, რომელიც მუდმივად დაიხვეწება. პროექტის ფარგლებში საჭიროა საინფორმაციო ტექნოლოგიების, ლინგვისტიკის, სოციოლოგიისა და სხვა სფეროების ექსპერტთა კოორდინირებული მუშაობა. ქართულ ტერმინოლოგიაზე მუშაობა ასევე საჭიროა. პროექტის იმპლემენტაციის შედეგად ქართული ენის ელექტრონული ლექსიკური მარაგი, ქართული ენის სრული გრამატიკული ანალიზის გამკეთებელი და სხვადასხვა თემატური ინგლისურ-ქართული, ქართულ-ინგლისური (და მომდევნო ფაზაში სხვა ევროპული ენებისა) კომპიუტერული თარჯიმნები შეიქმნება.

პროექტის დაფინანსება, მიზანშეწონილია, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელდეს. იგივე ითქმის სახელმწიფოს მიერ კულტურისა და განათლების სფეროში განხორციელებულ პროექტებზე.

საქართველოს ერთიანი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა

ქვეყნის სტრატეგიული რესურსების ეფექტური და ოპტიმალური მენეჯმენტი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტულ იმპლემენტაციას საჭიროებს იმ სახელმწიფო უწყებებში, რომლებიც მართავენ შესაბამის სექტორებს. ეს სექტორებია: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მშენებლობა და ურბანიზაცია, მიწისა და ტყეების მართვა და ა.შ. ამ სექტორების ეფექტური მართვისათვის ისეთი კომპიუტერული სისტემებისა და მონაცემთა ბანკების შექმნა აუცილებელი რომელთაც შემდეგი მახასიათებლები გააჩნიათ:

- (1) აქვთ დანაწილებული სტრუქტურა და ისეთი მომსახურება, როგორიცაა: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მშენებლობა და ურბანიზაცია, მიწის მართვა, ტყის მართვა, ეროვნული პარკები, გეოდეზია და კარტოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია და რადიაციული უსაფრთხოება;
- (2) ფლობენ ინფორმაციას მიწის კადასტრის შესახებ და შესაბამისი ეროვნული რესურსების იმპორტის, ექსპორტისა და მდგომარეობის შესახებ.

ამ ამოცანის გადასაჭრელად 7 უწყების მონაწილეობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი ნორმატიული აქტი და სამოქმედო გეგმა. ამ ეტაპზე საჭიროა შესაბამისი ფინანსური სახსრების მოძიება.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისთვის სტრატეგიული კვლევებისა და გლობალური მოდელირების სისტემის შექმნა

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კვლევებში, მოდელირებასა და პროგნოზირებაში. ეს ხელს უწყობს ოპტიმალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კომპიუტერული სისტემების იმპლემენტაცია სახელმწიფოს მართვის ნებისმიერ დონეზე, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, დაიწყოს საექსპერტო სისტემის შექმნით, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს მოემსახურება და ყოველდღიურად ნათლად ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას. ამ სისტემის მეშვეობითვე უნდა მოხდეს სხვადასხვა მოდელის გამოცდა და ოპტიმალური ქმედების შერჩევა.

ამ ამოცანის გადასაჭრელად, უშიშროების საბჭოსთან თანამშრომლობით, კომპიუტერული სისტემა “დიდგორი” მუშავდება. თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო დეპარტამენტსა და IBM კორპორაციას შორის. თანამშრომლობის წარმატებით გაგრძელებისა და ამ ამოცანის გადასაჭრელად დაფინანსების პრობლემის გადაჭრაა აუცილებელი.

ფართოდ გავრცელებული კომპიუტერული პროგრამების ქართული ვერსიების შექმნა და ამ მიმართულებით ქართული ენის გამოყენების ხელშეწყობა

ბუნებრივია, რომ საქართველოში ხშირად გამოყენებული კომპიუტერული პროგრამები ქართულ ენაზე უნდა იყოს ადაპტირებული, რათა მომხმარებელმა ადვილად მოახერხოს მათი გამოყენება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ კომპიუტერულ პროგრამას ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოს თითქმის ყველა პერსონალურ კომპიუტერში იკროსოფტ ჩორპორაციონ-ის ოპერატიული სისტემა “Windows” და პაკეტი “Office” გამოიყენება. შესაბამისად, საჭიროა ამ პროდუქტების ქართული ვერსიების მომზადება და დანერგვა საქართველოში. ნათელია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ Microsoft Corporation-თან თანამშრომლობით არის შესაძლებელი. ამასთან ერთად, აღნიშნული კომპიუტერული პროგრამებისათვის შესაბამისი ქართული კომპიუტერული ტერმინოლოგიის შექმნაა აუცილებელი. ეს პროცესი დაწყებულია (Microsoft Corporation-თან მიღწეული შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე) საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო დეპარტამენტისა და ენის სახელმწიფო პალატის მიერ (ქართული

კომპიუტერული ტერმინოლოგიის ვერსია, რომელიც შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას მოითხოვს); თუმცა, ამ ეტაპზე საჭიროა პროექტის დაფინანსება და კომპიუტერული პროგრამების ქართული ვერსიის შესამწებლად Microsoft Corporation-ის მხარდაჭერა.

ღია ტიპის (“open source”) კომპიუტერული პროგრამების გამოყენების ხელშეწყობა

საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ძირითადად “მზა” და დახურული ტიპის კომპიუტერული პროგრამები გამოიყენება ისეთ სფეროებშიც კი, როგორცაა: განათლება, კვლევა, ადმინისტრაციული მართვა, და თუნდაც, თავად საინფორმაციო ტექნოლოგიები. მეორე მხრივ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებისათვის ხშირად საჭიროა კომპიუტერული პროგრამების მუშაობის პრინციპების დადგენა და მათი გამოყენების კონტროლი. ასევე მნიშვნელოვანია კომპიუტერული პროგრამის შეცვლა კონკრეტულ მოთხოვნასთან მისი მისადაგების მიზნით. ამის შესაძლებლობას მხოლოდ ღია ტიპის – ე.წ. “open source” კომპიუტერული პროგრამები იძლევა. ამ ტიპის პროგრამების გამოყენება განსაკუთრებით ღირებულია ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურების ინფორმაციის საიმედოდ დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორცაა, მაგალითად, თავდაცვა და უსაფრთხოება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში კიდევ ერთი ყურადსაღები პრობლემაა: არალეგალური კომპიუტერული პროგრამების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით სახელმწიფო უწყებებში. ეს ძირითადად Microsoft Corporation-ის პროდუქტებია.

უფრო მეტიც, ალტერნატიული ძირითადი კომპიუტერული პროგრამების (როგორებიცაა ოპერაციული სისტემები) გამოყენების შესაძლებლობა თავად ინფორმაციის დაცვის საკითხს მიეკუთვნება. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითები გვაჩვენებს, რომ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა სფეროებში Microsoft-ის ოპერაციული სისტემის პარალელურად წარმატებით ხდება ღია ტიპის ოპერაციული სისტემის — Linux/Unix-ის გამოყენება. ხსენებული მახასიათებლების პარალელურად ამ ოპერაციული სისტემის წარმატება განპირობებულია მოქმედების მაღალი ხარისხით, საიმედოობითა (ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მრავალი მომხმარებლის მიერ ტესტირება) და იმ კომპიუტერული პროგრამების დიდი რაოდენობით, რომლებიც ინუხ/ნიხ-ისთვის იქმნება. ეს ოპერაციული სისტემა ასევე ხშირად გამოიყენება საინფორმაციო ქსელების (ინტერნეტი) ძირითად კომპიუტერებზე – სერვერებზე. Linux/Unix აუცილებელი ინსტრუმენტია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო კომპიუტერულ ტექნოლოგიების სწავლებისა და სამეცნიერო

დანესებულებებში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით კვლევითი მუშაობის წარმართვისათვის.

დასკვნის სახით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საჭიროა საქართველოში Linux/Unix სისტემის შესწავლისა და შესაბამისი სპეციალისტების მოსამზადებელი ცენტრი შეიქმნა. ცენტრმა უნდა მოამზადოს Linux-ის მომხმარებლები და პროგრამისტები, ქსელის ადმინისტრატორები. ცენტრის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ლაბორატორია, რომელიც იმუშავებს ქართული შრიფტის, კომპიუტერული პროგრამების ქართული ვერსიების შექმნასა და ორგანიზაციებში დაყენებული ოპერაციული სისტემების მომსახურებაზე. ცენტრს ასევე უნდა ჰქონდეს ქართულ ენაზე Linux/Unix-ის შესახებ ლიტერატურის მომზადების შესაძლებლობა, და ა.შ.

ცენტრის შესაქმენლად საჭიროა შესაბამისი პროექტის მომზადება და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (მათ შორის ევროკავშირის შესაბამისი პროგრამებიდან) სათანადო ფინანსური რესურსების მოპოვება.

ინტერნეტ-პორტალების განვითარება საქართველოში

ინტერნეტის გამოყენების პროგრამების უმეტესობა (მაგალითად, დისტანციური სწავლება, ელექტრონული ჯანდაცვის პროგრამები, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული მომსახურება, ელექტრონული კომერცია და სხვ.) საბოლოოდ თავს იყრის ინტერნეტ-გამშვებებთან, რასაც ხშირად “პორტალად” მოიხსენიებენ. უნივერსალურის გარდა არსებობს თემატური პორტალებიც. უმნიშვნელოვანესია პორტალები, რომლებიც:

- ქვეყნის მოსახლეობას აწვდიან საჭირო ინფორმაციასა და მომსახურებას (‘ონლაინ’ კონსულტაციები, ელექტრონული მმართველობის ელემენტები, დისტანციური სწავლება, ელექტრონული გადახდები, და სხვ.). ამ მომსახურების წყალობით მოქალაქენი იუმჯობესებენ მდგომარეობასა და ამცირებენ დანახარჯებს;
- ეხმარება საზოგადოებას განვითარების ხელშესაწყობად ადგილობრივი და საერთაშორისო ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გამოყენებაში;
- უზრუნველყოფს იმ ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობას, რომლებიც დაკავშირებულია განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საკითხებთან.
- სთავაზობს მომსახურებას, რომელიც საინტერესოა როგორც ქართველი საზოგადოებისათვის და ქართული დიასპორისათვის, ისე უცხოელი მოქალაქეების, ორგანიზაციების, დონორებისა და ინვესტორებისათვის;

- უზრუნველყოფს საერთაშორისო დახმარების პროგრამების კოორდინაციის სტიმულირებასა და მათი ეფექტურობის გაზრდას შესაბამის მონაცემთა ბაზის შექმნის მეშვეობით;
- ხელს უწყობს ანტიკორუფციულ ინიციატივებს;
ხელს უწყობს მომხმარებელთა ხელმისაწვდომობას მაღალი ხარისხის “კონონ-ჰონ“-ზე და ეხმარება მათ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საკითხების გადაწყვეტაში;
- ქმნის ელექტრონული კომერციული ინიციატივების გასავითარებლად ერთიან გარემოსა და დიალოგის შესაძლებლობას; ხელს უწყობს პარტნიორებს, სპონსორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ცოდნის გაცვლას;
- ხელს უწყობს საზოგადოებაში დაგროვილი ცოდნის უკეთ გამოყენებას; მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას; აწვდის საჯარო სექტორს მნიშვნელოვან ინტერნეტ-მომსახურებას, ინტერნეტ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებს, ელექტრონული პროდუქციის სფეროში მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
- იზიდავს უცხოელ ინვესტორებს;
- ხელს უწყობს საზოგადოების გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში ინტეგრაციას და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ინიციატივის მხარდასაჭერად ქართველი საზოგადოების თითოეულმა სეგმენტმა უნდა გააცნობიეროს პორტალების მნიშვნელობა (სასწავლო კურსების, კონფერენციების, სემინარების, შეხვედრების, მას-მედიის მეშვეობით) და განავითაროს უნივერსალური და თემატური პორტალები ინტერნეტში. იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც უკვე აქვთ ინტერნეტ პორტალების შექმნის გარკვეული გამოცდილება (მაგალითად, “საქართველოს განვითარება ინტერნეტის საშუალებით”) საზოგადოების სხვა წევრებს უნდა გაუზიარონ ყველა სახის კონსულტაცია, გაუზიარონ ცოდნა. სასურველია, პორტალების განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობისა და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა დონორი ორგანიზაციებისა და ინვესტორების მხრიდან.

III. ელ-მმართველობა

არსებული მდგომარეობა და ძირითადი სუსტი მხარეები

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა

განვითარებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ქვეყნის შემდგომი წინსვლის მყარი საფუძველია. ამავ დროს ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლისათვის მზადყოფნის შეფასებაში.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 456 ბრძანებულების თანახმად საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წახალისებისა და ხელშეწყობის მნიშვნელოვანი საშუალებაა. 1999 წლის დასაწყისიდან საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სხვადასხვა კანონი და დააფუძნა შესაბამისი მმართველი ორგანოები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით.

ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ (გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკი და სხვ.). მაგალითისათვის, გაეროს განვითარების პროგრამამ შექმნა საქართველოს სახელმწიფო დანებსებულებათშორისი ქსელი თბილისში.

მიუხედავად აღნიშნული საქმიანობისა, რეალურად მცირე რამ თუ გაკეთდა. მიღწეული შედეგების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის პოლიტიკური მხარდაჭერა მინიმალური იყო, ფინანსური უზრუნველყოფა კი არასაკმარისი.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანწილად შედგება ტელეკომუნიკაციისა და კომპიუტერული აღჭურვილობისგან. კერძოდ, ეს არის რადიო და ტელე ქსელი, ქალაქისა და მობილური ტელეფონები, ინტერნეტ მომსახურება და ფართო და ადგილობრივი კომპიუტერული ქსელები. საქართველოს ქვეყნის მასშტაბით მეტ-ნაკლებად განვითარებული ტელე- და რადიო ქსელი აქვს. სატელეფონო ქსელი უფრო მეტად ადექვატურია, თუმცა მომსახურება ნელია და სამუშაოების ხარისხი დაბალი. საერთაშორისო ტარიფების სიდიდესთან ერთად ეს იმას განაპირობებს, რომ ინტერნეტ მომსახურების მომწოდებლები არ არიან დაინტერესებულნი, მაღალი სიჩქარის ხაზებს დაუკავშირდნენ.

საქართველოში არაა კომპიუტერული პერიფერიული პროდუქტის (აღჭურვილობისა და კომპიუტერული პროგრამების) დამამზადებელი ადგილობრივი ფირმები. კომპიუტერული აღჭურვილობის იმპორტი უმეტესწილად აზიიდან ხორციელდება. მომხმარებლების უმრავლესობას არ ძალუძს კომპიუტერული აღჭურვილობისა და კომპიუტერული პროგრამების შექმნა. ქართულ ენაზე მხოლოდ სამართლებრივი,

საბუღალტრო და ფინანსური კომპიუტერული პროგრამებია ხელმინასვდომი. საქართველოს მთავრობასა და Microsoft-ს შორის მხოლოდ 2005 წლის თებერვალში იქნა მიღწეული შეთანხმება Windows ოპერაციული სისტემის ქართული ინტერფეისის შექმნასთან დაკავშირებით.

ამჟამად საქართველოში დაახლოებით 150,000 კომპიუტერია 4,46 მილიონ მოსახლეზე. მათი უმეტესობა მოძველებული ან შეკეთებულია. კომპიუტერების რაოდენობის, ინტერნეტ მომსახურების, ქსელების და ვებ-გვერდების არსებობის თვალსაზრისით სამინისტროებსა და შესაბამის სამთავრობო უწყებებში შემდეგი სურათია: საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, პარლამენტი, იუსტიციის სამინისტრო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სხვა უწყებებთან შედარებით, უკეთ არის აღჭურვილი. თუმცა, კომპიუტერების რაოდენობა არც ერთში საკმარისი არ არის.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია არა მხოლოდ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე, არამედ მომსახურების ფასზეც. რაც უფრო მაღალია ინტერნეტის მომსახურების ფასი, მით უფრო დაბალია გამოყენების სიხშირე. ბაზარზე არსებული მონოპოლიური მდგომარეობა მხოლოდ ხელს უშლის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას: საქართველოში მხოლოდ ერთი ინტერნეტ-ტრეფიკის მომწოდებელია – ფოთი-ნოვოროსიისკის ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელი.

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობამ საქართველოში თბილისში შექმნა უწყებათაშორისი სახელმწიფო ქსელი, რომელიც აერთიანებს სამინისტროებს, პარლამენტს, ეროვნულ ბანკსა და სხვა უწყებებს. ეს ქსელი არასდროს გამოუყენებია მთავრობას. ამ ეტაპზე არც ერთი სამთავრობო სტრუქტურა არ ითვლება ამ ქსელის მფლობელად და/ან მასზე პასუხისმგებლად. ქსელი კი უკვე ნაწილობრივ დაზიანებულია.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ადამიანური რესურსები

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების უმთავრესი სიძნელე საჯარო სფეროში სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების ნაკლებობაა. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სადაც კვალიფიციური თანამშრომლების ნაკლებობა და ადამიანური რესურსების არაადექვატური ტრენინგი წლების განმავლობაში პრობლემა იყო. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭიროა შესაბამისი სპეციალისტები, რომლებშიც შერწყმულია ტექნიკოსისა და მენეჯერის თვისებები: როგორც ინსტალაციის, მომსახურების, დიზაინისა და იმპლემენტაციისთვის, ასევე “ონლაინ”

პროცესებისა და მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

კომპიუტერის გამოყენების სწავლება უნივერსიტეტებში მხოლოდ ახლახანს დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არის კომპიუტერული პროგრამირებისა და ინფორმატიკის სპეციალური კურსები. რამდენიმე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, დონორები და კომერციული ორგანიზაციებიც აწარმოებენ კომპიუტერულ განათლებასა და შესაბამის წვრთნას. საქართველოში კომპიუტერულ მომსახურებაზე, ტრენინგსა და შესაბამის განათლებაზე მომუშავე დაახლოებით ოცდაათი ორგანიზაციაა; მათი უმეტესობა თბილისში მუშაობს. უნივერსიტეტებში მასწავლებელთა კომპიუტერული განათლება მინიმალურია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა (პროექტი “ირმის ნახტომი”), რომელიც მიმართულია სკოლებში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვაზე ქვეყნის მასშტაბით, იმედს იძლევა, რომ დაახლოებით 5-10 წელიწადში საქართველოში მოსახლეობის 100%-ს შეეძლება კომპიუტერის გამოყენება. თუმცა, ეს არ ამსუბუქებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტთა ნაკლებობის პრობლემას.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მოთხოვნა დიდია და კერძო სექტორში მათი ანაზღაურებაც მაღალია. თუმცა სახელმწიფოს პრაქტიკულად არ ძალუძს ამ სპეციალისტების სახელფასო მოთხოვნების დაკმაყოფილება, რის შედეგადაც მათი უმეტესობა კერძო სტრუქტურებშია დასაქმებული. ამ პრობლემის მოგვარების გარეშე კვალიფიციური, პროფესიონალი კადრის სახელმწიფო სტრუქტურებიდან გადინების პროცესი მუდმივად გაგრძელდება. ეს კი სახელმწიფო სტრუქტურებს დიდ სირთულეს შეუქმნის საკომუნიკაციო გარემოს შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებაში.

საკანონმდებლო ჩარჩო

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოსაწესრიგებლად აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო. კერძოდ, ეს საკითხებია: ელექტრონული ხელმოწერა, დოკუმენტების ელექტრონულ შენახვა, ინფორმაციის თავისუფლება, ინტელექტუალურ საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვა და სხვ.

საქართველოში ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული მმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო დეპარტამენტში 2000 წელს მომზადდა ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ კანონის პროექტი, მას არანაირი ყურადღება და მხარდაჭერა პარლამენტის მხრიდან არ ჰქონია.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც მუშაობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საკანონმდებლო ბაზის განვითარებაზე. გაეროს განვითარების პროგრამას მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა აქვს პარლამენტთან. ფონდის 'ღია საზოგადოება – საქართველოს' მიერ მომზადებულია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტი, რომლის განხილვაც მიმდინარე წელს დაიწყება.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ქართული ენის სახელმწიფო სტანდარტის არ არსებობაა. პრობლემა ასევე სხვადასხვა კოდის ქართული შრიფტის გამოყენება. დღეისათვის სახელმწიფო სტრუქტურები შეთანხმებულნი არიან, გამოიყენონ კოდი ნიცოდე, თუმცა ეს მაინც არ არის "ოფიციალური სტანდარტი". ამასთანავე, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა, ვებ გვერდები და ფორუმები ქართული ენისათვის სხვადასხვა კოდების სისტემებს იყენებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ბაზის შექმნა ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან რთული არ არის. სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი წარმატებული მაგალითი არსებობს, რომელთა გამოყენებაც ქართველ სპეციალისტებს შეუძლიათ. უცხოელი ექსპერტებიც მზად არიან დაეხმარონ მათ ამ საქმეში.

ორგანიზაციული სტრუქტურა

1999 წლიდან შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდის ბოლომდე საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურა — **საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტი** იყო. დეპარტამენტი პასუხისმგებელი იყო თანამედროვე ტექნოლოგიისა და გამოცდილების შემოღებასა და სახელმწიფო მშენებლობის ყველა სფეროში მათ გამოყენებაზე.

1999 წელს პრეზიდენტის 456 ბრძანებულებით, საკონსულტაციო მიზნებისთვის, შეიქმნა შეიქმნა კიდევ ერთი უწყება — **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო საბჭო**. საბჭო, რომლის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტი იყო, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ინიციატივებზე იყო პასუხისმგებელი. გარდა ამისა, რამდენიმე სამინისტროსაც ჰქონდა საკუთარი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო საბჭო** გაუქმდა (შევარდნაძის დროს შექმნილი ყველა საბჭოს მსგავსად), **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო დეპარტამენტი** კი ახლადშექმნილ

საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს შეუერთდა.

ამასთან ერთად, ინფრასტრუქტურის სამინისტროში მოქმედებდა **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**, რომელიც ადრე ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში შედიოდა. ასეთი გაურკვეველი ვითარება გაგრძელდა 2004 წლის აგვისტომდე, როდესაც ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო შეუერთდა ახლად შექმნილ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

ახალ სამინისტროში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი შენარჩუნდა შეცვლილი სახელწოდებით – **კომუნიკაციების დეპარტამენტი**, ძველი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი კი გაუქმდა. კომუნიკაციების დეპარტამენტის სტრუქტურა და დებულება ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით 2004 წლის ნოემბერში დამტკიცდა.

“სახელისუფლებო სპეციალური კომუნიკაციების და ინფორმაციის სააგენტო” დაფუძნდა 2005 წელს, პრეზიდენტის 533 და 534 ბრძანებულებებით. მისი ძირითადი ფუნქცია მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების დაცული საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფაა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ანალიზის თანახმად ეს ახალი სააგენტო მხოლოდ აფერხებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიის განვითარებას საქართველოში.

საქართველოს მთავრობის ახალ ინიციატივას, კომპიუტერული ტექნოლოგიების სკოლებში შემოღებასთან დაკავშირებით, ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალურად შექმნილი პროგრამის “ირმის ნახტომის” მეშვეობით. ეს პროგრამა ანალოგია ესტონური პროგრამისა “ვეფხვის ნახტომი”, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქვეყნის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში.

ამასთან ერთად, 1999 წელს შექმნილი **საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია**ც უნდა ვახსენოთ. კომისია მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც, მისი წესდების თანახმად, არც ერთ სხვა სახელმწიფო სტრუქტურას არ ექვემდებარება. კომისია არ ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კომისიის სამ წევრს, თავმჯდომარის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტი ექვსწლიანი ვადით ნიშნავს. როგორც მარეგულირებელი ორგანო, კომისია უფლებამოსილია:

- გამოსცეს, შეაჩეროს ან გააუქმოს ფოსტისა და კომუნიკაციის სფეროში საქმიანობის ლიცენზიები;
- განახორციელოს ლიცენზიების გაცემის პირობების დაცვის მონიტორინგი;

- აწარმოოს ლიცენზიების რეესტრი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე და კონტროლზე პასუხისმგებელი ცალკე სახელმწიფო ორგანო საქართველოში არ არსებობს.

IV. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დონე სახელმწიფო დანახვებზე

ყველაზე კარგად განვითარებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა შემდეგ სახელმწიფო დანახვებებს აქვთ:

- **პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სახელმწიფო კანცელარია** (საქართველოს მთავრობა)

პასუხისმგებელი: **დავით ტალიაშვილი**, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი

გიგა უმეკაშვილი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

e-mail: gumekashvili@geo.gov.ge

პროექტები: საქართველოს სამთავრობო ქსელის პროექტი. მომზადებულია საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის მიერ (GRENA)

დონორები: საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI); ჩისკო შესტემს; საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია (GRENA)

- **საქართველოს პარლამენტი**

პასუხისმგებელი: **ლევან გოგუა**, კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრირების განყოფილების უფროსი

e-mail: lgogua@parliament.ge

პროექტები: საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება; საქართველოს პარლამენტის რეფორმების მხარდაჭერა

დონორი: UNDP, EUSP

- **კონტროლის პალატა**

პასუხისმგებელი: კახი უშვერიძე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

- **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **გია თვალავაძე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი**

დავით ტატიშვილი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

პროექტები:

განათლების სისტემის რეფორმის პროგრამა, პროექტი “ილია ჭავჭავაძე”

პასუხისმგებელი: **ნინო რევიშვილი**, პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მ/შ

e-mail: Gep@mes.gov.ge

პროექტები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS)

პროექტის მიზანია განათლების სისტემის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ხელმძღვანელი პირებისათვის საჭირო, შესაბამისი და სანდო ინფორმაციის დროულად და სათანადო ფორმით **მიწოდება მათი ნორმალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად**. ეს მოიცავს შესაბამის მართვას, დაგეგმარებასა და გადაწყვეტილებების მიღებას.

ჯგუფი მუშაობს შემდეგ საკითხებზე:

1. სკოლების ეროვნული აღწერა;
2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინტერნეტი;
3. საგანმანათლებლო გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS)
4. განათლების მართვის სისტემის საინფორმაციო ვებ პორტალი

- **შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი**

პასუხისმგებელი: **მერაბ გოცირიძე**, საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი;

e-mail: gotsiridze@naec.ge

მაია გაბუნია, საზოგადოებასთან ურთიერთობების ჯგუფის წევრი

e-mail: pr@naec.ge

- **საქართველოს საჯარო სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა “ირმის ნახტომი”**

პასუხისმგებელი: **მერაბ ლაბაძე**, აღმასრულებელი დირექტორი;

გიგა შუბითიძე, პროგრამის ტექნიკური მენეჯერი;

e-mail: gshubitidze@dlf.ge

- **ეკონომიკური განვითარების სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **გიორგი ახალაია**, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

e-mail: gakhalaia@econom.ge

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **სტატისტიკის დეპარტამენტი**

პასუხისმგებელი: **ირაკლი როსტიაშვილი**, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **ენერჯეტიკის სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **ვახტანგ კეკელიძე**, საინფორმაციო უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

e-mail: mail@minenergy.gov.ge

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **იუსტიციის სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **ზაზა იტრიაშვილი**, ინფორმაციზაციის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

e-mail: z.itriashvili@justice.gov.ge

- **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

პასუხისმგებელი: შოთა ჩაჩხუნაშვილი, საინფორმაციო
ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი

e-mail: schachkhunashvili@napr.gov.gr

პროექტები და დონორები:

- კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი

KfW – გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი

- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის
ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტი

WB/IFAD – მსოფლიო ბანკი/სოფლის მეურნეობის განვითარების
საერთაშორისო ფონდი

- მიწის მენეჯმენტი საქართველოში

GTZ – გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა

- საქართველოში კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის
ტრენინგისა და მმართველობის ხელშეწყობის პროექტი

SIDA – შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და
თანამშრომლობის სააგენტო

- მიწის ბაზრის განვითარება

USAID – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

- **სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

პასუხისმგებელი: **სანდრო ხუსკივაძე**, საინფორმაციო
ტექნოლოგიების კოორდინატორი

e-mail: akhuskivadze@cra.gov.ge

პროექტი: იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი

- **საგარეო საქმეთა სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **დავით მწყერაშვილი**, მთავარი სპეციალისტი
e-mail: david@mfa.gov.ge

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **ფინანსთა სამინისტრო**

- სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი

- საბაჟო დეპარტამენტი

- სახელმწიფო ხაზინა

პასუხისმგებელი: **დავით ცეკვავა**, საინფორმაციო-
ანალიტიკური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი
e-mail: d.tsekvava@mof.ge

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **საქართველოს ეროვნული ბანკი**

პასუხისმგებელი: **სიმონ რაზმაძე**, საინფორმაციო
ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების
დეპარტამენტის უფროსის მ/შ

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **ბესარიონ კვეტენაძე**, საინფორმაციო
ადმინისტრაციის უფროსი სპეციალისტი

პროექტები და დონორები: სამხრეთ კავკასიის ჯანმრთელობის
საინფორმაციო პროექტი – CIDA;
პირველადი ჯანდაცვის განვითარების
პროექტი – მსოფლიო ბანკი

- **ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო**

პასუხისმგებელი: ინფორმაცია არ მოიპოვება

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **დაავადების კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

პასუხისმგებელი: **მერაბ მირცხულავა**, საინფორმაციო

ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

e-mail: inftech@ncdc.ge

პროექტები: ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები

დონორები: USAID, UNICEF

- **თბილისის მერია;**

პასუხისმგებელი: **ზურაბ ძაგანია**,

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

პროექტები: ინფორმაცია არ მოიპოვება

დონორები: ინფორმაცია არ მოიპოვება

როგორც ჩანს, ე.წ. “ძალოვან უწყებებსაც” კარგად განვითარებული საინფორმაციო ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურა აქვთ, თუმცა ეს უწყებები საკუთარი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციას არ იძლევიან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დანესებულებები თავს არიდებენ ინფორმაციის მიწოდებას თუნდაც პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის, საქართველოს მთავრობის ქსელის პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით მოთხოვნის პასუხად.

- **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო**

პასუხისმგებელი პირი: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **თავდაცვის სამინისტრო**

პასუხისმგებელი პირი: გიორგი ზაკალაშვილი, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი

e-mail: gzakalashvili@mod.gov.ge

- **შინაგან საქმეთა სამინისტრო**

პასუხისმგებელი: ივანე რევიშვილი,

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების

მთავარი სამმართველოს უფროსი

- **საქართველოს გენერალური პროკურატურა**

პასუხისმგებელი: ინფორმაცია არ მოიპოვება

სასამართლო სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად განვითარებულია, რაც მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სასამართლო სისტემის რეფორმის პროექტის დამსახურებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებაც საჭიროა, განსაკუთრებით ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის ნაწილში.

- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

პასუხისმგებელი: ზურაბ გიორგობიანი, საორგანიზაციო

სამსახურის უფროსი სპეციალისტი

- **საქართველოს უზენაესი სასამართლო**

პასუხისმგებელი: თეიმურაზ გოგბერაშვილი, სასამართლო

სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის

დეპარტამენტი

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ განეული მნიშვნელოვანი დახმარების მიუხედავად (მაგ., ევროკავშირის თქმული პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი “სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური მართვის გაუმჯობესება”), შემდეგი დანებსებულებები შეიძლება დავასახელოთ, როგორც ნაკლებად განვითარებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის მქონენი:

- **ცენტრალური საარჩევნო კომისია**

პასუხისმგებელი: ავთანდილ ცისკარიძე, ინფორმაციული

უზრუნველყოფისა და ქსელების სამსახურის უფროსი

- **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო**

პასუხისმგებელი: გიორგი ცაგარეიშვილი, ქსელის

ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი

- **კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **თემურ კვარაცხელია**, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

- **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო**

პასუხისმგებელი: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

პასუხისმგებელი: **დავით ბარამიძე**, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

e-mail: david@cec.gov.ge

ქვემოთ ჩამოთვლილ უწყებებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ინფორმაცია არ მოიპოვება:

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა**

პასუხისმგებელი: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა**

პასუხისმგებელი: ინფორმაცია არ მოიპოვება

- **ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

პასუხისმგებელი: **ელენე გოცაძე**,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის

უფროსის მოადგილე

- **საქართველოს რეფორმების კოორდინაციის სახელმწიფო მინისტრის სამსახური**

პასუხისმგებელი: **ნოდარ სარდლიშვილი**, მონვეული

სპეციალისტი – კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

- **საქართველოს სახალხო დამცველი**

პასუხისმგებელი: **მამუკა დავითაშვილი**, ადმინისტრაციული

და ფინანსური სამსახურის წამყვანი სპეციალისტი

პრიორიტეტული პროგრამები და პროექტები

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მონაცემების სახელმწიფო ბანკების შექმნა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მუშაობს იურიდიული პირების მონაცემთა სახელმწიფო ბანკის შესაქმნელად.

ახლად შექმნილმა სამოქალაქო რეესტრის სახელმწიფო სააგენტომ მუშაობა დაიწყო ფიზიკური პირების მონაცემთა სახელმწიფო ბანკის შესაქმნელად.

ეს ორი მონაცემთა ბაზა იქნება საქართველოს სამთავრობო ელექტრონულ-საინფორმაციო ქსელის განვითარების საფუძველი.

საქართველოს სკოლების (საგანმანათლებლო სისტემის) კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს საჯარო სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამის – “ირმის ნახტომის” ფარგლებში, მუშაობს საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციასა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე.

“ირმის ნახტომი” 4-წლიანი პროგრამაა, რომელსაც კიდევ 4 წლით გაგრძელების რეალური პერსპექტივა აქვს. პროგრამა მოიცავს საქართველოში მოქმედ 3000-ზე საჯარო სკოლას.

2005 წლის მარტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ესტონელი ექსპერტების დახმარებით, საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა (“ირმის ნახტომი”) წამოიწყო. პროგრამის მთავარი მიზანი საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზების ხელშეწყობაა. ეს ქვეყნის მასშტაბით სკოლებზე დაფუძნებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურის შექმნითა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის ზრდით უნდა იქნეს მიღწეული.

სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა “ირმის ნახტომი” ძალზედ ეფექტურ თანამედროვე ინიციატივად ითვლება, რომელმაც გავლენა უნდა მოახდინოს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ წინსვლაზე. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების განათლების სფეროში გამოყენება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოს სახელმწიფოს ზოგადი რეკონსტრუქციისა და გლობალურ პროცესებში მისი ჩართვის პროცესში.

ფონდი 'ირმის ნახტომი' საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს განათლების სამინისტროსთან 2005 წლის სექტემბერში დაფუძნდა. ფონდის სამეთვალყურეო საბჭო ძალზედ წარმომადგენლობითია და აერთიანებს განათლების სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიისა და პარლამენტის მაღალი თანამდებობის პირებს, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს-ასოციაციების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, უნივერსიტეტებისა და სკოლების მასწავლებლების წარმომადგენლებს.

პროგრამის მიმდინარე ფაზა (2005-2009) უზრუნველყოფს:

- თითოეულ სკოლაში კომპიუტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობას;
- ახალი სასწავლო კომპიუტერული პროგრამების შექმნასა და შესაბამის მომსახურებას;
- ხარისხიან ტექნიკურ მხარდაჭერას;
- მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებას;
- სასწავლო პროგრამაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციას;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტეგრაციას სკოლის, რაიონის და ქვეყნის დონეებზე.

პროგრამა შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ესტონელი და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით. პროგრამა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ და პროექტის ცენტრალური ბიუჯეტიდან ხანგრძლივად მხარდაჭერის ვალდებულება აიღო. ასევე ნავარაუდებია დამატებითი სახსრების გამოყოფა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი (2005-2009 წლებში) 26,459,200 ლარია. 2005 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის დასაფინანსებლად 3 მილიონი ლარი გამოიყო. ასევე მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული დამატებითი კონტრიბუციები.

დაფინანსება გამოყენებულ იქნება:

- სკოლების თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღსაჭურვად;
- სკოლებში ინტერნეტ-კავშირის უზრუნველსაყოფად;

- ქართულ ენაზე კომპიუტერული სასწავლო პროგრამების შექმნისა და სრულყოფისათვის;
- ტრენინგებისა და კონფერენციების მოსაწყობად.

დღეისათვის შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- ღია ტენდერით შეძენილ იქნა პირველი 1200 თანამედროვე კომპიუტერი;
- კომპიუტერები დანაწილდა საქართველოს 8 ქალაქის 200 სკოლაში;
- საუკეთესო ადგილობრივმა პროგრამისტებმა, სასკოლო მიზნებისათვის, სპეციალურად შეიქმნეს და კომპიუტერებზე დაყენეს IX-ზე დაფუძნებული ღია ოპერაციული სისტემა;
- მიმდინარეობს ზემოაღნიშნული ოპერაციული სისტემისა და კომპიუტერული პროგრამების თარგმნა, რომლის დასრულების შედეგად მივიღებთ პირველ სრულიად ქართულ კომპიუტერს ყველა ასაკის მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის;
- მიმდინარე აკადემიური წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს 2000 მასწავლებლის განვრთნა კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში;
- რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მიეძღვნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სასწავლო პროცესში ინტეგრაციისა და ვებ-ზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროექტების სხვადასხვა ასპექტებს (ჩაატარებენ წამყვანი ესტონელი ექსპერტები).

მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის წარმატებულ განხორციელებას ღირებული დამატებითი ეფექტები ექნება. ეს, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის განვითარებაა. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტით იგეგმება ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ძნელადმისადგომი (მაღალმთიანი) რაიონების სოფლების ჩათვლით, ნებისმიერ სახელისუფლებო დაწესებულებას ექნება სამთავრობო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის ინტეგრირებული სახელმწიფო სისტემის შექმნა

დღეს **ენერგეტიკის სამინისტრო** ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ფლობს და იყენებს ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის სისტემას.

ამ სამინისტროს გამოცდილება, შესაძლოა, კარგი მაგალითი იყოს სხვა სამთავრობო დაწესებულებებისათვის, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ კანონმდებლობის არ არსებობა ამუხრუჭებს ამ საკითხის განვითარებას.

ელექტრონული მმართველობის კომპიუტერული სისტემის შექმნა

2004 წელს საქართველოს მთავრობასთან შეხვედრის შემდეგ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიოში წამყვანმა კომპანიამ – ჩისცო შესტემს (წწწ.ცისცო.ცომ) - სურვილი გამოთქვა, მხარი დაეჭირა საქართველოსთვის სამთავრობო დაწესებულებების ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ჩისცო შესტემს მზად არის, ქართველი ექსპერტების მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად 1 მილიონ დოლარად (პრეისკურანტის ფასი) მიანოდოს საქართველოს საკუთარი პროდუქტი. ეს არაჩვეულებრივ შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას განაახლოს სამთავრობო დაწესებულებების ქსელური ინფრასტრუქტურა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში და შექმნას სამთავრობო ქსელი. ცხადია, მხოლოდ ჩისცო-ს დახმარება არ იქნება საკმარისი პროექტის განსახორციელებლად. საჭირო გახდება მნიშვნელოვანი დამატებითი სახსრების მოზიდვა. ქვემოთ შემოთავაზებული პროექტი მოიცავს ჩისცო შესტემს-ების წვლილს არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის განახლებასა და საქართველოს სამთავრობო ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნაში. თუმცა, პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა აუცილებელი დამატებითი რესურსების დეტალური დათვლაც.

ჩისცო შესტემს დაუკავშირდა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციას - ღ (www.grena.ge) საქართველოს მთავრობის მხარდაჭერისათვის პროექტის ჩისცო-ს ნაწილის მოსამზადებლად. პროექტი მომზადებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თხოვნის საფუძველზე და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის განვითარების საწყის ეტაპზე რამდენიმე უწყება შეირჩა. პროექტში ჩართულ სახელმწიფო უწყებათა სია თბილისში მოიცავს:

1. სახელმწიფო კანცელარიას;
2. პარლამენტს;
3. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს;
4. ენერგეტიკის სამინისტროს;
5. ფინანსთა სამინისტროს;
6. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
7. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;
8. იუსტიციის სამინისტროს;
9. შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს;

10. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს;
11. საგარეო საქმეთა სამინისტროს;
12. სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ამ პროექტში ქვეყნის მასშტაბით კიდევ რამდენიმე სახელმწიფო უწყება მიიღებს მონაწილეობას:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
2. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური სამცხე-ჯავახეთში;
3. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური შიდა ქართლში და ქალაქ გორის ადმინისტრაცია;
4. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური იმერეთში და ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაცია;
5. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური მცხეთა-მთიანეთში;
6. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური გურიაში;
7. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური ქვემო ქართლში;
8. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური კახეთში და ქალაქ თელავის ადმინისტრაცია;
9. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახური სამეგრელო-ზემო სვანეთში და ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაცია.

საქართველოს ერთიანი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა

რამდენიმე სამთავრობო დანესებულება, როგორებიცაა: ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ეროვნული ბანკი საჭიროებს გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებს. ზოგიერთმა მათგანმა დაიწყო ამ სახის სისტემების შემუშავება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სამუშაოები კოორდინირებული არ არის და დანესებულებების უშუალო საჭიროებებს ეფუძნება. ამან, მომავალში შეიძლება სირთულე შეუქმნას ერთიანი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებას.

ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული 2006 წლის მარტში გამართულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე: შესაბამისი

სამინისტროების წარმომადგენლები შეთანხმდნენ, კოორდინირებულად წარმართონ საქმიანობა ერთიანი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად (იხ. ქვემოთ).

საქმიანობის კოორდინაცია

2006 წლის თებერვალში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინიციატივით, სამთავრობო სტრუქტურებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა. სამუშაო ჯგუფი შედგება სამინისტროებისა და ყველაზე მეტად განვითარებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების იფრასტრუქტურის მქონე სხვა სამთავრობო დაწესებულებების საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტების წარმომადგენლებისაგან. კერძოდ:

- პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სახელმწიფო კანცელარია (საქართველოს მთავრობა);
- საქართველოს პარლამენტი;
- ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს საჯარო სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა “ირმის ნახტომი”;
- ენერგეტიკის სამინისტრო;
- იუსტიციის სამინისტრო;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი;
- საბაჟო დეპარტამენტი;
- სახელმწიფო ხაზინა;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მეორე ეტაპზე იგეგმება შემდეგი უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობა:

- ჯანდაცვის სამინისტრო;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სამწუხაროდ, ე.წ. “ძალოვანი უწყებები” (თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვ.) უსაფრთხოების ზომებზე აპელირებით უარს აცხადებენ ნებისმიერ ერთობლივ ინიციატივაში მონაწილეობაზე.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრები იგეგმება ორ კვირაში ერთხელ. ჯგუფის წევრები ცვლიან ინფორმაციას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების თაობაზე; განიხილავენ სფეროში არსებულ ძირითად პრობლემებს, შესაძლო თანამშრომლობის საშუალებებსა და გზებს.

ჯგუფის მუშაობა დადებითია, თუმცა სამწუხაროდ ჯგუფს სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნია და მიღებული გადაწყვეტილებები იურიდიულად სავალდებულო არ არის, შესაბამისად, შეიძლება ნაკლებად ეფექტური იყოს.

V. ელ-გამჭვირვალობა – არსებული მდგომარეობა და მთავარი სისუსტეები

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უწყებების ცენტრალიზებული ვებ-გვერდი ან პორტალი არ არსებობს. საძიებო სისტემები, როგორცაა **www.internet.ge**, არ შეიცავს ბმულებს ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ვებ-გვერდისათვის. სამთავრობო ვებ-გვერდების უმეტესობას აქვს ურთიერთმიითების ღილაკები, თუმცა ისინი სრულყოფილი არ არის. შესაბამისად, საჭირო ვებ გვერდების მოძიება პრობლემურია.

უფრო მეტიც, არ არსებობს ერთიანი დადგენილი სტანდარტი ინტერნეტ გვერდების მისამართებისათვის და სამთავრობო დანესებულებებს ინტერნეტ გვერდები განსხვავებული დომენებით აქვთ: მაგ.: **http://www.mod.gov.ge** (თავდაცვის სამინისტრო); **http://www.minenergy.gov.ge** (ენერგეტიკის სამინისტრო); **http://www.mof.ge** (ფინანსთა სამინისტრო); **http://www.police.ge** (შინაგან საქმეთა სამინისტრო); **http://moe.caucasus.net** (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო).

ზოგიერთი ვებ გვერდი არ მუშაობს ან გვერდების უმეტესობა “დამუშავების პროცესშია”.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სამთავრობო დანესებულებების სია ვებ-გვერდების მითითებით:

- საქართველოს პრეზიდენტი
Web Site: <http://www.president.gov.ge>
- საქართველოს პარლამენტი
Web Site: <http://www.parliament.ge>

- საქართველოს მთავრობა
Web Site: <http://www.government.gov.ge>
- აჯარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
Web Site: <http://www.adjara.gov.ge>
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
Web Site: <http://www.abkhazeti.info>
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო
Web Site: <http://nsc.gov.ge>
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
Web Site: <http://www.constcourt.ge>
- საქართველოს უზენაესი სასამართლო
Web Site: <http://www.supremecourt.ge>
- საქართველოს საერთო სასამართლო
Web Site: <http://www.court.gov.ge>
- საქართველოს გენერალური პროკურატურა
Web Site: <http://www.psg.gov.ge>
- საქართველოს სახალხო დამცველი
Web Site: <http://www.ombudsman.ge>
- ცენტრალური საარჩევნო კომისია
Web Site: <http://www.cec.gov.ge>
- კონტროლის პალატა
Web Site: <http://www.control.ge>
- ევრო ინტეგრაციის სამთავრობო კომისია
Web Site: <http://www.eu-integration.gov.ge>
- საქართველოს რეფორმების კოორდინაციის სახელმწიფო მინისტრის სამსახური
Web Site: <http://www.reforms.ge>
- ვებ-გვერდის უმეტესი ნაწილი ახლა იქმნება
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
Web Site: <http://www.mes.gov.ge>

განათლების რეფორმის პროგრამა – პროექტი

“ილია ჭავჭავაძე“

Web Site: <http://www.reform.edu.ge>

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

Web Site: <http://www.naec.ge>

საქართველოს საჯარო სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა
“ირმის ნახტომი“

Web Site: <http://www.dlf.ge>

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

Web Site: <http://moe.caucasus.net>

ბმულების უმეტესობა ახლა მუშავდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

Web Sites: <http://www.economy.ge>

<http://www.privatization.ge>

სტატისტიკის დეპარტამენტი

Web Site: <http://www.statistics.ge>

ენერგეტიკის სამინისტრო

Web Site: <http://www.minenergy.gov.ge>

ბმულების უმეტესობა ახლა მუშავდება

თავდაცვის სამინისტრო

Web Site: <http://www.mod.gov.ge>

იუსტიციის სამინისტრო

Web Site: <http://www.justice.gov.ge>

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

Web Site: <http://www.napr.gov.ge>

სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო

Web Site: <http://www.cra.gov.ge>

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

Web Site: <http://www.mcs.gov.ge>

- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
Web Site: <http://mra.gov.ge>
- საგარეო საქმეთა სამინისტრო
Web Site: <http://www.mfa.gov.ge>
- შინაგან საქმეთა სამინისტრო
Web Site: <http://www.police.ge>
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო
Web Site: <http://www.maf.ge>
- ფინანსთა სამინისტრო
Web Site: <http://www.mof.ge>
- სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი
Web Site: <http://www.tax.ge>
- საბაჟო დეპარტამენტი
Web Site: <http://www.customs.gov.ge>
- სახელმწიფო ხაზინა
Web Site: *Nveb-gverdi ar iZebneba*
- საქართველოს ეროვნული ბანკი
Web Site: <http://www.nbg.gov.ge>
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Web Site: <http://www.healthministry.ge>
- გაერთიანებული სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი
Web Site: <http://www.susif.ge>
- სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო
Web Site: <http://saesa.gov.ge>
ვებ-გვერდი არ მუშაობს
- დაავადების კონტროლის ეროვნული ცენტრი
Web Site: <http://www.ncdc.ge>
- თბილისის მერია; ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი
Web Site: <http://www.thsd.ge>

- საქართველოს წამლის სააგენტო

Web Site: <http://www.gda.ge>

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ვებ-გვერდები:

- თბილისის მერია

Web Site: <http://www.tbilisi.gov.ge>

ბმულების უმეტესობა ახლა მუშავდება

- შიდა ქართლის ოფიციალური ვებ-გვერდი

Web Site: <http://www.shidakartli.ge>

ბმულების უმეტესობა შემუშავების სტადიაშია

- ქვემო ქართლის ოფიციალური ვებ-გვერდი

Web Site: <http://kvemokartli.gov.ge>

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამთავრობო ვებ-გვერდი

Web Site: <http://www.s-j.ge>

- იმერეთის რეგიონალური პორტალი

Web Site: <http://www.imereti.ge>

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ადმინისტრაცია

Web Site: <http://www.szs.gov.ge>

ბმულების უმეტესობა ამჟამად მუშავდება

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სამთავრობო პორტალების უმეტესობის ვებ-გვერდების ყველაზე უკეთესად განვითარებული ნაწილია “სტატუსტი” ან “კანონმდებლობა”. უმეტეს შემთხვევებში ვებ-გვერდები გამოყენებულია როგორც სარეკლამო ინსტრუმენტი – პრესრელიზების, ახალი ამბებისა და ა.შ. გამოსაქვეყნებლად.

ზოგ შემთხვევაში ვებ-გვერდზე სახელმწიფო სატენდერო განცხადებების გამოქვეყნებაც ხდება. ხშირად ეს ერთადერთი მინიშნებაა “გამჭვირვალობაზე”.

ზოგიერთი ვებ-გვერდი საკმაო ინფორმაციის შემცველია: საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდები საკანონმდებლო აქტების ინტერაქტიულ ბაზას მოიცავს; ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ფრინველის გრიპის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგულარულად აქვეყნებს დანაშაულის ქრონიკას, ა.შ.

ერთადერთი ‘სასიამოვნო’ გამონაკლისია ენერგეტიკის სამინისტრო, სადაც ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის სისტემა მუშაობს. მოქალაქეებს

შეუძლიათ მათი წერილის სტატუსის გაგება სამინისტროს ვებ-გვერდიდან, წერილის რეგისტრაციის ნომრის მიხედვით.

რაც შეეხება ადგილობრივი მმართველობის ვებ-გვერდებს, განვითარების ზოგადი დონე საკმაოდ დაბალია – ბმულების უმეტესობა არ მუშაობს. ერთადერთი გამონაკლისი იმერეთის რეგიონალური პორტალი (სავარაუდოდ, ეს საუკეთესო სამთავრობო პორტალია საქართველოში) და ნაწილობრივ ქვემო ქართლის ოფიციალური ვებ-გვერდია. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, სახელისუფლებო ვებ-გვერდების უმეტესობა შორს არის ელ-გამჭვირვალობის თუნდაც მინიმალური სტანდარტებისგან. ამას ორი ძირითადი მიზეზი აქვს:

1. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა სამთავრობო დაწესებულებებისგან არ მოითხოვს ელ-გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ რაიმე საქმიანობას. ამდენად, ელ-გამჭვირვალობის განვითარება სახელმწიფო ინსტიტუტში მაღალი თანამდებობის პირების და/ან საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის “კეთილ ნებაზეა” დამოკიდებული;
2. თანამშრომლებს, რომლებიც შესაძლოა პასუხისმგებლები იყვნენ სახელმწიფო ინსტიტუტებში ელ-გამჭვირვალობის განვითარებაზე, არ აქვთ სპეციალური ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ თანამშრომლებს სჭირდებათ სპეციალური ტრენინგი და დამხმარე დოკუმენტაცია ელ-გამჭვირვალობის განვითარების ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების შესახებ.

VI. დასკვნები

“საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პროექტში“-ში ჩამოყალიბებული კონცეფცია, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტად.

საქართველოში ელ-გამჭვირვალობის სისტემების განვითარების ძირითადი სუსტი მხარეებია:

1. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განუვითარებელი ინფრასტრუქტურა;
2. საინფორმაციო ტექნოლოგიების მცოდნე თანამშრომელთა ნაკლებობა;
3. ელექტრონული კომერციისა და ელ-მმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობის უკმარისობა;
4. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე, კოორდინაციასა და კონტროლზე პასუხისმგებელი სამთავრობო სტრუქტურის არ არსებობა;

5. ელ-გამჭვირვალობის სისტემების განვითარების დაბალი დონე, განსაკუთრებით კი ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის ინტეგრირებული სახელმწიფო სისტემის არ არსებობა სამთავრობო დაწესებულებათა უმეტესობაში;
6. საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ელ-გამჭვირვალობისათვის დაწესებული მოთხოვნების არ არსებობა სამთავრობო ინსტიტუტებისათვის;
7. სამთავრობო დაწესებულებების თანამშრომელთა ცოდნის დაბალი დონე ელ-გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამის მიუხედავად, ზოგიერთ სფეროში გარკვეული პროგრესია მიღწეული. ესაა:

1. იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მონეცემების სახელმწიფო ბანკების შექმნა;
2. ქვეყნის სკოლების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია;
3. ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვის ინტეგრირებული სახელმწიფო სისტემის შექმნა;
4. საქართველოს ერთიანი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა;
5. სამთავრობო ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაცია ელექტრონული მმართველობის კომპიუტერული სისტემის შესაქმნელად.

ელ-გამჭვირვალობის სფეროში მდგომარეობა ძალზედ შორსაა სასურველისგან. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო დაწესებულებათა უმეტესობას ვებ-გვერდები აქვს, მხოლოდ მცირე მათგანი თუ არის ინფორმაციული.

VII. რეკომენდაციები

კვლევის დასკვნების საფუძველზე საქართველოში ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის სისტემების განვითარების სფეროში მომუშავე სხვადასხვა ძირითადი ორგანოსთვის შემდეგი რეკომენდაციების მიცემა შეიძლება:

რეკომენდაციები სამთავრობო დაწესებულებებისათვის:

1. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის განვითარებაზე, კოორდინაციასა და კონტროლზე პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანოს დაფუძნება;
2. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ქართული ენის სტანდარტის შემუშავება;

3. საქართველოში ელექტრონული კომერციისა და ელ-მმართველობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება და დახვეწა, განსაკუთრებით – ციფრული ხელმოწერის, ციფრული დოკუმენტების შენახვის, ინფორმაციის თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის კუთხით;
4. სამთავრობო ინსტიტუტებს შორის ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის სფეროში ყველა ურთიერთობის კოორდინაცია;

რეკომენდაციები დონორი ორგანიზაციებისთვის

1. ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის განვითარების სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის განუხლები დახმარების კოორდინაცია;
2. სამთავრობო ინსტიტუტების თანამშრომელთა ცოდნის ამაღლებისათვის ელ-გამჭვირვალობის სპეციალური ტრენინგ-პროგრამების დაფინანსება;
3. ელ-გამჭვირვალობის კომპონენტების განვითარების მოთხოვნა სამთავრობო ინსტიტუტებისათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსებისას.

რეკომენდაციები პროექტისათვის “ელ-გამჭვირვალობის მშენებლობა საქართველოში” (LGI, OSI-ის საინფორმაციო პროგრამისა და ფონდ “ღია საზოგადოება-საქართველოს” ერთობლივი პროექტი)

1. სამთავრობო ინსტიტუტებში ელ-გამჭვირვალობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება და მხარდაჭერა;
2. ელ-გამჭვირვალობის განვითარების ძირითად პრინციპებზე სამთავრობო ინსტიტუტების თანამშრომელთა ტრენინგის მომზადება და ჩატარება;
3. ელ-გამჭვირვალობის შემცველი საჯარო ინფორმაციის შესახებ ახალი კანონის პროექტის მომზადება და მისი მიღების ლობირება;
4. ელ-გამჭვირვალობისა და ელ-მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივ არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაცია.